# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
29 ოქტომბერი შაბათი 2013
№255 (14 171) ფასი 80 თეთრი


## ცუდი შედეგი, ფინანსური პრობლემები და... კიკნაძე სიონიდან წავიდა

გოლნისური კლუბისგან ოფიციალურ განცხადებას ელოდებიან



4



2

## რა იქნება ნოემბერში? ვარიანტები ქეცბაიას მომავალზე

# დოპინგსკანდალი?



რატომ არ წავიდა საქართველოს ძალოსანთა ნაკრები მსოფლიოზე?



## მარკოიშვილი სამი თვე დაისვენებს

თურქული „ევროსპორტის“ ცნობით, სტამბოლის „გალატასარაის“ ქართველმა ლეგიონერმა მანუჩარ მარკოიშვილმა კუნთი გაიწყვიტა და კალათბურთს სამი თვით ჩამოშორდა. კლუბის ხელმძღვანელობამ იმედი გამოთქვა, რომ მარკოიშვილი მალე შეძლებს ფორმის აღდგენას და ჯანმრთელობაც უსურვა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



## პლატინის ახალი იდეა

40 გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე?

9



## კისლინგს გოლი ჩაუთვალეს, ლევერკუზენის მოგება!

ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი არ გადათამაშდება

8

# ავარია ბრეშაში

## მარიო ბალოტელი ავტოკატასტროფაში მოხვდა

"მილანის" ფორვარდი მარიო ბალოტელი ქალაქ ბრეშაში ავტოვარიაში მოხვდა.

წინასწარი ინფორმაციით, იტალიის ნაკრების მოთამაშის ავტომობილი სხვა მანქანას დაეჯახა.

ავარიის სიმძიმესა და ფეხბურთელის სავარაუდო ტრავმების შესახებ არაფერს იტყობინებიან...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას მოგვიტანს 15 ნოემბერი?



თემურ ქეცბაია

საფეხბურთო ნოემბერი უქმე თვე არ არის, აქეთ ეროვნული ჩემპიონატი, იქით - ასაკობრივი ნაკრების პერიპეტიები... თუმცა მთავარი საკითხი ნოემბერში სულ სხვა იქნება - ეროვნული ნაკრების მწვრთნელის საკითხი უნდა გაირკვეს.

**თემურ ქეცბაიამ** მიჯრით ორ შესარჩევში უხელმძღვანელა ქვეყნის მთავარ გუნდს და კონტრაქტით კიდევ ერთ შესარჩევ ეტაპზე უნდა დამოძღვროს ნაკრები. მაგრამ ხელშეკრულება ერთია და, ეროვნული ნაკრების შედეგი - მეორე. ანუ, საკითხავი გახდა, ისევ ქეცბაიამ უნდა უთავკაცოს თუ არა გუნდს.

იმ ვარიანტებზე, თუ რა შეიძლება მოხდეს, „ლელო" უკვე წერდა და ამაზე აღარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ახლა მოქმედების დროა, ოღონდაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქეცბაიასთან საუბრის გარეშე ასეთ მნიშვნელოვან საკითხს, ცხადია, ვერ გადაწყვეტს. ქეცბაია კი საზღვარგარეთაა...

შევიტყვეთ, რომ ის 15 ნოემბერს აპირებს საქართველოში ჩამოსვლას და ამის შემდეგღა მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას მწვრთნელი და ფედერაციის მესვეურები.

ვფიქრობ, უკეთესიც არის, ფეხბურთის თავებმა და ქეცბაიამ წინა შესარჩევი ციკლის შემდეგ პაუზა რომ აიღეს და მყის არ დაიწყეს იმაზე სჯაბაასი, თუ რა და როგორ იქნება მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის.

ემოციები ნაწილობრივ დამცხრალია, თუმცა ნაკრების ცუდი შედეგი და მის ირგვლივ შექმნილი ნეგატიური ფონი ამ ემოციებს ბოლომდე მაინც ვერ აცხრობს.

რის საფუძველზე უნდა მოხდეს, რომ ფედერაციამ ქეცბაიას უთხრას - არა უშავს, ჩვენ შენი გვჯეროდა და ნაკრებში მუშაობა უნდა გააგრძელო. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გვარიანად რთული საქმეა.

როგორც იქნა, დადგა დრო, როცა ფეხბურთის ფედერაციას დამოუკიდებლად შეუძლია ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა, თუმცა ეს ამოცანა მაშინ დადგება დღის წესრიგში, როცა ნაკრების მთავარი პოსტი ვაკანტური გახდება.

ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თავად ქეცბაიას პოზიციაც. არც ერთ მწვრთნელს არ უნდა, ხელმოცარულმა დატოვოს გუნდი, მაგრამ ორი შესარჩევი ციკლი ალბათ საკმარისია, რომ მწვრთნელმა გულშემატკივარს თავი შეაყვაროს. და თუკი მან ეს ოთხი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა, გამოდის, რომ დროის კრედიტი ამოწურულია - ასე მგონია.

თუმცა ჟურნალისტური აზრი აქ უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია. მწვრთნელის დანიშვნა-მოხსნის საკითხი სპეციალისტების გადასაწყვეტია, პასუხისმგებლობა კი უკვე მთლიანად ფეხბურთის ფედერაციას დაეკისრება.

ასე რომ, 15 ნოემბრამდე დრო ქეცბაიასაც აქვს...

**დავით თავართქილაძე**

U21

# სლოვაკებთან გორში გავაგორებთ...

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მიმდინარე შესარჩევში მომდევნო ორი შეხვედრა 14 და 18 ნოემბერს უწევს - ჯერ შოტლანდიას ესტუმრება, მერე კი სლოვაკეთს უმასპინძლებს.

**ალექსანდრე ჩივაძის** გუნდი ბრიტანელებს სენტ-მირენში გაეჯიბრება, სლოვაკეთს კი, როგორც უკვე გადაწყდა, გორში დაუხვდება.

გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე, ჩინებული მინდორია, გასახდელები და პრესლოჟა მოწესრიგებულია და ასეთი რანგის შეხვედრის მასპინძლობა ამ ქალაქს უპრობლემოდ შეუძლია.

საქართველოს ახლაგაზრდული ნაკრები თბილისში ვერ ითამაშებდა და იძულებული იყო, სხვა ქალაქზე გაეკეთებინა არჩევანი. საქმე ისაა, რომ 13, 15 და 18 ნოემბერს თბილისში 19-წლამდელთა შესარჩევი ეტაპის მატჩები გაიმართება და ეს თამაშები „დინამო არენასა" და „მიხეილ მესხზე" უნდა ჩატარდეს. ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ ქართველებს მეტოქეებად უელსი, მოლდოვა და ჰოლანდია ჰყავთ.

რაც შეეხება 21-წლამდელთა ნაკრებს, ჩივაძის გუნდმა მიმდინარე შესარჩევში ორი მატჩი წააგო და ამდენივე მოიგო, ჯგუფიდან გასვლის შანსს ინარჩუნებს და, თქმა რად უნდა, რომ სენტ-მირენსა და გორში ძალიან მნიშვნელოვანი ბრძოლები ელის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შოტლანდიას თბილისში 2:1 მოუგო, სლოვაკეთში კი 0:1 დამარცხდა და ამ დროისთვის ჯგუფში მესამე ადგილზეა.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ



გიორგი ხიდეშელმა ეროვნული ნაკრების ფორმა 18 წლის ასაკში მოირგო და ბოლო წლების ერთ-ერთი უნიჭიერესი მცველის სახელიც დაიგდო. მაგრამ მას უკანასკნელი ორი წელიწადი გაუცდა. დიდი სირთულეების მიუხედავად, ხიდეშელი მოედანს დაუბრუნდა და ნელ-ნელა ფორმის აღდგენაც მოახერხა. ქუთაისის „ტორპედოს" წარმატებულ (ყოველ შემთხვევაში - აქამდე) სეზონში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გიორგი ხიდეშელი (მარჯვენა) — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## გიორგი ხიდეშელი

# ამ გუნდს თუ შეინარჩუნებენ, დიდი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება

**- სერიოზული წინსვლის შემდეგ, ქუთაისის „ტორპედომ" ბოლო ორ ტურში მხოლოდ ქულა მოიპოვა. „დინამოსთან" წაგებისთვის ვერავინ დაგძრახავთ, მაგრამ „სიონთან" რა დაგემართათ? მეტოქე ვერ დააფასეთ?**

- ჩვენ ლიდერებში ვიყავით, „სიონი" კი - აუტსაიდერებში, მაგრამ ბოლნისელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი და გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ. თან თამაშიც წაუვიდათ და ასეც ვერ ვიტყვი, რომ 2 ქულა დავკარგეთ. ეს გუნდი ფორმაში რომ შევა, კიდევ ბევრს გაამწარებს. „დინამოსთან" წაგება კი ძალიან დასანანი იყო. ეტყობა, ბოლო 15 წუთში რაღაც დავაკელით და ეს უნდა გავაანალიზოთ. ბოლომდე ვერც დავალებები შევასრულეთ და ვერც ვიაქტიურეთ. თორემ მეორე ბურთი რომ გაგვეტანა, მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდებოდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ „დინამომ" გამოცდილების ხარჯზე გვაჯობა - ჩვენი ფეხბურთელების საშუალო ასაკი 21 წელია, მაშინ, როცა „დინამოში" ლამის ყველა გამოცდილი მოთამაშეა და ცხადია, მატჩის შედეგზე გავლენა ამანაც იქონია.

**- ახალ გუნდში გადასვლა ყოველთვის სირთულეებს უკავშირდება. თქვენთვის „ზესტაფონი" ლამის მშობლიურ კლუბად იქცა და „ტორპედოს" როგორ შეეჩვიეთ?**

- ადაპტაცია უპრობლემოდ მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ „ზესტაფონს" მართლა ძალიან შევეჩვიე, იქ 8 წელი ვთამაშობდი და ეს გუნდი ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო მოგონებად დარჩება - თამაში ხომ იქ დავიწყე. რა მოხდა და რატომ წამოვედი, ამაზე ლაპარაკი არ მინდა. მაგრამ ჩემს ნაბიჯს გამართლებულად მივიჩნევ. ახლა მოვხვდი ძალიან კარგ ხალხთან, რომლებმაც ხელი შემიწყვეს - მე ხომ ბოლო ორი წელი არ მითამაშია. ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვყოფილვარ და ეროვნულშიც, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ფეხბურთელს ყველა ვერ ენდობოდა. აქვე ვიტყვი: ჯვარედინი იოგების ოპერაცია საზღვარგარეთ გავიკეთე, რაც ძალიან ძვირი სიამოვნებაა. მთელი ცხოვრება არ დამავიწყდება, რა როლი ითამაშეს ჩემმა ოჯახმა და მეგობრებმა იმაში, რომ ფეხბურთში დავბრუნდი... ისე, ბედის ირონია იყო - ორწლიანი პაუზის შემდეგ პირველი შეხვედრა აგვისტოში „ზესტაფონთან" რომ ჩავატარე. ჯერ ვერ ვარ კარგ ფორმაში და ეს ბუნებრივიცაა, რადგან შეკრება არ გამივლია. ამის გარეშე სეზონის სრულყოფილად ჩატარება ძალიან ძნელია. ორი წელიწადი რომ გაგიცდება, ძველებურად საქმის კეთება ნებისმიერ სფეროში გაგიძნელდება. მაგრამ თამაშებით თავდაჯერებულობა მიბრუნდება.

**- მოედანზე დაბრუნებულს ტრავმის შიში არ გქონდათ?**

- არანაირი შიში არ მქონია! სწორედ ამან მიშველა და კიდევ იმან, რომ უფეხბურთოდ ცხოვრება არ მსურდა.

**- ამ ყველაფრის შემდეგ მოხდა სასწაული და თემურ ქეცბაიამ ნაკრებში მიგიწვიათ, მეტიც - ესპანეთთან ძირითადშიც დაგაყენათ...**

- ნდობისთვის მწვრთნელს მადლობას ვუხდი. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ორწლიანი პაუზის შემდეგ, მხოლოდ 7 შეხვედრა მქონდა ჩატარებული და... უცებ ესპანეთის წინააღმდეგ თამაში. რა თქმა უნდა, ურთულესი მატჩი იყო, მაგრამ, თუ არ ვცდები, ძალიან ცუდადაც არ გამოვიყურებოდი.

**- რეალურად, ესპანელებს თავი არც მოუკლავთ...**

- მოგება მათი პრესტიჟის საქმე იყო და საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ვალდებულებაც ჰქონდათ.

**- 2007 წლის 5 ივნისს, თბილისში, ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელშიც ხერარდ პიკე და ბოიაე კრკიჩი თამაშობდნენ, 1:0 მოიგო. მაშინ თქვენსა და ესპანელ ფეხბურთელებს შორის ასეთი დიდი სხვაობა არ იყო...**

- მთავარი მიზეზი ჩვენსა და იმათ ჩემპიონატებს შორის უზარმაზარი სხვაობაა. ფეხბურთელი პრიმერა დივიზიონში რომ გაიზრდება, ასე ჩვენთან ვერ იქნება. კარგი სავარჯიშო და პერსონალური პირობები, ბევრი დაძაბული და მაღალი დონის თამაში, სადაც იქნება მაღალი ტემპი - ეს არის სწორედ პროგრესის წინაპირობა. მაგალითად, „დინამო"-"ტორპედოს" მსგავსი წელიწადში 15 მატჩი მაინც რომ ჩავატაროთ, ბევრად უკეთეს დონეზე ვიქნებოდით და ცოტათი მაინც გვეშველებოდა. ამ დროს, ყველამ იცით, რაც ხდება. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ორი წელია, ფეხბურთი არ მითამაშია და ახლა მოედანზე ყოველი გასვლა ჩემთვის ზეიმია. მაგრამ ძალიან ძნელია სრული მობილიზება ისეთ თამაშში, სადაც ოფლს ვერ გამოიდენ და ვალდებულიც ხარ, 3 ქულა მოიპოვო. ელემენტარულად, საფეხბურთო განწყობას ვერ შეიქმნი, როცა ტრიბუნაზე 20 კაცი ზის. ასეთ პირობებში, პროფესიულ ზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია. ფეხბურთელი, მაყურებლის გარეშე, საკუთარ შესაძლებლობებს ვერ ავლენს და სტიმული აკლდება, თამაშს კი - სანახაობა.

**- ისეთ გუნდში მოხვდით, სადაც აქცენტი ახალგაზრდებზე აიღეს. „ზესტაფონშიც" ასე იყო. ამ ორი გუნდის მიდგომებში განსხვავებას თუ ხედავთ?**

- დიდი განსხვავება არ არის. მთავარია, კლუბის მეპატრონემ დაიჯეროს, რომ მიზანი რეალურია და საამისოდ, ყველაფერი გააკეთოს. ქუთაისში ამ გუნდს თუ შეინარჩუნებენ, დიდი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება, რადგან „ტორპედოში" ნიჭიერი ბიჭები არიან. „ზესტაფონშიც" ყველაფერი ასე იწყებოდა. 9 ფეხბურთელი „თბილისიდან" წაგვიყვანეს და ნორმალურ გუნდად ჩამოვყალიბდით, მაგრამ საბოლოოდ, რაღაც დაგვაკლდა და ევროპალიგაშიც ვერ მოვხვდით. არადა, ის გუნდი რომ შენარჩუნებულიყო, ბევრს მიაღწევდა.

**- ყველას გაქცევაზე გეჭირათ თვალი და როგორ შეინარჩუნებდნენ?**

- ამაზე ბიჭებს გვილაპარაკია და ვიცი, რა განწყობაც იყო. ვარაუდებით კი არ ვლაპარაკობ? უკეთესი პირობები რომ ყოფილიყო, არავინ წავიდოდა. მაგრამ უმრავლესობას ოჯახები გვყავდა და როცა სხვა კლუბი ბევრად მეტ ხელფასს გვთავაზობდა, ცხადია, ასეთ დროს ოჯახზეც ფიქრობ. გული კი მწყდება, რადგან „ზესტაფონი" ძალიან კარგი გუნდი იყო.

**- ეტყობა, ილია კოკაიას ამხელა სახსრებიც არ ჰქონდა, თორემ გუნდის შენარჩუნება მასზე მეტად ვის ენდომებოდა?**

- ამდენი არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ გუნდში მწვრთნელებისა და ფეხბურთელების შენარჩუნება რეალური იყო და მინიმუმ, ევროპალიგაზე ვითამაშებდით.

**მერაბ მამულაშვილი**

# კლასიკოს ჩრდილქვეშ...

ტურის ნინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ, როცა „ქართული კლასიკოა", სხვა დანარჩენი მატჩები, ცოტა არ იყოს, ჩრდილში მოექცევიან-თქო და ასეც მოხდა. რა თქმა უნდა, „დინამო"-"ტორპედოს" ემოციური დაპირისპირების გარდა, დანარჩენ ხუთ შეხვედრაშიც იყო მეტ-ნაკლებად გამოსარჩევი ფაქტები თუ მოვლენები, მაგრამ ტურის ცენტრალურმა მატჩმა მართლაც ყველაფერი „გადაფარა"!

## ტრიუმფული სვლა

„დინამოს" წარმატებული სვლა გრძელდება: ქვეყნის ჩემპიონმა ზედიზედ მერვე მატჩი (სათასო დაპირისპირების ჩათვლით) მოიგო და პირველი წრის გამარჯვებულიც ვადამდე და, რაც მთავარია, დამსახურებულად გახდა! სხვათა შორის, რაც **დუშან უჰრინი (უმცროსი)** დაინიშნა „დინამოს" მთავარ მწვრთნელად, ასეთი წარმატებული სერია ჯერ არ ჰქონია.

ამასთან, კვლავაც გრძელდება „დინამოს" არანაკლებ შთამბეჭდავი საშინაო წაუგებელი სერია ჩემპიონატში: წინა სეზონში თუ 15 მოგება და 1 ფრე ჰქონდა საკუთარ მოედანზე, ამჟამად შვიდ თამაშში შვიდი მოგება აქვს. ისე კი, ჩემპიონატში უკანასკნელად საშინაო მატჩი „დინამომ" 2012 წლის 6 მაისს წააგო და, ალბათ, მეტოქეც დაგაინტერესებდათ: რომელი გუნდი უნდა ყოფილიყო, თუ არა „ტორპედო", როდესაც ქუთაისელებმა **გიორგი დათუნაიშვილის** ერთადერთი გოლის წყალობით შეძლეს პრინციპული მეტოქის სტუმრად დამარცხება.

## სამმაგი ლოგიკა

შაბათს ჩატარებულ „ქართულ კლასიკოზე" გუშინ ვრცლად ვისაუბრეთ და დღეს აღარ მივუბრუნდებით; თუმცა, კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ მართლაც ემოციური და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე არცთუ ურიგო დონის შეხვედრა ოდნავ გააუფერულა მასპინძელთა და სტუმართა გუნდის ფანებს შორის მომხდარმა შეხლა-შემოხლამ, რომელშიც ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს. ამ თემის განვრცობას აღარ ვაპირებთ, რადგან არ გვსურს, კლუბებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბოს. ამიტომ, სჯობს აქ გავჩერდეთ.

...არადა, თამაშის დასაწყისშივე ეს ინციდენტი რომ არ მომხდარიყო, აი, მაშინ კი ვიტყოდით, რომ მართლაც იდეალური „ქართული კლასიკო" ვნახეთ-თქო!

მატჩი, რომელიც ისეთი სცენარით წარიმართა, რომ არც სტუმართა ახალგაზრდული და საზრიანი გუნდის გამარჯვება იქნებოდა სენსაცია, ფრესაც მეტ-ნაკლებად ლოგიკურ შედეგად მივიჩნევდით და „დინამოს" მოგებასაც ვერავინ დაარქმევს ალოგიკურსა თუ დაუმსახურებელს. მოკლედ, ამ სეზონში, უდავოდ, საუკეთესო მატჩი ვიხილეთ და ამისათვის ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის.

აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „დინამომ" ზედიზედ მესამე საშინაო „ქართული კლასიკო" მოიგო (სამჯერვე - **დუშან უჰრინის** ხელმძღვანელობით) და ასეთი რამ „დინამო"-"ტორპედოს" ხანგრძლივ და პრინციპულ დაპირისპირებაში 1996/97 წლების სეზონის შემდეგ აღარ მომხდარა.

## მომავლის გუნდი

ამ ტურამდე ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი „ტორპედო" იყო. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ ძალიან საინტერესო და ძალიან ახალგაზრდული გუნდი ამ დრამატულ მარცხს რაც შეიძლება მალე დაივიწყებს და კვლავაც გააგრძელებს ბრძოლას არა მხოლოდ პირველ სამეულში მოსახვედრად, არამედ ჩემპიონობისათვისაც! 28 წლის **მაქსიმე ქვილითაია**, 26 წლის **ზაზა ჭელიძე** და 25 წლის **გიორგი ხიდეშელი**, - აი, „ტორპედოს" სამი „ვეტერანი". ეგ კი არა, 22 წლის **ნიკა საბანაძე** და 21 წლის **გიორგი კუხიანიძე** ქუთაისელთა გუნდის „სტაჟიან" წევრებადაც ითვლებიან, „დინამოს" წინააღმდეგ მოასპარეზე ყველა დანარჩენი ფეხბურთელი კი 18-19 წლის პერსპექტიული ბიჭები იყვნენ!

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ „ტორპედოს" ახალწვეულის, 21 წლის **თორნიკე კაპანაძის** ჩინებული თამაში: ამ ტანმორჩილმა შემტევმა წინა სეზონშიც მიიქცია ყურადღება, როცა პირველ ლიგაში ასპარეზობისას წყალტუბოს „სამგურალის" შემადგენლობაში გამოდიოდა და მეტოქეთა კარში 27 გოლი გაიტანა. კაპანაძე უმაღლეს ლიგასაც მალე „გაუშინაურდა" და „ტორპედოს" შეტევის ხაზში უმძაფრესი კონკურენციის მიუხედავად, ძირითადშიც უპრობლემოდ დაიმკვიდრა ადგილი. ახალგაზრდა ფორვარდი, „დინამოსთან" მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ და ოსტატურად გატანილი გოლის გარდა ერთხელაც დაარტყა მეტად და მეტად სახიფათოდ, მაგრამ მასპინძლები **გიორგი ლორიას** ოსტატობამ გადაარჩინა.

აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ არა მხოლოდ ამ თამაშიდან გამომდინარე, კუხიანიძეც და კაპანაძეც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებას იმსახურებენ; თანაც, ეს მხოლოდ ჩვენი აზრი არ არის...

დაბოლოს, „ტორპედოს" ახალგაზრდა და ერთობ ემოციურ მწვრთნელზეც: ესპანელ **ჟერარდ სარაგოსას** ერთობ წარუმატებელი დებიუტი ჰქონდა ქუთაისურ გუნდში („ჟილინასთან" მატჩი გემახსოვრებათ), მაგრამ იმის მერე შემადგენლობაში გარკვეული გადაადგილებები მოახდინა და მართლაც არ იყო პატარა ამბავი, მისი გუნდი ცხრა ტურის განმავლობაში დაუმარცხებლად რომ ასპარეზობდა.

## VII ტურის სიმბოლური ნაკრები




## ზესტაფონი და სამეული

გასული ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში რამდენიმე გადაადგილება მოხდა: „ჩიხურამ" მოგებების მეტი რაოდენობით „ტორპედოს" გადაასწრო და მეორე ადგილზე დაბრუნდა; ხანმოკლე პაუზის მერე ზედა ექვსეულს დაუბრუნდა „დილა" და უნდა ვივარაუდოთ, რომ გორელთა გუნდი კვლავაც ჩაებმება ევროტურნირების საგზურებისთვის ბრძოლაში.

ამათ გარდა, აღსანიშნავია „მეტალურგის" გამარჯვება ქვემოქართლურ „დერბიში": 33 წლის შემტევის, **ლევან კორღალიძის** ეფექტურმა გოლმა რუსთაველთა გუნდის პოზიციები განამტკიცა, თანაც, რაც მთავარია, „მეტალურგმა" ამ სეზონში პირველად შეძლო ზედიზედ ორი გამარჯვების მოპოვება და ამ მოგებას **გელა სანაიას** გუნდისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: რუსთაველებს ხომ ამის შემდეგ ხუთი ერთმანეთზე ურთულესი მატჩი („დინამოსთან", „ტორპედოსთან", „ჩიხურასთან", „ზესტაფონთან", „დილასთან") ელოდებათ. დაბოლოს, „ზესტაფონზეც": ჩვენი ვარაუდი მართლდება და **რატკო დოსტანიჩის** გუნდს უკვე არც არაფერი აშორებს პირველ ექვსეულთან.

ეს კი არა, ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართული კლუბი ზამთრის პაუზას რომ სულაც... პირველ სამეულში შეხვდეს, ნურავის გაუკვირდეს: „ზესტაფონს" უკვე ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ახლაც, ბოლო ტურში, ორი ნამყვანი ფორვარდის (**ირაკლი ქობალია, გიორგი ადამია**) გარეშეც შეძლო სტუმრად „მერანის" დამარცხება. აღსანიშნავია, რომ გოლის „გემო" გაიხსენა „ზესტაფონის" 23 წლის ფორვარდმა **საბა ლომიამ**, რომელმაც უკვე მეოთხე გოლი გაიტანა; აი, რაც შეეხება **ვახტანგ ჭანტურიშვილს**, ამ 20 წლის ნახევარმცველს უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი გვინდა მივულოცოთ.

## პენალტები, პენალტები...

გასულ ტურში ოთხი პენალტი დაინიშნა, აქედან მხოლოდ ორი დარტყმა აღმოჩნდა ზუსტი: 21 წლის **ლუკა გუგუჩიამ** („ზუგდიდს") თავის გუნდს ქულა მოუტანა, ხოლო „დინამოს" მართლაც უნივერსალმა ფეხბურთელმა, 28 წლის ლევან ხმალაძემ „ტორპედოსთან" შეხვედრაში თამაშის „შემოტრიალებას" დაუდო სათავე. უიღბლოები კი ჩვენი ჩემპიონატის გამორჩეული გოლიადორები და ერთიმეორეზე გამოცდილი ფორვარდები იყვნენ: 30 წლის **დიმიტრი ტატანაშვილის** დარტყმა „გურიას" არანაკლებ გამოცდილმა მეკარემ **მინდია ბობლიაშვილმა** მოიგერია, ხოლო 28 წლის **ჯაბა დვალს** მიზანმა უმტყუნა...

## ძველ-ახალი მეგოლეები

„ჰეთ-თრიქებით" განებივრებულნი რომ არა ვართ, არახალი ამბავია, თუმცა ტური არ გავა, კონკრეტულმა ფეხბურთელმა „დუბლი" არ შეასრულოს. გასულ ტურში თავი გამოიჩინა „ჩიხურას" 21 წლის გარემარბმა **ბესიკ დეკანოიძემ**, რომელმაც „გურიას" კარში 2 გოლი გაიტანა. სხვა მეგოლეებიდან აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ „დილას" ცენტრფორვარდის, 29 წლის **ირაკლი მოდებაძის** მორიგი შედეგიანი თამაში, რის შემდეგაც საუკეთესო ბომბარდირთა დავაში „ორხელისუფლებიანობაა" (ტატანაშვილის მსგავსად 7 გოლი აქვს გატანილი).

გვერდს ვერ ავუვლით **გრიგოლ დოლიძის** „მშრალი სერიის" დასრულებასაც: 31 წლის მარჯვენაფლანგელმა სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო და ევროტურნირებსა თუ ჩემპიონატში ყოველ თამაშში გოლები გაჰქონდა; თუმცა, მერე ტრავმა მიიღო და 17 აგვისტოს მერე მხოლოდ ახლაღა მოახერხა გოლის გატანა. სეზონში პირველი გოლი გაიტანა „სპარტაკის" ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა, 27 წლის **ზვიად მეტრეველმა**, არადა, წინა სეზონში ამ თავდამსხმელმა პირველ ლიგაში 21 ბურთის შეგდება მოახერხა.

დაბოლოს, ტურის ყველაზე მნიშვნელოვან გოლზეც: „დინამოს" 22 წლის ცენტრალურ მცველს **გიორგი გველესიანს** 2013 წლის 26 ოქტომბერი, ალბათ, არასდროს დაავიწყდება, რამეთუ სწორედ მისმა ზუსტმა თავურმა დარტყმამ (თანაც, ბოლო წუთზე) გადაწყვიტა კიდეც „ტორპედოსთან" უპრინციპულეს დაპირისპირებაში მატჩის ბედი!..

**გია ტუხაშვილი**



დინამო-ტორპედოს მატჩზე გულშემატკივრები აქტიურობდნენ — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

### დუბლების ჩემპიონატი

#### X ტური

| | |
|---|---|
| სიონი-მეტალურგი | 1:0 |
| დინამო-ტორპედო | 3:2 |
| მერანი-ზესტაფონი | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-დილა | 1:0 |
| ზუგდიდი-სპარტაკი | 2:0 |
| ჩიხურა-გურია | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 10 | 8 | 0 | 2 | 28-14 | 24 |
| 2. დინამო | 10 | 7 | 1 | 2 | 23-13 | 22 |
| 3. ზუგდიდი | 10 | 6 | 1 | 3 | 20-15 | 19 |
| 4. მერანი | 10 | 5 | 3 | 2 | 17-9 | 18 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 12-18 | 15 |
| 6. დილა | 10 | 4 | 1 | 5 | 17-20 | 13 |
| 7. ჩიხურა | 10 | 3 | 4 | 3 | 12-11 | 13 |
| 8. ტორპედო | 10 | 3 | 2 | 5 | 18-16 | 11 |
| 9. ზესტაფონი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-17 | 11 |
| 10. სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 12-17 | 11 |
| 11. სპარტაკი | 10 | 3 | 0 | 7 | 12-21 | 9 |
| 12. გურია | 10 | 1 | 1 | 8 | 12-26 | 4 |

### ქაბუქთა ლიგა

#### VIII ტური. 1996/97 წ.წ.

| | |
|---|---|
| მერანი-წ. დინამო | 2:1 |
| სიონი-ჩიხურა | 2:0 |
| დინამო (თბ)-დინამო (ბთ) | 0:1 |
| 35-ე სს-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| ზესტაფონი-ზუგდიდი | 1:1 |
| სპარტაკი-დილა | 2:2 |
| გურია-ტორპედო | 0:1 |
| მეტალურგი-საბურთალო | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 8 | 8 | 0 | 0 | 29-4 | 24 |
| 2. ტორპედო | 8 | 5 | 2 | 1 | 15-8 | 17 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 19-13 | 17 |
| 4. მერანი | 8 | 5 | 0 | 3 | 11-9 | 15 |
| 5. დილა | 7 | 4 | 2 | 1 | 13-6 | 14 |
| 6. საბურთალო | 7 | 4 | 1 | 2 | 16-9 | 13 |
| 7. დინამო (თბ) | 7 | 4 | 0 | 3 | 14-8 | 12 |
| 8. დინამო (ბთ) | 8 | 4 | 0 | 4 | 15-15 | 12 |
| 9. 35-ე სს | 8 | 3 | 2 | 3 | 10-12 | 11 |
| 10. სიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 12-14 | 10 |
| 11. წ. დინამო | 8 | 2 | 2 | 4 | 12-19 | 8 |
| 12. ზესტაფონი | 8 | 1 | 3 | 4 | 8-15 | 6 |
| 13. ზუგდიდი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-11 | 5 |
| 14. სპარტაკი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-17 | 5 |
| 15. გურია | 8 | 1 | 1 | 6 | 3-19 | 4 |
| 16. ჩიხურა | 8 | 1 | 0 | 7 | 4-17 | 3 |

#### 1998/99 წ.წ.

| | |
|---|---|
| მერანი-წ. დინამო | 1:2 |
| სიონი-ჩიხურა | 1:0 |
| დინამო (თბ)-დინამო (ბთ) | 3:0 |
| 35-ე სს-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| სპარტაკი-დილა | 1:1 |
| გურია-ტორპედო | 1:6 |
| მეტალურგი-საბურთალო | 0:2 |
| ზესტაფონი-ზუგდიდი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 7 | 7 | 0 | 0 | 30-0 | 21 |
| 2. საბურთალო | 7 | 6 | 1 | 0 | 30-1 | 19 |
| 3. ტორპედო | 8 | 6 | 0 | 2 | 20-6 | 18 |
| 4. ზუგდიდი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-11 | 16 |
| 5. წ. დინამო | 8 | 4 | 2 | 2 | 6-8 | 14 |
| 6. 35-ე სს | 8 | 4 | 1 | 3 | 14-11 | 13 |
| 6. მეტალურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 8. დილა | 7 | 3 | 3 | 1 | 7-3 | 12 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 12-12 | 11 |
| 10. სპარტაკი | 8 | 2 | 1 | 3 | 8-18 | 7 |
| 11. მერანი | 8 | 2 | 1 | 5 | 4-21 | 7 |
| 12. გურია | 8 | 2 | 1 | 5 | 4-29 | 7 |
| 13. სიონი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-17 | 5 |
| 14. დინამო (ბთ) | 8 | 1 | 1 | 6 | 6-14 | 4 |
| 15. ჩიხურა | 8 | 1 | 1 | 6 | 3-13 | 4 |
| 16. ზესტაფონი | 8 | 0 | 4 | 4 | 4-8 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

# რედ ბულიდან მეტალურგამდე

## გიორგი ჩირგაძე: საქართველოში ფიზიკური მომზადების პრობლემაა



**ამ ცოტა ხნის წინათ, რუსთავის „მეტალურგში“ გიორგი ჩირგაძე გამოჩნდა. 22 წლის ფეხბურთელი ამპლუით მარცხენა გარემარბია, მაგრამ რუსთაველთა დამრიგებელი გელა სანაია თავდასხმაში ათამაშებს. ჩირგაძეს საინტერესო ისტორია აქვს: ის ამერიკული „ნიუ იორკ რედ ბულის“ ძირითად გუნდში აიყვანეს, ფრანგი ტიერი ანრისა და მექსიკელი რაფაელ მარკესის გვერდით ვარჯიშობდა და ამხანაგურ მატჩშებიც გამოსცადეს. მერე „რედ ბულის“ რეზერვისტებში თამაშობდა. მაშინ ის ამ კლუბში დამკვიდრებასა და აშშ-ის ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა, მაგრამ... 2012 წლის შემდეგ მისი კვალი დაიკარგა...**

- თბილისში დავიბადე და 13 წლამდე „პლეხანოვზე“ ვცხოვრობდი. ფეხბურთზე 6 წლის ასაკიდან „დინამოს“ სკოლაში, პაატა მეტრეველთან დავდიოდი, მერე კი ოჯახთან ერთად ამერიკაში წავედი.

**- ... და რა მოხდა ამერიკაში?**

- რუსულ აკადემიაში უკრაინელ მწვრთნელებთან ორი წელი ვვარჯიშობდი. პარალელურად, ნიუ-ჯერსიში „რედ ბულის“ აკადემიაში დავდიოდი. ძირითად გუნდში გასინჯვაზე 15 წლისა მიმიწვიეს და აკადემიის პირველი აღზრდილი ვიყავი, პირველ გუნდში რომ გადამიყვანეს. 16 წლისამ „რედ ბულთან“ ერთად პირველად ვივარჯიშე, რაც პერიოდულად გრძელდებოდა. 2009 წლის სექტემბერში კონტრაქტი კი გავაფორმე, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი არ მითამაშია. ამხანაგურებიდან კი შარშან, ესპანურ შეკრებაზე, „რუბინთან“ შეხვედრა დამამახსოვრდა. მოედანზე მეორე ტაიმში შემიყვანეს. 0:1-ს ვაგებდით, ჩემ მიერ მოპოვებული ჯარიმით საპასუხო გოლი გავიტანეთ. თამაში 1:1 დამთავრდა.

**- „ინტერის“ ჭაბუკთა გუნდისთვისაც გაგიტანიათ გოლი...**

- ეს აკადემიაში ყოფნის დროს მოხდა. „ინტერის“ 18-წლამდელებს ამხანაგურ მატჩში შევხვდით. 0:1-ს ვაგებდით, ორი გოლი გავიტანე და 3:1 მოვიგეთ. ჩემს კარიერაში ყველაზე კმაყოფილი ამ თამაშით დავრჩი და პირველი გუნდის ხელმძღვანელობამაც სწორედ ამის მერე შემამჩნია.

**- ტიერი ანრისა და რაფაელ მარკესთან ერთად თამაშს ნებისმიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ინატრებდა. რას იტყვით ამ ვარსკვლავებზე?**

- ანრიმ ბევრი რამ მასწავლა და ცხოვრებისეულ საკითხებშიც დამეხმარა. ძალიან გულღიაა და მშვენიერი იუმორიც აქვს. სტადიონზე თუ მის გარეთ ღირსეულად იქცევა, მეგობრულია მოთამაშეებთან და ხალხთან. ხშირად მეუბნებოდა - ბევრი შრომა აუცილებლად დაგიფასდებაო. ყურადღებიანია მარკესიც, რჩევის მოცემა არ ეზარებოდა, მაგრამ უფრო ჩუმი და ჩაკეტილია. „რედ ბულში“ უეინ რუნის ძმაც იყო და მას ფიზიკურად საკმაოდ ჰგავდა, მაგრამ თამაშით... რა გითხრათ...

**- „რედ ბულის“ მწვრთნელი ძალიან გაქებდათ, მაგრამ გუნდში დამკვიდრება მაინც ვერ მოახერხეთ. რამ შეგიშალათ ხელი?**

- ტრავმებმა. 2008 წელს მარჯვენა მუხლზე მენისკის ოპერაცია გავიკეთე, კონტრაქტის გაფორმებამდე კი მარცხენა თეძოც ამტკივდა, დროთა განმავლობაში ტკივილი გამიძლიერდა და ოპერაციას კვლავ ვერ გადავურჩი. ექიმებთან რეაბილიტაციას რომ გავდიოდი, პარალელურად, ჩემს ძველ ნაცნობ უკრაინელ მწვრთნელს ბავშვების ვარჯიშში ვეხმარებოდი. „რედ ბულთან“ კონტრაქტი 2012 წელს დამიმთავრდა. მწვრთნელთან კონფლიქტი მომივიდა და უგუნდოდ დავრჩი. მას შემდეგ ამერიკაში გუნდი ვერ მოვძებნე და ასე ვიყავი ზუსტად ერთი წლის განმავლობაში. ამიტომაც ჩამოვედი საქართველოში.

**- არადა, ამერიკის ნაკრებში თამაშზე ოცნებობდით...**

- ეს ამბავი ძალიან გააბუქეს. ამერიკელმა ჟურნალისტმა მკითხა - ჩვენს ნაკრებში თუ ითამაშებდიო? ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში ჩემით არ ინტერესდებოდნენ და... ხომ არ ვეტყოდი, არა-მეთქი? ამ დროს, ნიუ იორკშიც ქართულად მზრდიდნენ და სულ ვფიქრობდი - იქნებ, საქართველოში ვინმე დაინტერესდეს-მეთქი...

**- ამერიკულ ფეხბურთზე რას იტყვით?**

- იქ ჩვენზე ბევრად უკეთესი პირობებია. განსხვავება დონეშიც საგრძნობია - ამერიკელები ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ. „რედ ბულს“ მარტო ფიზმომზადებაში სამი მწვრთნელი ჰყავდა. პირველი გამძლეობაზე გვავარჯიშებდა, მეორე - სირბილში, მესამე - ტრენაჟორების დარბაზში. ყველა ვარჯიშის შემდეგ გულის მდგომარეობას გვიმოწმებდნენ და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ჩვენთან „ფიზიკაში“ პრობლემა აშკარაა და ამიტომაცაა მატჩებში დაბალი ტემპი. მაგრამ საქართველოში ისეთი ნიჭიერი ბიჭები ვნახე, ბევრის მიღწევა რომ შეუძლიათ.

**- აქ დარჩენას როდემდე აპირებთ?**

- მომავალი წლის ბოლომდე და მერე ვნახოთ...

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელი

# კიკნაძე სიონიდან წავიდა

შაბათს „სიონმა“ „მეტალურგთან“ 0:1 წააგო და 10 ტურის შემდეგ 9 ქულით მე-10 ადგილზეა, რაც გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდის კვალობაზე სავალალო შედეგია.

ცხადია, ამ შედეგით უკმაყოფილო იყო ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძეც**. ამას დაემატა კლუბში არსებული ფინანსური პრობლემებიც, რამაც „სიონის“ თავკაცს გადადგომისკენ უბიძგა. ინფორმაცია კულუარულად კი დაგვიდასტურეს, თუმცა ბოლნისურ კლუბს ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.

ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნამდე, შესაძლოა, მომავალი მატჩისთვის გუნდი „სიონის“ გენერალურმა დირექტორმა, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ნახევარმცველმა **ლადო ბურდულმა** მოამზადოს. ყველაფერი უახლოეს დღეებში დაზუსტდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# შოთამ ტრაბზონი დაამარცხა, სხირტლაძემ საგოლედ უპასა...

ორშაბათს ქართველ ლეგიონერთა მონაწილეობით რამდენიმე მატჩი გაიმართა. კვიპროსის ჩემპიონატის მე-7 ტურში **შოთა გრიგალაშვილის** „ანორთოსისმა“ აპოელ-თან სტუმრად 0:1 წააგო და მესამე ადგილზე დაქვეითდა. ჩვენებურმა 73-ე წუთამდე ითამაშა.

დანიაში ქართველთა „ორჰუსმა“ სტუმრად 2:0 სძლია „ესბიერგს“. **დავით სხირტლაძე** 68-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ხოლო 83-ეზე თანაგუნდელს საგოლე პასი გაუკეთა - მეტოქის მცველს ფეხებში ჩაუხტა, ბურთი აართვა და გადააწოდა **კასპერ სლოტს**, რომელსაც მარტივ სიტუაციაში გოლის გატანა არ გასჭირვებია. რაც შეეხებათ „ორჰუსის“ სხვა ქართველებს - **მათე ვაწაძე** სათადარიგო გახლდათ, **დავით დევდარიანი** კი განაცხადში არ ყოფილა. „ორჰუსი“ 18 ქულით მე-5 ადგილზეა.

თურქეთში, **შოთა არველაძის** „ქასიმფაშამ“ იმ გუნდს აჯობა, სადაც ქართველმა საფეხბურთო კარიერის ბრწყინვალე ეტაპი გაიარა - „ტრაბზონსფორს“ 3:2 მოუგო. ამ მოგების შემდეგ, ჩვენებურის მიერ გაწვრთნილი სტამბოლური გუნდი სუპერლიგაში მე-2 ადგილზე გადავიდა და მხოლოდ „ფენერბაჰჩეს“ ჩამორჩება.

თამაშის შემდეგ შოთა ყველაფრით კმაყოფილი იყო: *„სტადიონზე ბრწყინვალე ატმოსფერო იყო და მინდა, რომ სულ ასე იყოს ჩვენთან... ლამაზი გოლები გავიტანეთ. სატურნირო მდგომარეობით კმაყოფილები ვართ, თუმცა ბრძოლა გრძელდება“.*

რუსეთში **გია გრიგალავას** „ანჟი“ სტუმრად 0:2 დამარცხდა „ყუბანთან“ და ბოლო ადგილზე დარჩა. საქართველოს ნაკრების მარცხენა მცველმა 90 წუთი ითამაშა (5,5 ბალი championat.ru-სგან).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხსოვნის ტურნირი

# ბალუს თასი თბილისში

თბილისის „დინამოს“ ფან-კლუბის „გლადიატორების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან ღამბაშიძე („ბალუ“) 2007 წელს ტრაგიკულად დაიღუპა. 2011 წელს კი **ლევან ღამბაშიძის** მეგობრების ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ტურნირს, რომელსაც „ბალუს თასი“ ეწოდა და რომელიც საფეხბურთო კლუბ „დინამო-თბილისის“ სრული მხარდაჭერით ჩატარდა. პირველ ორ გათამაშებაში საქართველოს გუნდები მონაწილეობდნენ, წლევანდელ ტურნირში კი, მუშტაიდის ბაღმა რომ უმასპინძლა, მინსკის „დინამოს“, ლვოვის „კარპატისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ფანების საფეხბურთო გუნდებიც ვიხილეთ.

ტურნირის ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, „დინამოს“ ფანების, „გლადიატორების“ გუნდი იყო; „გლადიატორებმა“ პირველ მატჩში „დნიპროს“ 6:1 მოუგეს, შემდეგ „კარპატის“ 2:0 აჯობეს, გადამწყვეტ შეხვედრაში კი მინსკის „დინამოსთან“ 3:1 გაიმარჯვეს.

და აი, ფინალის დროც დადგა: „გლადიატორების“ (მთავარი მწვრთნელი: **კობა კობაიძე**) მეტოქე კვლავაც „დნიპრო“ იყო და ამჯერადაც შეძლეს უკრაინელების დამარცხება - 4:2 (გოლები გაიტანეს: **ნუგო გვასალიამ-2, გიორგი ზარიძემ, თაზო ცუცქირიძემ**).

ტურნირის საუკეთესო მეკარედ **როლანდ გაფრინდაშვილი** („გლადიატორები“) აღიარეს, საუკეთესო ფეხბურთელად კი - **თაზო ცუქირიძე** („გლადიატორები“).

**გია გაგოშიძე**

გამოცდილება

# უფულო ბოსნიელთა წარმატების საიდუმლო

## სიხარული, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების ტოლფასი იყო

**ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არის პატარა ქვეყანა - ბოსნია და ჰერცეგოვინა. ოდნავ მცირე ფართობზეა გაშენებული, ვიდრე ოკუპაციისშემდეგომი საქართველო - 51.1 კვ.კმ. ეთნიკურად ჭრელმა, ომგადატანილმა და პრობლემებით სავსე ამ პატარა ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა**

**შეიძლება იმის თქმაც, რომ საფეტ სუშიჩის გუნდს წილისყრაში გაუმართლათ, რადგან ჯგუფში (საბერძნეთი, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია, ლიხტენშტაინი) გრანდები არ ჰყოლიათ. მაგრამ ისიც არ გამოგვრჩეს, რომ ბოსნიელებმა ესეც წარმატებული თამაშით დაიმსახურეს: წინა ორ ციკლში ორჯერვე მეორე ადგილი დაიკავეს და, მართალია, პლეიოფში ვერ ივარგეს, მაგრამ ერთ-ერთ მოწინავე კალათაში მაინც მოხვდნენ...**

**ბოსნიაში პოლიტიკური სიტუაცია დღესაც დაძაბულია, ეთნიკურ ჯგუფებს შორის პრობლემები მოუგვარებელი რჩება, ომის პროვოცირების მცდელობა და შფოთი, მათ შორის - სტადიონებზე, იშვიათი მოვლენა არ არის...**

**ამის მიუხედავად, ბოსნიელებმა ფეხბურთში მაინც გამოავლინეს ერთსულოვნება და ისეთი ნაკრები ჩამოაყალიბეს, ბევრ ევროპულ ქვეყანას რომ შეშურდებოდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბოსნიელები ყოფილ იუგოსლავიის ნაკრებში წამყვან პოზიციებზე არ იყვნენ (ისე კი, თავად მწვრთნელი სუშიჩი 1982 წლის მუნდიალის მონაწილეა). იქაური ფეხბურთი მხოლოდ დამოუკიდებლობის შემდეგ განვითარდა.**

**როგორ იქმნებოდა ბოსნიური წარმატების მისი საფუძველი? ამის შესახებ ბევრისთვის უცნობი ბოსნიელი სპეციალისტი ვერნეს სალკიჩევიჩი გვესაუბრება. ის ბოსნიის უმაღლესი დივიზიონის კლუბ სარაევოს „ოლიმპიკის“ ასაკობრივი გუნდის მწვრთნელია. ინტერვიუს მომზადებაში მენეჯერი გიორგი შანიძე დაგვეხმარა.**

**- თქვენი აზრით, რამ მოუტანა ბოსნიურ ფეხბურთს წარმატება? რა იყო ამის წინაპირობა?**

- ეს გუნდი 4 წლის განმავლობაში „შენდებოდა“. წინა ციკლშიც შეგვეძლო გასვლა, მაგრამ მაშინ იღბალმა ზურგი გვაქცია. რაც შეეხება დღევანდელი წარმატების წინაპირობას, ამას ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. ალბათ, იმანაც, რომ 2011 წელს ფიფასა და უეფას სანქციებმა გვაიძულა, ეთნიკური პრობლემების მიუხედავად, ფეხბურთში მაინც ვყოფილიყავით ერთსულოვნები. მივხვდით, რომ, ბოლოს და ბოლოს, ეს წარმატება ბოსნიაში მცხოვრებ ყველა ერს გაახარებდა. ძალიან დიდი როლი ითამაშა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა საფეტ სუშიჩმა. ის წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გახლდათ და კარიერის შემდეგ მწვრთნელობა დაიწყო. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან წარმატებული სპეციალისტი იყო - საფრანგეთში, საუდის არაბეთსა და თურქეთში ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. მაგრამ ფაქტია - ნაკრებში უნარიანად იმუშავა. ისიც სათქმელია, რომ ბოსნიის ნაკრებში ბევრი ცნობილი მოთამაშე შეიკრიბა - ჩვენი კაპიტანი ემირ სპაჰიჩი „ლევერკუზენში“ თამაშობს, ედინ ჯეკო - „მანჩესტერ სიტიში“, მირალემ პიანიჩი - „რომაში“, სენად ლულიჩი - „ლაციოში“, ვედად იბიშევიჩი - „შტუტგარტში“... ამდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი არასოდეს გვყოლია. სუშიჩის მთავარი დამსახურება კი ის არის, რომ ამ ფეხბურთელების ნიჭი სწორად გამოიყენა, გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო შექმნა, უსიამოვნება და კონფლიქტები გამორიცხა. არადა, გუნდიც ქვეყანასავითაა - გვყავს ხორვატები, სერბები და ბოსნიელები. ცხადია, ადრე პატარ-პატარა უსიამოვნებები ხდებოდა. მაგრამ ფეხბურთელებმა პროფესიონალიზმი და თავდადება გამოავლინეს.



ვერნეს სალკიჩევიჩი

**- ბოსნია პატარა და ჯერაც მზარდი ქვეყანაა, ძლიერი ეკონომიკით არ გამოირჩევა. ფეხბურთში ფულს ვინ აბანდებს?**

- ბალკანეთის ყველა ქვეყანას ეკონომიკური პრობლემები აქვს და ბოსნია გამონაკლისი ვერ იქნება.

**- სახელმწიფო ფეხბურთს ან ზოგადად სპორტს არ ეხმარება?**

- მაგალითისთვის გეტყვით იმას, რაც კალათბურთელთა გუნდს შეემთხვა...

**- ...ევროპის ჩემპიონატზე ნასესხები ფულით რომ გაემგზავრა?**

- დიახ. კალათბურთელები იძულებულნი გახდნენ, ასე მოქცეულიყვნენ, რადგან ბოსნიის მთავრობამ ჩათვალა, რომ მეზობელ სლოვენიაში ნაკრების გამგზავრებას ხარჯი არ სჭირდებოდა და გუნდს საერთოდ არ დაეხმარა. ამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი აცო პეტროვიჩი კი ორი წლის განმავლობაში უფასოდ მუშაობდა და მხოლოდ ერთხელ, ისიც გუნდის ევროპის ჩემპიონატზე გაყვანისთვის მიიღო პრემია. ფეხბურთსაც არ ეხმარებიან, მაგრამ ჩვენთან მოხერხდა სამართლიანი სპორტული პრინციპების დამკვიდრება.

**- რას გულისხმობთ?**

- გარიგებული მატჩების წინააღმდეგ რეალური ბრძოლა დაიწყო. მეორე ფაქტორი - ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ამიტომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ჩვენი რესურსები მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. პატარა ქალაქებსა და სოფლებში საფეხბურთო სკოლები გავხსენით. ბევრი ახალგაზრდა მწვრთნელი ჯერ კიდევ 90-იან წლებში წავიდნენ სასწავლებლად გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში... ცხადია, ყველაფერს ვერ ვიხსენებ, მაგრამ შედეგი ძირითადად ამ ფაქტორებმა გამოიღო. თანაც, ეს შედეგი ძალიან მოკლე დროში მივიღეთ.

**- ქართულ ფეხბურთს თუ იცნობთ?**

- ბევრი არაფერი ვიცი. თუ არ მეშლება, საქართველოს გუნდებისა და ნაკრების თამაშებიც მხოლოდ რამდენჯერმე მინახავს. მაგრამ გისურვებთ, რომ თქვენც განიცადოთ ის სიხარული, რაც ბოსნიელებს გვეწვია. ეს ლამის დამოუკიდებლობის მოპოვების ტოლფასი სიხარული იყო.

***... ვფიქრობთ, დამაფიქრებელი და სამაგალითოა ბოსნიელთა წარმატების ისტორია. საქართველოში კი რა მოხდა? ჯერ საფეხბურთო სამყარო დავშალეთ მარტივ მამრავლებად, მერე ენერგია ერთმანეთთან ბრძოლას შევალიეთ და შედეგად მივიღეთ ის, რომ დღეს გვყავს ეროვნული ნაკრები, რომელსაც წარმატებად ჯგუფში მეოთხე ადგილის დაკავება ეთვლება...***

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტურის შეჯამება

# დანა ზურგში

## ჟოზეს ჭრილობა დღესაც სტკივა

„მანჩესტერ სიტიმ" ტურის ცენტრალური შეხვედრა ბოლო წამებზე საკუთარი ფეხბურთელების უხეში შეცდომების გამო დათმო და მე-4 ადგილიდან მე-7 საფეხურამდე დაქვეითდა. სტუმრად ჩატარებული 5 თამაშიდან „ქალაქელებმა" 3 წააგეს და მაქსიმალური 15 ქულიდან 11 დაკარგეს. 60 წლის ჩილელმა სპეციალისტმა საჯაროდ საკუთარი ფეხბურთელების კრიტიკისგან თავი ვეღარ შეიკავა და მარცხს სულელური უწოდა. მან უარი თქვა კონკრეტული „დამნაშავეების" დასახელებისგან, მიუხედავად იმისა, რომ მათი ვინაობა ყველასთვის ცნობილია, ვინც კი თამაშს ადევნა თვალი, ან მიმოხილვა მაინც ნახა.

**მანუელ პელეგრინი:** *„უკვე სამი მატჩი წავაგეთ სტუმრად, თუმცა მიმაჩნია, რომ ამას არც ერთ შემთხვევაში არ ვიმსახურებდით. არ ვიცი, ასეთ დროს მარცხი ყველაზე გულსატკენი არის თუ არა, მაგრამ ერთ-ერთი ნამდვილად არის გულის ტკივილის მიზეზებს შორის. ეს იყო მორიგი მარცხი და მორიგი ძვირად ღირებული შეცდომა. ვფიქრობ, ახლა დამნაშავეთა ძებნის დრო არ არის. ამ თემაზე უახლოესი კვირის განმავლობაში ვიფიქრებთ".*

**ჟოზე მოურინიო:** *„შესაძლოა, ვინმემ წამოგვაძახოს, რომ საუკეთესო თამაში არ გვიჩვენებია და რომ მეტოქე რიგ მომენტებში გვჯობდა კიდეც, რომ ჩვენგან საუკეთესო პეტრ ჩეხი იყო, თუმცა პირველ ტაიმში ეს ასე ნამდვილად არ ყოფილა. ცხრა ტურში 20 ქულა დავაგროვეთ, თანაც „იუნაიტედთან", „ტოტენჰემთან", „ევერტონსა" და „სიტისთან" თამაშები მოვიტოვეთ ზურგს უკან. მესმის მეტოქის განცდების, რადგან „ბაიერნთან" სწორედ ბოლო წამებზე წავაგეთ. ისეთ შეგრძნებას ჰგავს, თითქოს, ვიღაცამ ზურგში დანა ჩაგარტყა, შენ კი მისთვის თვალებში ჩახედვის შანსი არ გქონდა. ასეთი ემოციების სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია".*

### ფაქტები

„კრისტალ პალასმა" „არსენალი" საშინაო შეხვედრებში მხოლოდ ერთხელ დაამარცხა. ისიც შორეული 1979 წლის ნოემბერში. მოუგებელი სერია „სელჰარსტ პარკზე" უკვე 9 მატჩს შეადგენს. აქედან მასპინძელმა მხოლოდ ორჯერ ითამაშა ფრედ.

შაბათამდე მათი უკანასკნელი შეხვედრა (5:1) ერთგვარად ისტორიული იყო, რადგან პირველად პრემიერლიგური გუნდის განაცხადში, ვგულისხმობთ „არსენალს", არც ერთი ბრიტანელი ფეხბურთელი არ ყოფილა. ეს 2005 წლის 14 თებერვალს მოხდა.

■ ■ ■

„ასტონ ვილასა" და „ევერტონს" შორის ინგლისის უმაღლესი ლიგის ეგიდით ყველაზე მეტი მატჩია გამართული. შაბათის შეხვედრა მათ შორის 197-ე იყო. მეტოქეთა ანგარიშზე ახლა უკვე 72-72 მოგებაა.

„ევერტონმა" მეტოქე უკანასკნელი 15 შეხვედრიდან მხოლოდ მეორედ დაამარცხა, თუმცა „ვილა პარკზე" ეს მისი ზედიზედ მეორე მოგება აღმოჩნდა. იქამდე ლივერპულელთა მოუგებელი სერია 12 მატჩს აღწევდა.

„ევერტონმა" უკანასკნელ 19 შეხვედრაში პირველად მოახერხა ბირმინგემელებთან კარის მშრალად შენახვა.

■ ■ ■

„ლივერპულმა" „ვესტ ბრომვიჩს" ღირსეული პასუხი გასცა შაბათის დაპირისპირებამდე უკანასკნელი 5-დან 4 შეხვედრაში მოგებისთვის. არადა, 2010/11 წლების სეზონამდე, სანამ „ბრომვიჩის" წარმატებები დაიწყებოდა, მერსისაიდელებს მასთან ზედიზედ 9 შეხვედრა ჰქონდათ მოგებული მშრალი ანგარიშით.

■ ■ ■

„სტოკს" „ოლდ ტრეფორდზე" კატასტროფული შედეგები აქვს. 1976 წლიდან მოყოლებული 13 შეხვედრაში მხოლოდ 1 ფრე და 12 წაგება. აქედან 10 ზედიზედ. ამ თამაშებში „იუნაიტედმა" 29 გოლი გაიტანა და მხოლოდ 7 გაუშვა.

„მეთიხეებმა" მეტოქე უკანასკნელად 1984 წლის დეკემბერში დაამარცხეს 2:1. მას შემდეგ 11 შეხვედრაში „იუნაიტედმა" 10-ჯერ იმარჯვა.

■ ■ ■

„ნორვიჩი" და „კარდიფი" უმაღლეს ლიგაში ერთმანეთს პირველად შეხვდნენ.

ქვედა ლიგებში ისინი ერთმანეთს „კეროუ როუდზე" 23-ედ შეხვდნენ. აქედან სტუმარს მხოლოდ 2 მოგება აქვს.

გუნდებმა ერთმანეთთან ზედიზედ მეორე მატჩი დაასრულეს ფრედ. იქამდე კი, 2007 წლის იანვარში „იადონებმა" შინ 1:2 დათმეს შეხვედრა.

■ ■ ■

შაბათის მატჩამდე „საუთჰემპტონს" მეტოქესთან ზედიზედ სამჯერ ჰქონდა ფრედ ნათამაშები, მოუგებელი სერია კი 7 შეხვედრას მოიცავდა. „წმინდანების" უკანასკნელი გამარჯვება 2002 წლის 27 ოქტომბრით თარიღდებოდა.

„სენტ მერიზე" „ფულჰემმა" უკანასკნელად 1935 წლის 26 ოქტომბერს მოიგო.



ჟოზე მოურინიო ფერნანდო ტორესის გოლს გულშემატკივრებთან ერთად ზეიმობს

■ ■ ■

ტაინსაიდელები პრემიერლიგაში სულ 23-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. „შავმა კატებმა" მხოლოდ 5-ჯერ იმარჯვეს, მაგრამ აქედან მიჯრით ორჯერ შეძლეს ამის გაკეთება. წინა შემთხვევაში, 2013 წლის აპრილში, ეს იყო **პაოლო დი კანიოს** სადებიუტო შეხვედრა, ახლა კი **გუს პოიეტის** პირველი საშინაო დაპირისპირება.

„სანდერლენდმა" 12 საშინაო შეხვედრიდან მხოლოდ მეორედ იმარჯვა და 5-ჯერ მოახერხა ქულის აღება. კარის მშრალად შენახვა მასპინძელმა უკანასკნელად 1985 წლის აპრილში შეძლო.

■ ■ ■

„მანჩესტერ სიტი" „სტემფორდ ბრიჯზე" უკანასკნელი 16 სტუმრობიდან 11-ჯერ დამარცხდა, 4-ჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთხელ მოიგო.

მეტოქეთა საერთო სტატისტიკაც ლონდონელთა უპირატესობაზე მეტყველებს. მოყოლებული 2000/01 წლების სეზონიდან „ჩელსიმ" პრემიერლიგის 25 შეხვედრიდან 17 მოიგო და 2-ჯერ ითამაშა ფრედ.

ჟოზე მოურინიომ მანუელ პელეგრინი მერვე შეხვედრაში მეხუთედ დაამარცხა.

■ ■ ■

ყველა რანგის ლიგის შეხვედრათა სტატისტიკას თუ გავითვალისწინებთ, „ვესტ ჰემი" „გედებს" 23-ედ ეწვია. აქედან მას 4 მოგება, 5 ფრე და 14 წაგება აქვს.

„სუონსი"-„ვესტ ჰემის" უგოლო ფრე უჩვეულო სანახაობაა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ აქამდე მათ შეხვედრებში საშუალოდ 3.5 გოლი გადიოდა.

■ ■ ■

„ჰალს" „უაით ჰართ ლეინზე" ბოლო ორი შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული, 2008 წლის ოქტომბერში მინიმალური ანგარიშით მოიგო, 2010-ის იანვარში კი 0:0 დაასრულა. საერთო ბალანსი მაინც „დეზების" უპირატესობაზე მეტყველებს: 25 თამაში, 10 მოგება, 8 ფრე და 6 მარცხი.

„ტოტენჰემმა" მიმდინარე სეზონში შინ 5-დან 3 თამაში მოიგო და სამივე მშრალი ანგარიშით.

### სტატისტიკა IX ტურის შემდეგ

**საუკეთესო ბომბარდირები:**

8 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)
7 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)
6 - ლუის სუარესი (ლივერპული)

**საუკეთესო მეპასეები:**

4 - ოლივიე ჟირუ (არსენალი), აარონ რემსი (არსენალი)
3 - მესუთ ოზილი (არსენალი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), კევინ მირალიაში (ევერტონი)

**გოლი+პასი:**

10 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული) - 8+2
9 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 7+2, აარონ რემსი (არსენალი) - 5+4, ოლივიე ჟირუ (არსენალი) - 5+4
7 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 6+1

**ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები:**

5 - ფერნანდო ტორესი (ჩელსი), მარკ ნოუბლი (ვესტ ჰემი), მაპუ იანგა-მბივა (ნიუკასლი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1

### სიმბოლური ნაკრები




ამბები



რაიან შოუკროსი

## საქმის გარჩევა გასახდელში გაგრძელდა

„სტოკის" 26 წლის კაპიტანი **რაიან შოუკროსი** 6 წელია, რაც „ბრიტანია სტედიუმზე" ასპარეზობს. ის „მეთიხეთა" შორის ჯერ იჯარით თამაშობდა, შემდეგ კი სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმა. საფეხბურთო ანა-ბანა ფეხბურთელმა „მანჩესტერ იუნაიტედში" აითვისა. 2011 წელს **ალექს ფერგიუსონი** „ეშმაკებში" მის დაბრუნებას აპირებდა, თუმცა უარი მიიღო. მიზეზი ბანალურია: რაიანმა არ მოინდომა იქ თამაში, სადაც ერთხელ მასზე უარი თქვეს. შოუკროსი მებრძოლ ფეხბურთელად არის ცნობილი. „იუნაიტედთან" კი მისი ემოციები ათმაგდება. ალბათ ამის ბრალი იყო, რომ შაბათს „ოლდ ტრეფორდზე" ჯერ იყო და ლამის ფეხი მოამტვრია **რობინ ვან პერსის**, პირველი ტაიმის მიწურულს კი ჰოლანდიელს ყელში სწვდა. „ტელეგრაფის" ინფორმაციით, უსიამოვნება ფეხბურთელებს შორის შესვენებისას გასახდელისკენ მიმავალ გვირაბშიც მოხდა. შოუკროსმა მეტოქეს ხელი ჰკრა, რის გამოც **ლი მეისონმა** მას ყვითელი ბარათი უჩვენა. რაიანს არც ვან პერსი დარჩა ვალში და თამაშის შემდეგ გვერდით ჩავლილმა მას რაღაც შეურაცხმყოფელი მიაძახა, რამაც, შოუკროსი წყობილებიდან გამოიყვანა.

## ფენერბაჰჩე არ ნებდება

29 წლის ტოგოელი თავდამსხმელი **ემანუელ ადებაიორი** მიმდინარე სეზონში „ტოტენჰემის" რიგებში არ გამოჩენილა. მეტიც, **ანდრე ვილაშ ბოაშს** ის სამატჩო განაცხადში ჯერ არ შეუყვანია. ამის მიზეზი ნამდვილად არ არის მხოლოდ გაუთავებელი ტრავმები. პორტუგალიელ სპეციალისტს მოთამაშე უბრალოდ არ სჭირდება. „ფენერბაჰჩეს" პრეზიდენტი **აჰმედ ნური** ოპტიმისტურად არის განწყობილი და აცხადებს, რომ იანვარში კიდევ ერთხელ შეეცდება ტოგოელის გადაბირებას. *„ადებაიორის ყიდვას აგვისტოშიც ვაპირებდით, მაგრამ მაშინ პირადად ფეხბურთელს ვერ მოვურიგდით. ამ საქმისთვის თავის მობმა ახლაც გაჭირდება, რადგან მასზე მოთხოვნა ძალიან დიდია,"* - აცხადებს თურქული კლუბის პირველი პირი.



ემანუელ ადებაიორი

## ფლამინის ტრავმა

**მატიო ფლამინიმ** „კრისტალ პალასი" „არსენალის" მატჩის დებიუტში, მე-8 წუთზე საზარდულის ტრავმა მიიღო. **არსენ ვენგერი** იძულებული გახდა, 29 წლის საყრდენი შეეცვალა. პირველადი დიაგნოზი დადასტურდა - „მეთოფეების" ფრანგი შუახაზელი ორი კვირა ვერ დაეხმარება. სამწუხაროა, რადგან ამ პერიოდში გუნდს უმნიშვნელოვანესი თამაშები ელის. დღეს საღამოს „ემირეიტსის" ლიგის თასის შეხვედრაში „ჩელსი" სტუმრობს, 2 ნოემბერს ამავე არენაზე პრემიერლიგის X ტურში „ლივერპული" ითამაშებს, 6-ში კი „არსენალი" დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონს" ეწვევა. ფლამინი გუნდს 10 ნოემბერს „ოლდ ტრეფორდზე" თუ დაუბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



მატიო ფლამინი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A. XXXI ტური



„სან პაულო" და ალოიზიო შესანიშნავ ფორმაში არიან

# უცნაური შეხვედრები და თითქმის განაღდებული ტიტული

**ბოტაფოგო-ატლ. მინეირო 1:0**

გოლი: 1:0 ჟულიო სეზარი (52)

**კრუზეირო-კრისიუმა 5:3**

გოლები: 1:0 ევერტონ რიბეირო (13), 2:0 დაგობერტო (19), 2:1 ჟოაო ვიტორი (34), 2:2 ლინსი (42), 2:3 რიკარდინიო (45), 3:3 ბორჟესი (58), 4:3 ბორჟესი (76), 5:3 დაგობერტო (85-პენ)

გაძევება: სუელიტონი (49. კრისიუმა)

**კორინთიანსი-სანტოსი 1:1**

გოლები: 1:0 დუგლასი (27), 1:1 გუსტავო ენრიკე (62)

**ბაია-ატლ. პარანაენსე 1:1**

გოლები: 1:0 ობინა (47), 1:1 ედერსონი (58)

გაძევება: ბრუნო სილვა (38. ატლეტიკო პარანაენსე), ელდერი (80. ბაია)

**ინტერნასიონ.-სან პაულო 2:3**

გოლები: 0:1 ალოიზიო (10), 1:1 ლეანდრო დამიაო (33), 1:2 ალოიზიო (44-პენ), 2:2 ჟორჟე ენრიკე (48), 2:3 ალოიზიო (54-პენ)

**პონტე პრეტა-ვასკო 2:1**

გოლები: 0:1 დიეგო საკომანი (16-საკ. კარში), 1:1 ადრიანინიო (80), 2:1 უენდელი (90)

გაძევება: ფერონი (63. პონტე პრეტა), ნეი (86. ვასკო და გამა)

**ფლუმინენსე-ვიტორია 2:3**

გოლები: 0:1 მარკინიოსი (24), 1:1 აირტონი (28-საკ. კარში), 2:1 რაფაელ სობისი (58), 2:2 ჟუანი (63), 2:3 ვილიამ ენრიკე (68)

გაძევება: კადუ (16. ვიტორია)

**ნაუტიკო-გოიასი 0:2**

გოლები: 0:1 ველინტონი (2), 0:2 ამარალი (41)

**კორიტიბა-გრემიო 4:0**

გოლები: 1:0 პარა (1-საკ. კარში), 2:0 ალექსი (4), 3:0 რობინიო (35), 4:0 ჟერალდო (59)

გაძევება: პარა (67. გრემიო)

**პორტუგეზა-ფლამენგო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 31 | 20 | 5 | 6 | 65-29 | 65 |
| 2. ბოტაფოგო | 31 | 15 | 8 | 8 | 45-35 | 53 |
| 3. გრემიო | 31 | 15 | 8 | 8 | 37-30 | 53 |
| 4. ატლ. პარან. | 31 | 14 | 10 | 7 | 48-39 | 52 |
| 5. გოიასი | 31 | 13 | 10 | 8 | 40-34 | 49 |
| 6. ვიტორია | 31 | 13 | 8 | 10 | 45-44 | 47 |
| 7. ატლ. მინეირო | 31 | 12 | 9 | 10 | 34-30 | 45 |
| 8. სანტოსი | 31 | 11 | 11 | 9 | 40-32 | 44 |
| 9. სან პაულო | 31 | 12 | 7 | 12 | 33-31 | 43 |
| 10. ინტერნასიონ. | 31 | 10 | 12 | 9 | 47-45 | 42 |
| 11. ფლამენგო | 31 | 10 | 11 | 10 | 36-36 | 41 |
| 12. კორინთიანსი | 31 | 9 | 14 | 8 | 24-19 | 41 |
| 13. კორიტიბა | 31 | 10 | 10 | 11 | 37-39 | 40 |
| 14. პორტუგეზა | 31 | 10 | 9 | 12 | 45-43 | 39 |
| 15. ბაია | 31 | 9 | 10 | 12 | 32-39 | 37 |
| 16. ფლუმინენსე | 31 | 9 | 9 | 13 | 35-40 | 36 |
| 17. პონტე პრეტა | 31 | 9 | 6 | 16 | 33-44 | 33 |
| 18. ვასკო | 31 | 8 | 9 | 14 | 41-51 | 33 |
| 19. კრისიუმა | 31 | 9 | 5 | 17 | 41-56 | 32 |
| 20. ნაუტიკო | 31 | 4 | 5 | 22 | 20-62 | 17 |

**ბომბარდირები:** 16 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 14 - ჟილბერტო (პორტუგეზა), ვილიამი (პონტე პრეტა); 13 - ფერნანდაო (ბაია), ერნანი (ფლამენგო); 12 - ვალტერი (გოიასი); 11- ალექსი (კორიტიბა), ანდრე (ვასკო და გამა)

**ბრაზილიის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, რის გამოც დაძაბული და საინტერესო მატჩების რაოდენობა მატულობს. მორიგ, 31-ე ტურში რამდენიმე გამორჩეული შეხვედრა გაიმართა, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.**

პირველ რიგში, ალვნიშნოთ მომავალი ჩემპიონის ასპარეზობა. დიახ, საუბარი „კრუზეიროზე" გვაქვს, რომელსაც ხელს ნამდვილად ვერავინ შეუშლის და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურის წინ მარსელო ოლივეირას გუნდს ბოლო ხუთიდან ოთხი მატჩი ჰქონდა წაგებული. ამჯერად, „მელიები" ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „კრისიუმას" მასპინძლობდნენ და 34-ე წუთისთვის მშვიდად იგებდნენ, თუმცა ტაიმის ბოლომდე დარჩენილ 11 წუთში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და სტუმრებმა ფავორიტის კარში სამი გოლი გაიტანეს. საბოლოოდ, სასწაული არ მოხდა და მასპინძლებმა მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგეს - **ბორჟესმა** ორი გოლი გაიტანა, **დაგობერტომ** კი შეხვედრას წერტილი 11-მეტრიანით დაუსვა.

დამარცხდა „კრუზეიროს" მდევარი „გრემიო", რაც იმას ნიშნავს, რომ ლიდერი მეორე ადგილზე მყოფ გუნდებს კვლავ 12 ქულით უსწრებს. პორტუ ალეგრის წარმომადგენლები კურიტიბას ესტუმრნენ და იქიდან შერცხვენილები გამობრუნდნენ. შეხვედრის ანტიგმირი გახდა მარჯვენა მცველი **პარა**, რომელმაც პირველივე წუთზე საკუთარ კარში გაიტანა, მეორე ტაიმში კი წითელი ბარათი მიიღო. „კორიტიბამ" წინა ტურში „კრუზეიროს" მოუგო, ამჯერად კი მეორე ადგილზე მყოფი გუნდი დაამარცხა და გასავარდნ ზონას მთელი 7 ქულით დაშორდა.

სამაგიეროდ, ისევ იქაა „ვასკო და გამა". ბრაზილიის 4-გზის ჩემპიონი კონკურენტ „პონტე პრეტას" ეთამაშებოდა და **დიეგო საკომანის** ავტოგოლით იგებდა კიდეც, თუმცა შეხვედრის ბოლო 10 წუთში, 10-კაციანი მეტოქისგან, ორი გოლი გაუშვა და მოუგებელი მატჩების სერია 4-მდე გაზარდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია „პონტე პრეტას" ცენტრალური მცველი - დიეგო საკომანმა საკუთარი კარის აღება ზედიზედ მეორე შეხვედრაში „მოახერხა", მაგრამ პარტნიორების ძალისხმევით, მისმა გუნდმა ამ ორ მატჩში 4 ქულა აიღო.

„სან პაულოს" შესანიშნავი სერია კი მორიგი გამარჯვებით გაგრძელდა. **მურისი რამალიოს** შეგირდებმა „ინტერნასიონალს" **ალოიზიოს** ჰეთთრიქის წყალობით მოუგეს და უკვე 9-ე ადგილზე გადავიდნენ, არადა, ლეგენდარული დამრიგებლის დაბრუნებამდე, ქვეყნის 6-გზის ჩემპიონი გასავარდნ ზონაში იყო. სერია A-ს ბოლო 6 ტურში „სან პაულომ" 16 ქულა მოაგროვა, რაც „გოიასთან" ერთად საუკეთესო შედეგია.

„გოიასი" - აი, კიდევ ერთი გუნდი ვისი ასპარეზობაც გაოცებას იწვევს. ლიგის დებიუტანტმა მიჯრით 5 მატჩი მოიგო და ახლა, მეორე ადგილზე მყოფ „ბოტაფოგოს" მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება. მეექვსეზე კი „ვიტორიაა", რომლის გამარჯვებასაც ასევე მოულოდნელი უნდა ვუწოდოთ. კი, **ნეი ფრანკოს** მისვლის შემდეგ, „ვიტორიამ" გამოიღვიძა და ძალიან მოუმატა, მაგრამ მე-16 წუთზე 10 კაცით დარჩენილი თუ „ფლუმინენსეს" მოუგებდა, ნამდვილად ძნელი წარმოსადგენი იყო.

სეზონის დასრულებამდე სულ 7 ტურია დარჩენილი და თავისუფლად შესაძლებელია, რომ მოქმედი ჩემპიონი („ფლუმინენსე") სერია B-ში გავარდეს და მას ქვედა დივიზიონში „ვასკო და გამაც" მიჰყვეს.

რახან ვახსენეთ, გეტყვით, რომ მეორე ლიგის დასრულებამდე სულ 6 ტურია დარჩენილი და ერთმა გუნდმა უმაღლესი დივიზიონის საგზური უკვე ოფიციალურად გაინაღდა. არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ეს გუნდი შარშან გავარდნილი, ბრაზილიის 8-გზის ჩემპიონი, „პალმეირასი" გახლავთ, რომელიც მეხუთეზე მყოფ „იკასას" 18 ქულით უსწრებს. დაწინაურების მშვენიერი შანსი აქვს მეორე ადგილზე მყოფ „შაპეკოენსეს", ვისაც არა მხოლოდ უმაღლეს ლიგაში, ამ სეზონამდე სერია B-შიც კი არ ჰქონდა ნათამაშები.

აშშ. MLS. რეგულ. სეზონი. ბოლო ტური

# დაძაბული ბოლო ტური

**ფილადელფია-კანზას სიტი 1:2**

გოლები: 0:1 ზუსი (47), 1:1 მაკინერნი (88), 1:2 ოლუმი (90)

**ტორონტო-მონრეალი 1:0**

გოლი: 1:0 ერნშოუ (16)

**სან ხოსე-დალასი 2:1**

გოლები: 1:0 ვ. მარტინესი (27), 2:0 ვონდოლოვსკი (57), 2:1 კილი (90)

**ჩივასი-პორტლენდი 0:5**

გოლები: 0:1 დ. ვალერი (16), 0:2 დ. ვალერი (29), 0:3 რ. ულასი (34), 0:4 რ. ჯონსონი (72), 0:5 ვ. ჯონსონი (76)

**DC იუნაიტედი-ჰიუსტონი 1:2**

გოლები: 0:1 ბ. გარსია (11-პენ), 1:1 პორტერი (27), 1:2 ბარნსი (39)

**კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი 0:1**

გოლი: 0:1 აგუდელო (28)

**რედ ბულსი-ჩიკაგო 5:2**

გოლები: 0:1 მაგი (6), 1:1 ანრი (24), 2:1 სეკაჯია (50), 3:1 სემი (56), 4:1 ალექსანდერი (77), 5:1 სტილი (84), 5:2 ამარიკვა (90)

**ვანკუვერი-კოლორადო 3:0**

გოლები: 1:0 კამილო (44-პენ), 2:0 კამილო (74), 3:0 კამილო (84)

**სიეტლი-გელექსი 1:1**

გოლები: 1:0 დემპსი (30), 1:1 რობი კინი (78)

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რედ ბულსი | 34 | 17 | 8 | 9 | 58-41 | 59 |
| 2. კანზას სიტი | 34 | 17 | 7 | 10 | 47-30 | 58 |
| 3. ნიუ ინგლენდი | 34 | 14 | 9 | 11 | 49-38 | 51 |
| 4. ჰიუსტონი | 34 | 14 | 9 | 11 | 41-41 | 51 |
| 5. მონრეალი | 34 | 14 | 7 | 13 | 50-49 | 49 |
| 6. ჩიკაგო | 34 | 14 | 7 | 13 | 47-52 | 49 |
| 7. ფილადელფია | 34 | 12 | 10 | 12 | 42-44 | 46 |
| 8. კოლამბუსი | 34 | 12 | 5 | 17 | 42-46 | 41 |
| 9. ტორონტო | 34 | 6 | 11 | 17 | 30-47 | 29 |
| 10. DC იუნაიტედი | 34 | 3 | 7 | 24 | 22-59 | 16 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტლენდი | 34 | 14 | 15 | 5 | 54-33 | 57 |
| 2. სოლტ ლეიკი | 34 | 16 | 8 | 10 | 57-41 | 56 |
| 3. გელექსი | 34 | 15 | 8 | 11 | 53-38 | 53 |
| 4. სიეტლი | 34 | 15 | 7 | 12 | 42-42 | 52 |
| 5. კოლორადო | 34 | 14 | 9 | 11 | 45-38 | 51 |
| 6. სან ხოსე | 34 | 14 | 9 | 11 | 35-42 | 51 |
| 7. ვანკუვერი | 34 | 13 | 9 | 12 | 53-45 | 48 |
| 8. დალასი | 34 | 11 | 11 | 12 | 48-52 | 44 |
| 9. ჩივასი | 34 | 6 | 8 | 20 | 30-67 | 26 |

**ბომბარდირები:** 22 - კამილო (ვანკუვერი); 21 - მაგი (ჩიკაგო); 20 - დი ვაიო (მონრეალი);

**ასისტენტები:** 13 - დიეგო ვალერი (პორტლენდი); 12 - ლე ტუ (ფილადელფია); 11 - რობი კინი (გელექსი)

**პლეი ოფი**

აღმოსავლეთი: „რედ ბულსი"-"ჰიუსტონი" ან „მონრეალი", „კანზას სიტი"-"ნიუ ინგლენდი"

დასავლეთი: „პორტლენდი"-"სიეტლი" ან „კოლორადო", „სოლტ ლეიკი"-"გელექსი".

MLS-ის ბოლო ტურის წინ, სატურნირო ცხრილში სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო. აღმოსავლეთ კონფერენციაში ხუთეულში მოხვედრა „ნიუ იორკ რედ ბულსს" და „სპორტინგ კანზას სიტის" ჰქონდათ განაღდებული, დარჩენილი სამი საგზურისთვის კი 5 გუნდი იბრძოდა.

დასავლეთში ხუთეულის ვინაობა თითქმის გარკვეული იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი გახლდათ, თუ როგორ განაწილდებოდა ადგილები, რადგან პირველ სამ ადგილზე გასული გუნდი პირდაპირ კონფერენციის 1/2 ფინალის საგზურს მიიღებდა, მე-4-5 ადგილებზე გასულებს კი ერთმანეთში თამაში მოუწევდათ...

## ალმოსავლეთი

ალმოსავლეთში ყველაზე მეტად არ გაუმართლა 1998 წლის ჩემპიონ „ჩიკაგო ფაიერს", რომელიც კონფერენციის ლიდერს, „ნიუ იორკ რედ ბულსს" სტუმრობდა. მასპინძლები, გამარჯვების შემთხვევაში, რეგულარული სეზონის გამარჯვებულის ტიტულს მიიღებდნენ, რაც საკმარისზე მეტი მოტივაცია იყო. შეხვედრა „რედ ბულსისთვის" ცუდად დაიწყო და **მაიკ მაგიმ** სეზონში თავისი 21-ე გოლი გაიტანა, მაგრამ აქედან მოყოლებული უპირატესობა მთლიანად „ნიუ იორკის" მხარეს გადავიდა - „რედ ბულსმა" „ჩიკაგოს" კარში 5 გოლი გაიტანა (თითო გოლი და გადაცემა **ტიერი ანრის** ანგარიშზეა, **პეგი ლუინდულამ** კი სამი საგოლე პასი მიითვალა), მართალია ბოლოს ერთიც გაუშვა, მაგრამ ამას არაფერი შეუცვლია - „რედ ბულსმა" ისტორიაში პირველი ტიტული მოიპოვა და რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. ახლა, ტიერი ანრის და კომპანიის მიზანი პლეი ოფში გამარჯვება და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაა, რომელიც გუნდისთვის ასევე პირველი იქნება.

ალსანიშნავია, რომ აქამდე ჩატარებული 17 სეზონიდან, მხოლოდ 6-ჯერ მოხდა ისე, რომ ერთმა გუნდმა მოიგო, როგორც რეგულარული სეზონი, ასევე პლეი ოფი. ბოლოს ასეთი რამ 2011 წელს „ლოს ანჯელეს გელექსიმ" გააკეთა.

„ჩიკაგოს" კი სატურნირო ცხრილში ბოლო ორი სეზონის ფინალისტმა „ჰიუსტონ დინამომ" და „ნიუ ინგლენდმა" გადაასწრეს. პირველმა კონფერენციის აუტსაიდერს, 4-გზის ჩემპიონ „DC იუნაიტედს" მოუგო, „რევოლუშენმა" კი „კოლამბუს ქრიუს" სძლია.

საბოლოოდ, კონფერენციის 1/2 ფინალში „ნიუ იორკ რედ ბულსი", „სპორტინგ კანზას სიტი" და „ნიუ ინგლენდ რევოლუშენი" გავიდნენ, დარჩენილი ერთი საგზურისთვის კი „ჰიუსტონ დინამო" და „მონრეალი" ითამაშებენ.

## დასავლეთი

როგორც ალვნიშნეთ, ამ კონფერენციაში ხუთეული თითქმის გარკვეული იყო. ბოლო ტურის წინ მეექვსე ადგილზე მყოფ „სან ხოსე ერთქვეიქსს" სასწაული სჭირდებოდა, რომელიც არ მოხდა - თავად კი მოიგო, მაგრამ მხოლოდ მინიმალური სხვაობით, „სიეტლმა" და „კოლორადომ" კი ასტრონომიული ანგარიშებით, რა გასაკვირია და არ წააგეს.

კონფერენციის გამარჯვებული გახდა „პორტლენდ ტიმბერსი", რომელმაც აუტსაიდერ „ჩივასს" 5:0 მოუგო. დუბლი შეასრულა არგენტინელმა **დიეგო ვალერიმ**, რომელიც რეგულარული სეზონის საუკეთესო ასისტენტი გახდა. მეორე ადგილი „რეალ სოლტ ლეიკს" ერგო, მისი ფორვარდი **კამილო** კი საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს დაეუფლა - ბრაზილიელმა ბოლო ტურში ჰეთთრიქი შეასრულა და **მარკო დი ვაიო**-მაიკ მაგის დუეტი ჩამოიტოვა.

ყველაზე საინტერესო შეხვედრა კი სიეტლში გაიმართა, სადაც „საუნდერსი" და „გელექსი" მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ. საბოლოოდ, მესამე პოზიცია და კონფერენციის 1/2 ფინალის საგზური ბოლო ორი სეზონის გამარჯვებულმა, „ლოს ანჯელეს გელექსიმ" მოიპოვა, რომელმაც საჭირო ქულა აიღო. ამ მატჩში თავი ლონდონის „ტოტენჰემის" ორმა ყოფილმა ფეხბურთელმა გამოიჩინა - მასპინძლები **კლინტ დემპსიმ** დააწინაურა, „გელექსიდან" კი სეზონში თავისი მე-16 გოლი **რობი კინმა** გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



რობი კინმა „გელექსი" კონფერენციის 1/2 ფინალში გაიყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A IX ტურის შეჯამება

**„რომას“ მიჯრით მეცხრე გამარჯვება; „მილანის“ მორიგი ფიასკო; „ფიორენტინას“ ზედიზედ მეორე „ქამბექი“; „იუვენტუსის“ და „ინტერის“ დამაჯერებელი გამარჯვება და გონსალო იგუაინის პირველი დუბლი „ნაპოლის“ მაისურით - ეს ყველაფერი სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მეცხრე ტურში მოხდა.**

# VENI RUDI VICI

## რომამ რეკორდი გაიმეორა

### რომამ იუვეს რეკორდი გაიმეორა

მოსახდენი მოხდა - „რომამ“ ჩემპიონატის სასტარტო 9 შეხვედრა მოიგო და ამით, „იუვენტუსის“ რეკორდი გაიმეორა. ტურინულმა გრანდმა ანალოგიურ შედეგს 2005/2006 წლების სეზონში მიაღწია, მეათე მატჩი კი უკვე ველარ მოიგო. ცნობისთვის, მომდევნო ტურში „ჯალოროსი“ „კიევოს“ უმასპინძლებს.

გასულ უქმეებზე, „რომამ“ მებრძოლი ხასიათი გამოავლინა და ურთულეს შეხვედრაში გაიმარჯვა. თამაში ახალი დაწყებული იყო, როდესაც „უდინეზემ“ მეტოქეს მწვავედ შეუტია და მე-3 წუთზე, **მორგან დე სანქტისმა** კინალამ მეორე გოლი გაუშვა სეზონში. დიახ, მეორე - გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „რომას“ ცხრა თამაშში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გაშვებული. უდინეში თითქოს ყველაფერი ისე აეწყო, რომ „ჯალოროსის“ ბრწყინვალე სერია უნდა დასრულებულიყო - რომაელებს ტრავმის გამო **ფრანჩესკო ტოტი** და **ჟერვინიო** აკლდათ, მეორე ტაიმის შუაწელს კი მოედნიდან **დუგლას მაიკონი** გააძევეს და სტუმრები კაცნაკლულნი დარჩნენ... მოკლედ, „რომა“ ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ ამ ვითარებიდანაც გამარჯვებული გამოვიდა - ერთადერთი და გამარჯვების გოლი **მაიკლ ბრედლიმ** გაიტანა.

ნამატჩევს კომენტარი „ჯალოროსის“ ტრავმირებულმა კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ გააკეთა და შემდეგი განაცხადა: *„ვულოცავ ჩემს თანაგუნდელებს, რომლებმაც გვაჩვენეს, რომ „რომას“ აქვს მოგების განსაკუთრებული ჟინი, ძალა და კვერცხები“.*

და ერთიც, „ჯალოროსის“ ტიფოზებმა ტრიბუნაზე საინტერესო ბანერი გამოკიდეს წარწერით: VENI RUDI VICI (შუა სიტყვა რუდი გარსიას საპატივცემულოდ).

### იგუაინის პირველი ნეაპოლური დუბლი

„ნაპოლიმ“ „ტორინოს“ უმასპინძლა და **გონსალო იგუაინის** ორი ზუსტი თერთმეტმეტრიანის წყალობით მოიგო. ეს იყო არგენტინელი ფორვარდის პირველი დუბლი ნეაპოლურ გუნდში. მატჩის შემდეგ, გონსალომ მადლობა გულშემატკივრებს გადაუხადა:

*„ამ სტადიონზე თამაში ყოველთვის მიადვილდება, რადგან ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივრები გვყავს. მაღალ დონეზე ვითამაშეთ და მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. ჯერ ძალიან ადრეა საიმისოდ, რომ კონკურენტების შედეგებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდეთ - მთავარია ჩვენი თამაში ვაჩვენოთ და ყველაფერი კარგად იქნება“.*

„ნაპოლის“ სასარგებლოდ დანიშნულმა ორივე ტერთმეტმეტრიანმა ტურინელთა დიდი უკმაყოფილება და ხმაურიანი პროტესტი გამოიწვია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეორე პენალტი მართლაც არ იყო დასანიშნი და მსაჯი იმ ეპიზოდში ცალსახად შეცდა. თამაშის მსვლელობისას განსაკუთრებით ემოციური სტუმართა თავკაცი **ჯამპიერო ვენტურა** იყო, თუმცა ნამატჩევს დამშვიდდა და განაცხადა, რომ მისმა გუნდმა წაგება დაიმსახურა. მართლაც, „ნაპოლი“ თითქოს ბოლომდე არც დახარჯულა და დარჩა შთაბეჭდილება, რომ საჭიროების შემთხვევაში, კიდევ არაერთხელ შეეძლო „გრანატას“ კარის დალაშქვრა.

### მხიარული ინტერი

„ინტერი“ „ვერონას“ კარს თავიდანვე დააცხრა და მე-13 წუთზე ანგარიში უკვე 2:0 იყო. ასე მძლავრად „ნერაძურიმ“ ბოლოს „ჩეზენასთან“ დაიწყო, ის მატჩი კი 2011 წლის იანვარში გაიმართა, „ვერონასთან“ პაექრობაში „ინტერმა“ რვაჯერ დაარტყა კარის ჩარჩოში, ამაზე უკეთესი შედეგი კი გუნდს მხოლოდ „სასუოლოსთან“ შვიდი უპასუხო ბურთით მოგებულ შეხვედრაში ჰქონდა.

მოკლედ, „ნერაძურიმ“ მოინდომა, მთელი ძალებით შეუტია და სასურველი შედეგიც მოიმკა. ერთი ეგაა, რომ „ინტერმა“ ჯერ კიდევ არ იცის თავის კარგად დაცვა გამაღებული შეტევების ფონზე და ამ კომპონენტზე **ვალტერ მაცარის** სერიოზული სამუშაო აქვს. „ვერონამ“ ორი გოლი აგემა მეტოქეს და ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ სტუმრებს დამაგვირგვინებელ ფაზაში, მატჩი კიდევ უფრო უხვგოლიანი გამოდგებოდა.

და მაინც, „ინტერმა“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და წესით, კლუბის ახალი მმართველი **ერიკ ტოჰირი** კმაყოფილი უნდა იყოს...

### კოკა ყოველთვის ვერ მოიტანს წყალს

მიმდინარე სეზონში, „მილანმა“ არაერთი ისეთი მატჩი იხსნა, რომელშიც თითქოს განწირული იყო წასაგებად. **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდებს ბოლო წუთებზე გადაურჩენიათ მატჩები, ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოუფხვრავთ, მაგრამ „კოკა ყოველთვის ვერ მოიტანს წყალს“...

„მილანი“ ამჯერადაც ახლოს იყო „ქამბექთან“ - „პარმას“ ორბურთიანი ჩამორჩენა ამოუქაჩა, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ, მესამე გაუშვა და კიდევ ერთი მარცხი იწვნია. ნამატჩევს, **ადრიანო გალიანი** არბიტრს შემოსწყრა, ჩვენს სასარგებლოდ ორი თერთმეტმეტრიანი არ დანიშნაო და იმაზეც დაიჩივლა, მესამე გაშვებული ბურთის წინ, მასპინძლებმა ჯარიმის შესრულებისას 5-6 მეტრი მოიპარესო. მოკლედ, გალიანის და ალეგრის მიზეზები არ ელევათ - ამ უკანასკნელმა ყველაფერი ჩემპიონთა ლიგას და გადატვირთულ კალენდარს დააბრალა.

ალეგრის ცალკე ჰკითხეს **მარიო ბალოტელის** შესახებ, რომელმაც ცუდად ითამაშა და მეორე ტაიმის სტარტზევე შეცვალეს: *„მარიოს არ წაუვიდა თამაში და ამიტომაც შევცვალე. ბალოტელიც ადამიანია და ხანდახან მასაც სჭირდება დასვენება. კარგი იქნება თუ ამ ამბისგან სკანდალს არ ავაგორებთ, რადგან განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მძიმე პერიოდი გვიდგას, მაგრამ სირთულეებს აუცილებლად დავძლევთ“.*

„მილანს“ მართლაც ცუდად მისდის საქმეები, გულშემატკივრებს კი ის თუ დაამშვიდებთ, რომ ზამთარში „როსონერი“ გვარიანად გაძლიერდება - აქედანვე ცნობილია, რომ ლომბარდიულ გრანდს **ადილ რამი** და **კეისუკე ჰონდა** შეუერთდებიან.

### მონტელა: კუადრადოს ყველაფერი შეუძლია

ის, რაც „მილანმა“ ვერ შეძლო, „ფიორენტინას“ გამოუვიდა - ფლორენციელები აგებდნენ „კიევოსთან“, მაგრამ საბოლოოდ, გამარჯვება მოიპოვეს, 2:1. ორივე გოლი **ხუან კუადრადოს** ანგარიშზეა, რომელმაც ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. ამად იყო, რომ პრესკონფერენციაზე **ვინჩენცო მონტელამ** ხუანი საგანგებოდ შეაქო:

*„კუადრადო იმ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც ყველაფერი შეუძლიათ. ხუანს დიდებული ტექნიკა აქვს, ძალიან სწრაფია და კარშიც ბრწყინვალედ ურტყამს. კოლუმბიელს არც სხვები ჩამორჩნენ და შედეგად, დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ“.*

მონტელას **ჯუზეპე როსის** შექებაც შეეძლო, რადგან კუადრადომ ორივე გოლი სწორედ მისი პასებით გაიტანა. აქამდე, როსის საგოლე გადაცემა არ გაეკეთებინა და ერთბაშად ორი მიითვალა აქტივში. მოკლედ, ჯუზეპემ განსხვავებულ როლში გამოავლინა თავი და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ „ფიორენტინასთვის“ უდიდესი ძალაა.

### ციფრები და ფაქტები

☑ „რომამ“ „იუვენტუსის“ რეკორდი გაიმეორა, მოიგო რა ჩემპიონატის 9 სასტარტო შეხვედრა.

☑ „რომამ“ 9 თამაშში მხოლოდ 1 გოლი გაუშვა, ასეთი შედეგი მხოლოდ „კალიარის“ და „ინტერს“ ჰქონდათ 1965/1966 წლების სეზონში.

☑ „რომასთან“ მარცხით, „უდინეზემ“ 22-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა სერია A-ში.

☑ „პარმამ“ ზედიზედ მე-3 მატჩი მოიგო საკუთარ მოედანზე.

☑ **მატიას სილვესტრი** „მილანის“ მეორე ფეხბურთელია, რომელმაც 2013 წელს გოლი თავური დარტყმით გაიტანა. იქამდე, თავურით **ბოიან კრკიჩმა** გაიტანა იანვარში.

☑ მიმდინარე სეზონში, „მილანს“ არც ერთი გასვლითი მატჩი არ მოუგია.

☑ **როლანდომ** „ინტერიდან“ და **ხოსე ანხელ კრესპომ** „ბოლონიადან“ პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში.

☑ „ვერონას“ არასდროს მოუგია „ინტერისთვის“ გასვლითი მატჩი.

☑ მიმდინარე სეზონში, „იუვენტუსმა“ პირველად შეინახა კარი მშრალად საკუთარ მოედანზე.

☑ „ნაპოლის“ საკუთარ მოედანზე 15-მატჩიანი წაუგებელია სერია აქვს.

☑ „კიევომ“ ზედიზედ 3 საშინაო მატჩი წააგო, ასეთი შედეგი გუნდს ბოლოს 2008 წლის დეკემბერში ჰქონდა.

☑ „კალიარიმ“ რომის ოლიმპიურ სტადიონზე მიჯრით მე-4 მატჩი წააგო.

☑ მიმდინარე სეზონში, „სამპდორიამ“ პირველი მატჩი მოიგო და პირველად შეინახა კარი მშრალად.

☑ მიმდინარე სეზონში, „ბოლონიამ“ პირველი მატჩი მოიგო.

**იტალია. სერია A. X ტურის წინ**

**29 ოქტომბერი**

**ატალანტა–ინტერი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ნიცა - ბელფოდილი.

**ტრავმა:** ჯორჯი, ლუკინი, ბონავენტურა - კიუ, ძანეტი, მილიტო, კამპანიარო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-0-3 | 3-2-1 |

ურთიერთშეხვედრები

**სულ 30 თამაში: +6=7-17, (33-54)**

ლაშა წიკლაური

**ესპანეთი.**

**ლა ლიგა. XI ტურის წინ**

**28 ოქტომბერი**

**ხეტაფე–ბილბაო 0:1**

**გოლი:** 0:1 ლაპორტი (8)

**ხეტაფე** (4-2-3-1): მოია - ხუან ვალერა, ლისანდრო ლოპესი, რაფა, რ. ლაგო - ბორხა (70. ლაფიტა), მოსკერა - პედრო ლეონი, ბ. სარაბია, დიეგო კასტრო (59. მარიკა) - ა. კოლუნგა (86. გავილანი)

**ბილბაო** (4-2-3-1): ირაისოსი (46. იაგო) - ირაოლა, გურპეგი, ლაპორტი, ბალენსიაგა - მიკელ რიკო, იტურასპე - სუსაეტა (71. ბენიატი), ანდერ ერერა (88. სან ხოსე), დე მარკოსი - ადურისი

**გამოუყენებელი პენალტი:** დიეგო კასტრო (44. ხეტაფე)

**გაფრთხილება:** - გურპეგი, მიკელ რიკო, ანდერ ერერა

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 13-22; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-6 (3-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 8 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 10 | 9 | 1 | 0 | 30-7 | 28 |
| 2. ატლეტიკო | 10 | 9 | 0 | 1 | 26-7 | 27 |
| 3. რეალი | 10 | 7 | 1 | 2 | 20-11 | 22 |
| 4. ვილიარეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-10 | 20 |
| 5. ბილბაო | 10 | 6 | 1 | 3 | 16-13 | 19 |
| 6. ხეტაფე | 10 | 5 | 1 | 4 | 14-12 | 16 |
| 7. ლევანტე | 10 | 4 | 4 | 2 | 12-14 | 16 |
| 8. ესპანიოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-14 | 14 |
| 9. სოსიედადი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| 10. სევილია | 10 | 3 | 4 | 3 | 17-17 | 13 |
| 11. ვალენსია | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 12. ელჩე | 10 | 3 | 3 | 4 | 10-13 | 12 |
| 13. გრანადა | 10 | 3 | 2 | 5 | 6-10 | 11 |
| 14. ვალიადოლიდი | 10 | 2 | 4 | 4 | 12-15 | 10 |
| 15. სელტა | 10 | 2 | 3 | 5 | 13-13 | 9 |
| 16. მალაგა | 10 | 2 | 3 | 5 | 11-14 | 9 |
| 17. ვალეკანო | 10 | 3 | 0 | 7 | 7-24 | 9 |
| 18. ბეტისი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| 19. ოსასუნა | 10 | 2 | 1 | 7 | 7-15 | 7 |
| 20. ალმერია | 10 | 0 | 3 | 7 | 11-23 | 3 |

**ბომბარდირები:** 11 - დიეგო კოსტა (ატლეტიკო); 8 - მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი);

**29 ოქტომბერი**

**ესპანიოლი–მალაგა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ანხელერი, კასადო (მალაგა)

ურთიერთშეხვედრები

**სულ 24 თამაში: +9=2-13 (30:38)**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +2=0-4 (6-11) | +1=2-3 (4-10) |

**სელტა–ბარსელონა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კრონ-დელი, ბელვისი, სამუელ ლორკა, მარიო ბერმეხო - ჯონათან დოს სანტოსი, ალბა, აფელაი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 30 თამაში: +6=9-15 (38:55)**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +1=1-4 (6-6) | +5=1-0 (16-3) |



რუდი გარსია და „რომას“ სათადარიგო სკამი მაიკლ ბრედლის გოლის შემდეგ




ანტონიო კასანომ ყოფილ გუნდს, „მილანს“ გაუტანა

ტურის სიმბოლური ნაკრები






ელექტრონული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. X ტურის შეჯამება

# გადამეტებული აგრესია

## საფეხბურთო გერმანიამ დორტმუნდელი ხულიგნები გაკიცხა

გერმანიის ჩემპიონატის მე-10 ტურმა მთლიანად რურის დიდი დერბის ჩრდილში ჩაიარა. „შალკესა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ ვნებათაღელვით აღსავსე დუელს წინ უძღვოდა დორტმუნდელი ულტრასების გადამეტებული აგრესია, რაც ამ ტურს მთავარ ნეგატივად უნდა ჩავუთვალოთ. თუმცა, დერბის მიღმაც ბევრი რამ იყო საინტერესო. მაგალითად ის, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა შეცვლაზე შესვლის შემდეგ შეძლო გოლის გატანა, მეკარეებმა კი საფეხბურთო გერმანია უჩვეულოდ ბევრი შეცდომებით აალაპარაკეს. თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის მე-10 ტურის შეჯამება პოზიტივებითა და ნეგატივებით.



დორტმუნდელმა ულტრასებმა რურის დიდი დერბი კინაღამ ჩაშალეს. მათ დამშვიდებას ბორუსიას კაპიტანი და მეკარე რომან ვაიდენფელერი ცდილობდა

### პოზიტივები

- **მარიო მანჯუკიჩი** შევიდა, ნახა და გაიტანა - ორი გოლი და ორივე თავით. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, „ბაიერნი“ „ჰერტასთან“ აგებდა და თამაშში გარდატეხა სწორედ ხორვატმა თავდამსხმელმა, მოედანზე **არიენ რობენის** ნაცვლად შესვლის შემდეგ შეიტანა: ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მეორე ტაიმში კი რეკორდმაისტერი წინ გაიყვანა. მანჯუკიჩს ახლა უკვე 7 გოლი აქვს გატანილი და ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

- გაიბრწყინა „ბაიერნის“ მეორე მარიომაც - **გიოტცეს** ვგულისხმობთ, რომელმაც „ჰერტასთან“ ასევე შეცვლაზე ითამაშა და კვლავ დაამტკიცა, რომ **ხოსეპ გვარდიოლას** ბრწყინვალე „ჯოკერია“. გიოტცეს ბოლო სამ თამაშში უკვე ორი გოლი და სამი საგოლე პასი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ძირითად შემადგენლობაში თამაშზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

- რურის დიდ დერბიში გვიან ჩაერთო 18 წლის **მაქს მაიერიც**, მაგრამ სწორედ მან სცადა „შალკესა“ და „დორტმუნდის“ დუელში გარდატეხის შეტანა. უნიჭიერესმა მაიერმა მოედანზე გამოჩენიდან 83 წამში სხვაობა შეამცირა და გელზენკირხენელ ფანობას დერბის გადარჩენის იმედის ნაპერწკალი გაუღვივა.

- სულაც არ არის აუცილებელი, რომ ფეხბურთელმა მატჩის საუკეთესო მოთამაშის წოდება გოლით მოიპოვოს - ამის საუკეთესო მაგალითი დორტმუნდელთა სომეხი გამთამაშებელი **ჰენრიხ მხითარიანია**. „შალკესთან“ მან ორი გოლი მოამზადა, მესამის დროს კი შესანიშნავი სოლო რეიდი განახორციელა და მერე **ბლაშჩიკოვსკის** უპასა. ის ფაქტი, რომ დორტმუნდელებმა ახალი სასტარტო რეკორდი დაამყარეს (25 ქულა საწყის 10 ტურში) **მხითარიანის** დამსახურებაცაა.

- **ივიცა ოლიჩი** ბრემენის „ვერდერის“ დამარცხების ექსპერტია - ეს ხორვატმა ამ უქმეებზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა. 3:0-ზე მოგებულ შეხვედრაში „ვოლფსბურგის“ ლიდერმა ტრადიციულად ბევრი ირბინა, იბრძოლა და გოლთან ერთად საგოლე პასიც მიითვალა. ოლიჩმა „ვერდერის“ კარში მე-8 (!) გოლის გატანა შეძლო.

- „ვოლფსბურგის“ ფანებმა ოლიჩის შესაძლებლობები კარგად იციან და მისგან არაფერი უკვირთ. სამაგიეროდ, „მგლების“ ქომაგებს ახლა ახალგაზრდა შემტევ ნახევარმცველზე, **მაქსიმილიან არნოლდზე** ამოსდით მზე და მთვარე. 19 წლის არნოლდმა „ვერდერთან“ ბრწყინვალე გოლი შეაგდო და ეს მისი მეხუთე გოლი გახლდათ მე-12 ოფიციალურ მატჩში.

- „მაინცის“ შემტევმა **შინჯი ოკაზაკიმ** „ბრაუნშვაიგთან“ 2:0-ზე მოგებულ შეხვედრაში დუბლი შეასრულა და დაამტკიცა, რომ ცენტრფორვარდობაც შეუძლია.

- საინტერესო ფაქტი: „მაინცს“ ბრაუნშვაიგთან ერთი კუთხურიც კი არ ჩაუწოდებია და 2:0 მოიგო.

- „ჰოფენჰაიმი“ გოლების გატანას ტრავმირებული **კევინ ფოლანდის** გარეშეც აგრძელებს. ჰანოვერიდან სამი ქულის წაღების გარანტი ამჯერად ისევ **რობერტო ფირმინო** გახლდათ, რომელმაც ამ სეზონში მე-6 და მე-7 გოლები მიითვალა. „ჰოფეს“ კი მთელ ბუნდესლიგაში (!) ისევ საუკეთესო წინა ხაზი ჰყავს (25 გოლი).

- როგორც ჩანს, „ჰამბურგს“ სწორედ **ბერტ ვან მარვეიკი** სჭირდებოდა. ჩრდილოგერმანელებმა ახალი, ჰოლანდიელი სპეციალისტის ხელში ზედიზედ მეორე გასვლითი თამაში (თანაც, მშრალად) მოიგეს. 4 თამაში, არცერთი წაგება - ასეთია ვან მარვეიკის ბალანსი „ჰამბურგში“.

- ბრწყინავს და აღარ ხუმრობს მიონხენგლადბახის „ბორუსიაც“. **ლუსიენ ფავრის** ბიჭები „აინტრახტის“ დამარცხების (4:1) შემდეგ მეოთხე ადგილზე ალზევდნენ და „ბაიერნზე“ ერთით მეტი, 23 გოლი აქვთ გატანილი.

### ნეგატივები

- „ფრაიბურგის“ მეკარე **ოლივერ ბაუმანს** ქებამ აწყინა. ახალგაზრდა გოლკიპერმა „ჰამბურგთან“ „ფრაის“ პირველად უკაპიტნა და სამი უპატიებელი შეცდომა დაუშვა. ბრაისგაუელებს მისი სამივე შეცდომა მიღებული გოლის ფასად დაუჯდათ.

- ამ ტურში ცუდად გამოიყურებოდა „ჰერტას“ კარის დარაჯი **თომას კრაფტიც**. მანჯუკიჩის პირველი გოლისას კარი დატოვა და შეცდა, მეორე და მესამე გოლების მომენტებში კი ხაზზე დარჩენა ამჯობინა, რაც ასევე არასწორი გადაწყვეტილებები იყო.

- „თავის მოტორზე ვერ იყო“ ფრანკფურტის „აინტრახტის“ საყრდენი ნახევარმცველი **მარკო რუსიც**. ჯერ იყო და, ძალიან ცუდად თამაშობდა, რის გამოც მწვრთნელმა **არმინ ფეემ** ჯერ კიდევ შესვენებამდე შეცვალა, მერე კი, მოედნიდან გასვლისას ყველაზე და ყველაფერზე განრისხებულმა რუსმა სათადარიგოთა სკამს ფეხი მიარტყა და მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა...

- დღევანდელი „ვერდერი“ ისედაც არ უქნია ღმერთს, ცენტრფორვარდების გარეშე კი ბრემენული კლუბი საკუთარი თავის აჩრდილზე უარესია. „ვერდერს“ **ნილს პეტერსენიც** აკლია და **ფრანკო დი სანტოც** - მათ გარეშე „მუსიკოსებს“ შეტევაში არაფერი გამოსდით.

- შეტევაში გაუჭირდა „ჰანოვერსაც“. „წითლების“ ფანებს „ჰოფენჰაიმთან“ პირველ რიგში დაბრუნებული **მამე დიუფის** იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს უკანასკნელი მოედნიდან მე-12 წუთზე გააძევეს, **არტურ ზობიეხი** კი მთელი მატჩის განმავლობაში უმაქნისი გახლდათ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მწვრთნელ **მირკო სლომკას დიდიე ია კონანი** დაშავებული ჰყავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ჰანოვერს“ გოლების გატანა უახლოეს ტურებშიც გაუჭირდება.

- ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც „ჰანოვერის“ მწვრთნელ მირკო სლომკას და მენეჯერ **დირკ დუფნერს** დაემართათ - გამოჯანმრთელებული **სტივ ჩერუნდოლო** რატომღაც განაცხადში არ შეიყვანეს... უბრალოდ, დაავიწყდათ!

- 0:3 „ჩელსისთან“, 1:3 „დორტმუნდთან“ - რა გასაკვირია, რომ „შალკეს“ მთავარ მწვრთნელ **იენს კელერს** ისევ კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა და წნეხის ქვეშაა. **სეად კოლასინაცის, კრისტიან ფუხსისა** და **დენის აოგოს** სახით მან ძირითად შემადგენლობაში სამი ნომინალური მარცხენა მცველი ათამაშა...

- დაბოლოს, ტურის მთავარი ნეგატივი: დორტმუნდელი ხულიგნების ცუდი საქციელი რურის დერბიში. თამაშის დაწყებამდე მათ პირო-ტექნიკა აანთეს და პეტარდები „შალკეს“ ფანებისკენ და მოედანზეც ისროლეს, რის გამოც მატჩის დაწყება ხუთი წუთით დაგვიანდა. დორტმუნდელი ულტრასები „ბორუსიას“ მეკარემ და კაპიტანმა, **რომან ვაიდენფელერმა** დააშოშმინა. **იურგენ კლოპმა** კი თამაშის შემდეგ თქვა, მომხდარის გამო ძალიან მრცხვენიაო...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

---

ამბები

## გადათამაშება არ იქნება!

### კისლინგს გოლი ჩაეთვალა, ლევერკუზენს - მოგება

„ლევერკუზენისა“ და „ჰოფენჰაიმის“ მატჩში **შტეფან კისლინგის** მიერ გატანილი სკანდალური გოლის გარშემო დისკუსიას გუშინ წერტილი დაესვა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა: გადათამაშება არ დაინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ დაფიქსირებული შედეგი (2:1 ლევერკუზენის სასარგებლოდ) ძალაში რჩება.



შტეფან კისლინგი და ლევერკუზენის სპორტული დირექტორი რუდი ფიოლერი

სხდომის დაწყებამდე მხარეები კარგ ხასიათზე იყვნენ. კისლინგმა იხუმრა, როგორც იქნა, გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან მოწვევა მომივიდა და ამაზე უარს როგორ ვიტყოდიო. ჰოფენჰაიმელები კი ცუდ განწყობაზე იყვნენ - როგორც ჩანს, ხვდებოდნენ, რომ მათი პროტესტი შედეგს არ გამოიღებდა. განაჩენი მოსამართლე **რიხტერ ლორენცმა** მხარეების მოსმენის შემდეგ გამოაცხადა: გადათამაშება არ იქნება!

*„გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული სასამართლო დამოუკიდებელია. ჩვენ არ ვიღებთ საფეხბურთო კავშირის, საფეხბურთო ლიგის ან ფიფას მოსაწონ გადაწყვეტილებებს, - აღნიშნა ლორენცმა, - ყველა კანონის გათვალისწინებით მატჩის გადათამაშების საფუძველი არ არსებობს. ერთადერთი გამოსავალი შედეგის ძალაში დატოვებაა. მსაჯის გადაწყვეტილება არასწორი იყო, მაგრამ არასწორი გადაწყვეტილებების სისტემის ნაწილია.“*

---

## სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები

### „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| 1. მარკო როისი | დორტმუნდი | 10 | 2.30 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 9 | 2.31 |
| 3. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 7 | 2.36 |
| 4. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 10 | 2.40 |
| 5. ტონი კროოსი | ბაიერნი | 10 | 2.43 |
| 6. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 10 | 2.44 |
| 7. არიენ რობენი | ბაიერნი | 9 | 2.50 |
| 8. მაქს კრუზე | გლადბახი | 10 | 2.55 |
| 9. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 9 | 2.56 |
| 10. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 8 | 2.56 |

## გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მაქს კრუზე | გლადბახი | 10 | 5 | 6 | 11 |
| 2. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 8 | 4 | 7 | 11 |
| 3. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 10 | 7 | 4 | 11 |
| 4. რაფაელ ვან დერ ვაარტი | ჰამბურგი | 10 | 6 | 5 | 11 |
| 5. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 10 | 6 | 4 | 10 |
| 6. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 9 | 7 | 3 | 10 |
| 7. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 10 | 6 | 3 | 9 |
| 8. მარკო როისი | დორტმუნდი | 10 | 5 | 4 | 9 |
| 9. პიერ-ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 10 | 6 | 2 | 8 |
| 10. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 10 | 7 | 1 | 8 |

## X ტურის გმირი

### ნური შაჰინი (დორტმუნდი)



**თუკი დორტმუნდის „ბორუსიას“ საყრდენ ნახევარმცველ ნური შაჰინს ბოლო დროს რამე დაეწუნებოდა, მხოლოდ ის, რომ გოლის გატანას ვერ ახერხებდა, მაგრამ შაჰინი ის კაცია, ვისაც მნიშვნელოვან მატჩებში მნიშვნელოვანი გოლების შეგდება ეხერხება. „შალკესთან“ მან სწორედ ასეთი და თანაც, ულამაზესი გოლი გაიტანა.**

## ტურის სიმბოლური ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფა/უეფა

# პლატინი მუნდიალის გადაკეთებას გეგმავს



მიშელ პლატინი და ზეპ ბლატერი

როგორც ამბობენ, 2015 წელს ფიფას პრეზიდენტობას **ზეპ ბლატერს** უეფას ამჟამინდელი ხელმძღვანელი **მიშელ პლატინი** შეეცილება. მათ შორის, „ღიად-ფარული" დაპირისპირება და სიტყვების ომი უკვე დაიწყო. ცოტა ხნის წინ, ბლატერმა თქვა, კარგი იქნებოდა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ევროპული ნაკრებების რიცხვი შეგვემცირებინა და მათ ხარჯზე მუნდიალზე აფრიკული და აზიური ნაკრებები დაგვემატებინაო. ამ ინიციატივას მალევე გამოეხმაურა პლატინი, ფრანგს ცოტა სხვაგვარი ხედვა აქვს - იგი ფინალურ ეტაპზე 32-ის ნაცვლად 40 გუნდის დაშვების მომხრეა. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში მასა პლატინის უფრო მიემხრობა, ვიდრე ბლატერს და კონკრეტულად ამ იდეით, იგი ბევრის გულს მოიგებს.

*„ჩვენ შეგვეძლება დავამატოთ 2 ნაკრები აფრიკიდან, 2 აზიიდან, 2 ამერიკიდან და ერთიც ევროპიდან"* - განაცხადა პლატინიმ და მერვედ მასპინძელი ქვეყანა მოიაზრა.

როგორც იცით, მუნდიალის ფინალურ ეტაპზე მონაწილე ნაკრებების რაოდენობა დაარსების დღიდან იზრდება. 1930 წელს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის 13 ქვეყანა იბრძოდა. 1934 წელს უკვე 16. 1982 წელს ესპანეთში 24 ქვეყანა ვიხილეთ, ხოლო 1998 წლიდან მოყოლებული, დასკვნით ეტაპზე 32 ნაკრები გადის.

თუ პლატინიმ თავისი გაიტანა, ისევ 8-ჯგუფიანი მუნდიალი გვექნება, ოღონდ თითოეულ ჯგუფში უკვე არა 4, არამედ 5 ნაკრები მოიყრის თავს. მსოფლიო ჩემპიონატის ხანგრძლივობა კი სამი დღით გაიზრდება. ხმა დაირხა, ეს ყველაფერი შესაძლოა 2018 წელს რუსეთში განხორციელდესო. თუ, რასაკვირველია, პლატინი უეფა-დან ფიფა-ს სათავეში გადაინაცვლებს.

*„საფეხბურთო ცხოვრებაც იცვლება. ახლა უკვე 209 წევრია ასოციაციაში. ნაკრებები გვემატებიან და შემცირებაზე რატომ ვიფიქროთ? 40-გუნდიანი ჩემპიონატი ცუდი სულაც არ იქნება. სამი დღით იხანგრძლივებ სიამოვნებას და უფრო მეტ ხალხს აბედნიერებ"* - დასძინა პლატინიმ.

ბარემ შეგახსენებთ, რომ ევროპას ამჟამად 13 ქვეყანა გაჰყავს ფინალურ სტადიაზე. აფრიკას ხუთი, ხოლო აზიას ოთხი და პლუს ერთი პლეი ოფის საგზურს იღებს. ვინძლო, ნაკრებების დამატებაზე არც ერთი კონტინენტი არ იტყვის უარს. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია არჩევნებს დაველოდოთ. თქვენი არ ვიცი და პირადად მე, პლატინისკენ ვარ.

ინციდენტი



პორტუს ქუჩებში

# დრაგაოსთან მამაკაცები შავებში გამოჩნდნენ

უმტკივნეულოდ ვერ ჩაიარა პორტუგალიის ჩემპიონატის მე-8 ტურის ცენტრალურმა მატჩმა „პორტუსა" და „სპორტინგს" შორის. ეს დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა ხოლმე, მაგრამ ახლა დამატებითი ინტრიგა სატურნირო მდგომარეობა იყო - მატჩის წინ „პორტუ" ლისაბონელებს მხოლოდ 2 ქულით უსწრებდა. საბოლოოდ, „დრაკონებმა" 3:1 მოიგეს და ხაზი გაუსვეს რომ ამჟამად ჩემპიონატში სხვებზე მინიმუმ ერთი თავით მაღლა დგანან. ამან, სტუმრები გაალიზიანა და როგორც შემდგომში გაირკვა, ლისაბონელთა პროვოკაციას „დრაგაოსთან" სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ჩანაწერში ჩანს, რომ სიტუაცია განსაკუთრებით მას მერე დაიძაბა, რაც სტადიონთან შავებში ჩაცმული ადამიანების ჯგუფი გამოჩნდა, რომლებმაც „პორტუს" გულშემატკივრების გალიზიანება დაიწყეს, რასაც საბოლოოდ ჩხუბი მოჰყვა. ინციდენტში დაახლოებით 100 ადამიანი იღებდა მონაწილეობას და 48 მათგანმა დაზიანება მიიღო. მოჩხუბართა დიდი ნაწილი პოლიციამ დააკავა. საბედნიეროდ, ამ ყველაფერმა უმსხვერპლოდ ჩაიარა. სამართალდამცავების თქმით, სერიოზულად არავინ დაშავებულა.

ლიგა 1.



საფრანგეთს საფეხბურთო გაფიცვა ელის

ფრანგულ ფეხბურთში მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა. გაიმართა საფრანგეთის პროფესიონალურ საფეხბურთო კლუბთა კავშირის გენერალური ასამბლეა, რომელზეც კატეგორიულად გადაწყვიტეს - გაფიცვა! თუ რაიმე ცვლილებები არ იქნება, 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით ლიგა 1-სა და ლიგა 2-ში ჩასატარებელი შეხვედრები არ გაიმართება, რადგან ფეხბურთელები მინდორზე არ გავლენ. საფრანგეთი რევოლუციებით ცნობილია და მათ შორის ფეხბურთშიც. უკან დახევას, როგორც ჩანს, არავინ აპირებს. ამ მოძრაობის სახელი და სლოგანი შემდეგნაირია: „ფეხბურთი საფრთხეშია, დავდგეთ ერთად!". საფრანგეთის პროფესიონალურ კლუბთა კავშირი ფანებს აქტიურობისკენ მოუწოდებს.

თუ რაშია საქმე, ალბათ იცით, ამაზე ადრეც დაგვიწერია. წესითა და რიგით, 2014 წელს ძალაში უნდა შევიდეს ახალი მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონი, რომელიც გადასახადს ფეხბურთელებსაც კატასტროფულად გაუზრდის და კლუბებს მათი შენახვა, უბრალოდ, აღარ შეეძლებათ. ახალი კანონით, ფეხბურთელი, რომელიც წლიურად მილიონზე მეტს გამოიმუშავებს, შემოსავლის 75% გადასახადებში წავა... ამ მხრივ იქ არც ახლაა იდეალური მდგომარეობა და მით უმეტეს, როდესაც მოთამაშეების ხელფასი კიდევ უფრო დაიბეგრება, ხოლო კლუბი მათ დასაკმაყოფილებლად ასტრონომიულ ჯამაგირს ვერ დანიშნავს, რასაკვირველია, ისინი სხვა ქვეყნებში გადაბარგდებიან. ლიგა 1-დან გამორჩეული ფეხბურთელების მასობრივი გადინება დაიწყება, რაც ამ მოძლიერებულ ჩემპიონატზე სავალალოდ იმოქმედებს და საფრანგეთის ჩემპიონატის დონე ისევ ძალიან დაიწევს. ფრანგულ კლუბს ფეხბურთელის შენახვა 33%-ით უფრო მეტი უჯდება, ვიდრე ინგლისურს, გერმანულს,. იტალიურს ან ესპანურს.

ცხადია, ეს პრობლემა ძალიან ბევრს ეხება, საუბარი ამ სფეროში დასაქმებულ დაახლოებით 25 ათას ადამიანზეა. ახლა ამას დაუმატეთ ბევრად მეტი გულშემატკივარი, რომელიც სანახაობის დაკარგვას ასე ადვილად ვერ გადაიტანს და აქციებმა შესაძლოა მასობრივი სახეც მიიღოს. რას აპირებს და რას მოიფიქრებს ქვეყნის პრეზიდენტი **ფრანსუა ოლანდი**, ეს ჯერჯერობით უცნობია. სპორტის მინისტრი **ვალერი ფურნიერონი** ადრე უფრო მკაცრი იყო, ბოლო დღეებში კი ცოტა მოლბა, მაგრამ ის გაფიცვას მხარს არ უჭერს და ყველას მოუწოდებს, ამის გაკეთება გადაიფიქრონ. მოკლედ, სიტუაცია ჩიხშია შესული.

*„დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს მოძრაობას ბევრი ადამიანი აჰყვება. ის ხალხი, რომლებიც ფეხბურთით ცხოვრობენ და მათი ყოველდღიურობა ფეხბურთის გარეშე წარმოუდგენელია. მართლაც სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგავართ. ფინანსური კუთხით არც ახლაა სახარბიელო მდგომარეობა და მთავრობა გადასახადების მომატებას აპირებს. ეს სამართლიანი არ არის"* - განაცხადა კავშირის პრეზიდენტმა **ჟან-პიერ ლუველმა**.

აღვნიშნოთ, რომ მაგალითად მარტო პსჟ-ს 21 ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომლის შემოსავალიც მილიონს აჭარბებს, თანაც გვარიანად. წინა სეზონში ლიგა ერთმა უკვე ნახა 108 მილიონი ევროს ზარალი. ერთი სიტყვით, გამოსავალი სასწრაფოდ მოსაძებნია, თორემ თვის ბოლოს, შესაძლოა ფრანგული საკლუბო ფეხბურთის გარეშე დავრჩეთ.

ამბები

## მარკინიოსს ნაკრებში დაუძახეს



მარკინიოსი

პსჟ-ს 19 წლის ტალანტს **მარკინიოსს** კლუბში კარგი თამაში დაუფასდა და **ლუიშ ფელიპე სკოლარისგან** მიწვევა მიიღო. გეტყვით, რომ ბრაზილია 16 და 19 ნოემბერს, შესაბამისად ჰონდურასსა და ჩილეს გაეჯიბრება ამხანაგურად. მარკინიოსის თანაკლუბელი და თანამემამულე **ტიაგუ სილვა** ისევ ტრავმირებულია და ამან „რომას" ყოფილ ფეხბურთელს მისცა შანსი. შეგახსენებთ იმასაც, რომ ივლისში სკოლარიმ ნაკრებში დაუძახა პსჟ-ს კიდევ ერთ მცველს **მაქსველს**, რომელმაც სელესაოში სადებიუტო მიწვევა 32-ე დაბადების დღემდე ერთი თვით ადრე დაიმსახურა, ახლა კი მარკინიოსის ჯერია. მასში პარიზელებმა 31,5 მილიონი ევრო გადაიხადეს და ბევრი მიიჩნევდა, რომ აშკარა გადაფასებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ „კორინთიანსის" აღზრდილი მოთამაშე დღითი დღე უმატებს და ამტკიცებს, რომ მასში ამდენის გადახდა ღირდა.

## არსენალმა გნაბრი დაიბევა

ლონდონის „არსენალმა" ჭკუა იხმარა და **სერჟ გნაბრის** საჩქაროდ გაუფორმა ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტი. კონკრეტულად რამდენწლიანი, ჯერჯერობით პრემიერლიგის ლიდერ კლუბს არ გაუხმაურებია. რამდენიც **არსენ ვენგერმა** 18 წლის ვინგერი მინდორზე შემოუშვა, გნაბრიმ „მეთოფეებისთვის" რაიმე სასარგებლო გააკეთა. ამას, ცხადია, სხვა კლუბებიც ხედავდნენ და ახალგაზრდა ტალანტს უმალვე უამრავი მსურველი გამოუჩნდა, მაგრამ ახლა „არსენალმა" გნაბრი დიდი ხნით დაიბევა. შეგახსენებთ, რომ იგი შტუტგარტშია დაბადებული და ბურთიც პირველად იქ გააგორა, 2011 წელს კი ოფიციალურად ჩაირიცხა ინგლისურ გუნდში. გნაბრის კოტდივუარელი მამა და გერმანელი დედა ჰყავს. მან უკვე გამოიარა გერმანიის თითქმის ყველა ასაკობრივი ნაკრები და თუ ასე გააგრძელებს, ერთ დღეს „ნაციონალმანშაფტშიც" ამოჩნდება.

*„გნაბრი იმიტომ დავიმატეთ, რომ მისი მჯერა და მგონია, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელი დადგება. ის საოცრად ტექნიკურია, სწრაფი, ძლიერი... იცის ბოლო პასის მიცემა და ერთი სიტყვით, შესანიშნავი შემტევია"* - არსენ ვენგერის ამ სიტყვებს „არსენალის" ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

გვერდი მოამზადა
**გიორგი კაკაბაძემ**






ეროვნული ბიბლიოთეკა




გამოხმაურება

# გერმანიის ელჩი: მე რომ ქართველი ვიყო, ოლიმპიადაზე წასვლის წინააღმდეგი ვიქნებოდი

ალბათ, მე რომ ქართველი ვიყო, წინააღმდეგი ვიქნებოდი ოლიმპიადაზე წასვლის, განსაკუთრებით მეჩირალდნის პრეცედენტის შემდეგ, - ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა, **ორთვინ ჰენიგმა** გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

ელჩის თქმით, ის მეჩირალდნის პრეცედენტს პროვოკაციად და შეურაცხყოფად ჩათვლიდა. ორთვინ ჰენიგი აცხადებს, რომ თანაუგრძნობს იმ ქართველებს, ვინც ოლიმპიადის ბოიკოტირებას მოითხოვენ.

„მაგრამ მე ქართველი არ ვარ და შემიძლია ამ საკითხს ნაკლები ემოციით შევხედო. ისტორიას ახსოვს ოლიმპიადის ბოიკოტის მაგალითები, მაგრამ არ მახსენდება შემთხვევა, როდესაც ამან რეალური პოლიტიკური შედეგი მოიტანა. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ გადაწყვეტილებას ერთბაშად არ მიიღებთ. დააკვირდით საერთაშორისო საზოგადოების რეაქციას და ფხიზელი გონებით გადაწყვიტეთ", - განაცხადა გერმანიის ელჩმა.

**ინტერპრესნიუსი**

ფიგურული ციგურაობა

# მურვანიძის მასტერკლასი

**საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის მოწვევითა და სპორტის სამინისტროს თანადგომით, საქართველოში ორი კვირა იმყოფებოდა ცნობილი მოციგურავე ვახტანგ მურვანიძე, რომელმაც ბათუმსა და თბილისში ახალგაზრდა მოციგურავეებისა და მათი მწვრთნელებისთვის მასტერკლასი ჩაატარა.**

სპორტის ქომაგებს, იმედია, ყინულის სარბიელზე მურვანიძის ცეცხლოვანი გამოსვლები ემახსოვრებათ. ოთხი წლისაც არ იყო, **ლეილა დოლიძის** ხელმძღვანელობით სპორტს ამ ულამაზეს სახეობას რომ ეზიარა. 10 წლისა მოსკოვს გაემგზავრა და ედუარდ პლინერთან განაგრძო ვარჯიში, შემდეგ იგორ რუსაკოვსა და ელენა ჩაიკოვსკაიასთან იმაღლებდა ოსტატობას. პირველ დიდ წარმატებას 1997 წელს მიაღწია - სუნდსვალში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე ევგენი პლიუშჩენკოს შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი მოიპოვა, 1999 წელს ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობაზე მე-5 იყო, იმავე წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-17 ზე გავიდა. მომდევნო წელს ავსტრიაში კარლ შაფერის მემორიალზე პირველობა არავის დაუთმო.

- 2002 წელს „გოლდენ სპინის" საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზე, - გაიხსენა ჭაბუკობის წლები ვახტანგ მურვანიძემ. - სოლთ ლეიქ სითის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ხუთი საგზური თამაშდებოდა. მესამე ადგილი დავიკავე და პირველად ავიხდინე ოცნება, ოლიმპიურ თამაშებზე მოვხვედრილიყავი. ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე გავცივდი და პაექრობაში სიცხიანი ჩავები. ფინალში მოვხვდი, თუმცა საბოლოოდ მე-17 ადგილს ვერ გავცდი.

**- ოლიმპიადის შემდეგ ოკეანის გაღმა გამგზავრება რამ გადაგაწყვეტინა?**

- სპორტული კარიერის განმავლობაში ჩემთვის ბევრ ადამიანს გაუმართავს ხელი. განსაკუთრებით კი გია იაშვილი და ირაკლი ჯაფარიძე მინდა გამოვყო. ბატონი გია სუნსვალდში მახლდა და მაშინდელ ვერცხლში მასაც მიუძღვის წვლილი, ხოლო ამერიკაში ჩემი გადასვლა ბატონი ირაკლის დამსახურებაა - იქ ბევრად უკეთესი სავარჯიშო პირობები მქონდა. შედეგებიც გავაუმჯობესე. მაგალითად, 2003 წელს ევროპის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დავიკავე.

**- შენ ტურინშიც იასპარეზე ოლიმპიურ თამაშებში...**

- დიახ, იტალიაში წასასვლელი საგზური ავსტრიაში კარლ შიფერის მემორიალში მოვიპოვე. იმ ტურნირზე მიიღო ლიცენზია ელენე გედევანიშვილმაც, რომელიც მაშინ ელენა ვოდორეზოვასთან ვარჯიშობდა. ელენემ ტურინში ფურორი მოახდინა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვეკითხებოდნენ, გედევანიშვილი ჯორჯიის შტატიდან არისო? ძალიან ბევრმა მაშინ გაიგო, თუ სად მდებარეობდა საქართველო.

**- აქტიურ სპორტს ნაადრევად ხომ არ ჩამოშორდი?**

- ხშირად ტრავმები მაწუხებდა. ტურინშიც სასურველი შედეგს ვერ მივაღწიე, აქტიურ სპორტში დარჩენის მიზანი ვერ დავინახე. ქალაქ ჰაკენსაკის (ნიუ ჯერსის შტატი) ყინულზე, სადაც მე ვვარჯიშობდი, უკვე ვამეცადინებდი პატარებს, საათში 100 დოლარს მიხდიდნენ, ამიტომ მწვრთნელობა გადავწყვიტე. როგორც ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილეს, შეგირდები არ მაკლდა, მით უმეტეს, რომ მათ თავად ვაჩვენებდი ყინულზე სამმაგ და ოთხმაგ ნახტომებს. ჩემს საქმიანობას თვალს რომ ადევნებდა, ალექსეი მიშინმა თავის სკოლაში მიმიწვია და მეც დავთანხმდი. შვიდი წელიწადია, ერთად ვართ და მასტერკლასებს ვატარებთ ევროპასა და ამერიკაში, კერძოდ, ფლორიდაში, ესტონეთში, ესპანეთში, გერმანიაში, იტალიაში. ერთხანს ჩვენს ბექა შანყულაშვილს ვეხმარებოდი და ევროპის ჩემპიონატზეც ვახლდი, ისრაელიდან ალექსეი ბიჩენკოსთან მიმუშავია. იაპონელ ფუმი სუგურის ორჯერ დავუდგი პროგრამები. ბედნიერი ვარ, რომ მასტერკლასისთვის საქართველოშიც მომიწვიეს.



ვახტანგ მურვანიძე

**- რამდენი ხანია, თბილისში არ ყოფილხარ?**

- სამი წელიწადია, იმის მიუხედავად, რომ დედა და ბებია აქ ცხოვრობენ. წლეულს ზაფხულს ვიყავი, ახლა მეორედ ჩამოვედი. ამჯერად საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტის, ქალბატონ მაკა გიორგობიანის მოწვევით. უწინდელთან შედარებაც არ შეიძლება. ჩემ დროს ერთადერთი საციგურაო გვქონდა თბილისში, ახლა ბათუმსა და ქუთაისშიც გაუხსნიათ, მალე ზუგდიდშიც ექნებათ ყინული. ეს ყველაფერი არა მარტო დიდი სპორტის, არამედ ჯანმრთელობის საწინდარიცაა. ჯანსაღი თაობა გაგვეზრდება. მათში ორი-სამი ტალანტიც რომ გამოგვერიოს, დიდი საქმეა. თუმცა მიმაჩნია, რომ ფიგურული სრიალი ჩვენთვის - ქართველებისთვისაა მოგონილი: ამდენ მოცეკვავესა და მომღერალს იშვიათად, რომ რომელიმე ქვეყანაში შეხვდე. ასეთ მოძრავ პატარებსაც იშვიათად ნახავ. საცოდაობაც კია, მათს ნიჭსა და ტალანტს გასაქანი არ მისცე.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რაოდენი სიხარული ვიგრძენი, როცა იმ ყინულზე შევდგი ფეხი, სადაც ფიგურული სრიალის ანბანა ვისწავლე, ბავშვობა გამახსენდა. კარგი რემონტი გაუკეთებიათ. ბათუმში ტრენინგ-სემინარებს 400-მდე მოზარდი ესწრებოდა. 9 დღის განმავლობაში იქ გამართული მეცადინეობებით დიდი სიამოვნება მივიღე. თბილისი კი, უწინდებურად, ფანტასტიკაა. ჩემი ოცნებაა, ამ ბავშვებს გაკვეთილები დიდ საციგურაოზე ჩავუტარო. იმედია, სპორტის სამინისტრო და საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა დიდი ხნის ოცნებას აგვისრულებენ.

**მაკა გიორგობიანი**, საქართველოს ფიგული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი: ამჟამად ამერიკაში მცხოვრები ვახტანგ მურვანიძე ფიგურულ ციგურაობაში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიელია, რომელიც მაშინაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ მსოფლიოში და დღესაც დიდ პატივს სცემენ. მის სემინარებს ჩვენი მოციგურავეების დასაოსტატებლად და მწვრთნელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმედია, იგი კიდევ არაერთხელ გვეწვევა, რადგან სრიალის ტექნიკა ძალიან გართულდა, ილეთები მკაცრად ფასდება, ამიტომ სიახლეების დროულად ათვისება წარმატების საწინდარია. ჩვენთან წლიდან წლამდე ყინულის გეოგრაფია იზრდება, კვალიფიციური მწვრთნელების კი დეფიციტს განვიცდით, ამიტომ ისეთი ტრენინგ-სემინარები, რომლებიც ვახტანგ მურვანიძემ ჩაატარა ბათუმისა და თბილისის ყინულზე, მწვრთნელების მომზადებას და სპორტსმენთა დაინტერესებას შეუწყობს ხელს.

**ვაჟა დანელია**

თარიღები და მოვლენები

## 28 - 31 ოქტომბერი

**28. 1962.** დაიბადა **დავით გობეჯიშვილი** - თ\ჭიდაობა

**28. 2006.** ბელგრადში ძიუდოისტთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა

**28. 2006.** მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ციკლში საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა გუნდმა ესპანეთის ნაკრებს სძლია (37:23)

**29. 1932.** დაიბადა **მამია აქვსენტის-ძე ტულუში** - მძლეოსნობა

**29. 1950.** დაიბადა **ნოდარ მოდებაძე** - თ\ჭიდაობა

**29. 1996. თბილისის „დინამომ" უეფას თასის 1\16 ფინალის განმეორებით მატჩში პორტუში, ადგილობრივ „ბოავიშტასთან" 0:5 წააგო და ტურნირს გამოეთიშა (პირველი შეხვედრა თბილისში ქართველებმა 1:0 მოიგეს)**

**30. 1906.** დაიბადა **ლევან ფალავანდიშვილი** - კალათბურთი. გარდაიცვალა 1997 წელს

**30. 1949.** თბილისის „სპარტაკმა" ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა

**30. 1927.** დაიბადა **არჩილ კილაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2007 წელს

**30. 1961.** დაიბადა **მიხეილ მესხი** (უმცროსი) - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2003 წელს

**30. 1977.** დაიბადა **რამაზ გაზაშვილი** (დებნაძე) - კრივი

**30. 1988.** თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს **ბორის პაიჭაძე**

**31. 1955.** დაიბადა ბადრი პატარკაციშვილი - სეოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი. გარდაიცვალა 2008 წელს.

**31. 1968.** დაიბადა **კახი გოგიჩაიშვილი** - ფეხბურთი.

ძალოსნობა

# პოლსკა შტანგა: საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზე დოპინგსკანდალის გამო ვერ გამოვიდა

20-27 ოქტომბერს პოლონეთის ქალაქმა ვროცლავმა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა ძალოსნობაში, რომელშიც მოულოდნელად მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ძალოსანთა ნაკრებს.

allthingsgym.com წერს, რომ ამის მიზეზი დოპინგ-სკანდალია: „პოლსკა შტანგა" 22 ოქტომბერს იუწყებოდა, რომ საქართველომ და ტუნისმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა დოპინგის აღმოჩენილი ფაქტების გამო ვერ მიიღეს.

რაც ასევე არ არის ინტერესმოკლებული, რომ IWF-Magazine-ის ცნობით, ტირანაში ევროპის ჩემპიონატზე და ასტანაში აზიის ჩემპიონატზე დოპინგ-ტესტის რამდენიმე დადებითი შედეგი დაფიქსირებულა", - წერს საერთაშორისო ძალოსნობის ამბებში კარგად გარკვეული გამოცემა.

ბუნებრივია, ჩვენ „პოლსკა შტანგის" ინფორმაციითაც დავინტერესდით, რომელიც ტუნისელი ძალოსნების გვარებსაც ასახელებს, თუმცა კონკრეტული ქართული გვარები არ დაუსახელებიათ.

შეგახსენებთ, რომ აპრილში ტირანაში (ალბანეთი) გამართულ ევროპის ჩემპიონატში დავით გოგიამ და რაულ ცირეკიძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მცირე ბრინჯაო შეხვდა ირაკლი თურმანიძეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ჯავახიშვილი და ჯობავა უმედლოდ

როდოსზე (საბერძნეთი) დამთავრდა მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობდა სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში. **ლელა ჯავახიშვილი** სომხეთის „მიკას" სპორტულ ღირსებას იცავდა. ერევნელებმა შვიდ ტურში ოთხჯერ გაიმარჯვეს, ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და ორშიც დამარცხდნენ. საბოლოოდ 9 ქულით რუსულ „ნაშე ნასლედიესთან" ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს, უარესი კოეფიციენტით ჯავახიშვილის გუნდს მე-4 ადგილი ერგო. ჩემპონობა 14 ქულით „მონტე კარლომ" მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ოთხივე დაფაზე ოქროს მედლები სწორედ ამ გუნდის წარმომადგენლებმა (ჰოუ იფანი, ჰამფი კონერუ, ანა მუზიჩუკი და პია კრამლინგი) დაიმსახურეს. მე-2 ადგილი 10 ქულით რუსულ „იუგრას" ხვდა.

ვაჟებში ბოლო ტურის წინ **ბაადურ ჯობავას** „როსტოვი" 10 ქულით მეორე-მეექვსე ადგილებს იყოფდა, მაგრამ გადამწყვეტ პაექრობაში „მალაქიტთან" (რუსეთი) წააგო 2:4 და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა, „მალაქიტს" კი 12 ქულით „ვერცხლი" ერგო. 13 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ჩეხეთის „ნოვი ბორი" ავიდა; საკლუბო ჩემპიონატის რეიტინგფავორიტი — აზერბაიჯანის „სოკარი" ბრინჯაოს დაჯაბულდა.

პირველ დაფაზე ჯობავაც უმედლოდ დარჩა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# 11 საფეხურით დაწინაურდა

თბილისელი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** ბოლო სამი კვირაა, წარმატებით თამაშობს ამერიკულ 25.000-იან ტურნირებში და ეს მის რეიტინგსაც დაეტყო - წინა ორის შედეგით იგი 11 საფეხურით დაწინაურდა და ახლა კლასიფიკაციაში 421 ქულით (მასში არ არის გათვალისწინებული ფლორენსში მოპოვებული 50 ქულა) 147-ე ადგილზეა. რეიტინგში დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 233 (229). **სოფო შაფათავა** (252), 276 (278). **ოქსანა კალაშნიკოვა** (182), 482 (482). **მაკა ჩახნაშვილი** (71), 572 (560). **ეკატერინე გორგოძე** (53), 723 (724). **სოფო ქვაცაბაია** (28), 1191 (1195). **თამარ ჭალაგანიძე** (3), 1202 (1206). **მარიამ ბოლქვაძე** (3).

ამჟამად ანა ტატიშვილი ნიუ ბრაუნფელსში იმყოფება 50.000-იან ტურნირზე. რომელშიც მე-6 ნომრადაა განთესილი და სტარტზე ჟაკლინ კაკოს (აშშ) შეხვდება, წყვილებში კოკო ვანდევეგესთან (აშშ) ერთად რეიტინგფავორიტია და გზიდან თამიენ ფიმაგალისა და ვიქტორია იუს (ორივე - აშშ) ჩამოშორებას შეეცდება.

ნანტის 50.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე მაკა ჩახნაშვილმა ორი მეტოქე დაამარცხა, მაგრამ ფიონა ფიროს (საფრანგეთი) დანებდა - 1:6, 2:6, ამის მიუხედავად, იღბლიანი წაგებულის სტატუსით ძირითად ბადეში მაინც მოხვდა და მე-4 ნომერ ლარა არუაბარენას (ესპანეთი) შეხვდება. წყვილებში ჩახნაშვილი და რუსი ნატალია ორლოვა ამერიკელ ნიკოლ მელიჩარსა და სერბ ტეოდორა მირჩიჩს ეთამაშებიან.

სტამბულის 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში სოფიო შაფათავა პირველ წრეში იტალიელ კორინა დენტონის გაეჯიბრება. წყვილებში უკრაინელ ანასტასია ვასილიევას ერთად მე-2 ნომერია და გერმანულ-რუსულ დუეტთან (ჯასტინ ოზგა-მარინა შამაიკო) მოსინჯავს ძალებს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა

# მოძმანაშვილი – კადიროვის თასით

ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა, მსოფლიოს პრიზიორმა **დავით მოძმანაშვილმა** (120) შაბათს წარმატებით იასპარეზა გროზნოში, ჩეჩნეთის პრეზიდენტ „რამზან კადიროვის თასზე“, სადაც პირველობა არავის დაუთმო.

ეს ტურნირი, რომელსაც ჩეჩნეთის ექსცენტრული პრეზიდენტი კადიროვი კურირებს, უკვე მეხუთედ ჩატარდა და მსუყე საპრიზო ფონდით გამოირჩევა – გამარჯვებულები 20 000 დოლარს იღებენ, ვერცხლისმედალოსნები – 5 000, მესამე პრიზიორები – 2000 დოლარს, პირველი შეჯიბრების ჩემპიონებს კი ფულზე მანქანებიც დაუმატეს. ტურნირს ოფიციალურად ცოტა უცნაური სახელი ჰქვია – „რამზან კადიროვის თასი ადლან ვარაევის პრიზზე“. წლევანდელ შეჯიბრებას თავად **რამზან კადიროვი** არ დასწრებია. მიზეზს ვერ გეტყვით, მასპინძლობა კი სწორედ **ადლან ვარაევმა** გასწია. შეჯიბრებაში რუსეთის ცალკეული რეგიონების გუნდებთან ერთად საქართველოს, ამერიკის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, უკრაინის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის ნაკრებებიც მონაწილეობდნენ.


დავით მოძმანაშვილი (მარცხნივ)

დავით მოძმანაშვილი ამ ტურნირის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი იყო და იმედი სრულად გაამართლა. პირველ შეხვედრაში მან მასპინძელთა სამწუხაროდ, ადგილობრივი ფალავანი **ასლან მალცაგოვი** 3:0 დაამარცხა, მერე ოსთა გუნდის ნევრ **ალექსანდრ კუსრაევს** სძლია, ნახევარფინალში მეორე ოსი, რუსეთის პირველობის მედალოსანი **ედუარდ ბაზროვი** სულაც ბეჭებზე დააწვინა, ფინალში კი დაღესტნელ **არსლანბეკ ალიევს** 3:1 მოუგო. პირველ პერიოდში აქტიურობით არც ერთი არ გამოირჩეოდა, თუმცა მოძმანაშვილი მაინც აკონტროლებდა შეხვედრის მიმდინარეობას. მსაჯმაც ალიევი პასიურობისთვის ქულით დასაჯა, მეორე პერიოდში კი ანალოგიურად ქართველიც დაჯარიმდა. ამან ჩვენებური გამოაფხიზლა და ტემპს იქნებ დიდად არა, მაგრამ მაინც უმატა. ფეხში შესვლის რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ მოძმანაშვილმა მიზანს მაინც მიაღწია და მეტოქე ჩოქბჯენში ჩაიყვანა, იქ კი შეგშურდებოდათ, ისე თავისუფლად დაატრიალა – 3:1. შედეგზე მეტად გასახარიც ის სილაღეა, რომლითაც ქართველებისთვის რატომღაც ეს რთული ელემენტი შეასრულა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ეს ის ალიევია, ვისაც ერთი კვირის წინათ **გიორგი საკანდელიძემ** საკონტინენტთაშორისო თასზე მისსავე მშობლიურ ხასავიურტში ასევე ფინალში მოუგო, თავად მოძმანაშვილისთვის კი ეს მეორე მოგებული შეჯიბრება ბოლო ორი კვირის განმავლობაში – პირველი იაკუტსკში დმიტრი კორკინის მემორიალზე გამარჯვება იყო.

გროზნოში ჩვენგან **მალხაზ ზარქუა** და **მალხაზ ქურდიანიც** (ორივე – 66) ჭიდაობდნენ, მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდნენ. ზარქუამ უკრაინელ **ანდრეი კვიატკოვსკისთან** წააგო, ქურდიანმა – რუსთა ოს ევროპის ჩემპიონთან, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსან **ალან გოგაევთან**.

**ირაკლი თავაძე**

● სუმო





# ქართველი სუმოისტები გავარდნის საფრთხის წინაშე არიან

28 ოქტომბერს ნოემბრის ბაშოს ოფიციალური ბანძუკე ანუ რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა.

ქართველი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** სექტემბერში ცუდი ასპარეზობის გამო დაქვეითდა და ელიტურ დივიზიონში დასავლეთის მე-13 მაეგაშირა გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაგამარუ ფრთხილად უნდა იყოს - კიდევ ერთი უარყოფითი ბალანსი მას შესაძლოა მაკუუჩის დივიზიონიდან გავარდნად დაუჯდეს.

სექტემბრის ბაშო სრულად გამოტოვა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ამის გამო ის ძურიოს პირველი ნომრობიდან ამავე დივიზიონის უკანასკნელ საფეხურზე ჩამოვიდა - ლევანი ახლა ძურიოს მე-14 ნომერია.

თუკი ჩვენებური ვერც ნოემბრის ბაშოზე იჭიდავებს (ან იჭიდავებს, მაგრამ უარყოფითი ბალანსით დარჩება), ის სეკიტორის სტატუსს დაკარგავს, მესამე ლიგა მაკუშიტაში ოფიციალურად ხელფასსაც არ იღებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# სამდღიანი კახური ტურნე

საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ განვლილ კვირას ახალი საჭიდაო არენების და მასზე გამართული შეჯიბრებების სერია კახეთში განაგრძო. ზედიზედ სამი დღის (22, 23. 24 ოქტომბერი) განმავლობაში ფედერაციის ხელმძღვანელები და სპორტის ადგილობრივი სამსახურების თავკაცები ორგანიზებას უწევდნენ ახალი სარბიელების გახსნის ღონისძიებებს და ამ არენებზე ჩატარებულ პირველ შეჯიბრებებს. ახალი საჭიდაოების ასაგებად შერჩეული იყო სოფლები აფენი (ლაგოდეხის რ-ნი), ახალსოფელი (ყვარელის რ-ნი) და არხილოსკალო (დედოფლისწყაროს რ-ნი). სამივე სარბიელზე გამართულმა პაექრობებმა სპორტის ადგილობრივი ქომაგების დიდი ინტერესი გამოიწვია.

*„მიუხედავად შემოდგომის სუსხიანი ამინდისა, როგორც ხედავთ, საქმეს ისევ ენერგიულად ვაგრძელებთ. კახეთში შეჯიბრებების სამდღიანი ტურის მაღალ დონეზე მოწყობა ფედერაციის და სპორტის ადგილობრივი მესვეურების ნაყოფიერმა თანამშრომლობამ განაპირობა. მომავალ წელს კვლავ განვაგრძობთ ფონდ „ქართუს“ პროექტის რეალიზებას და სამჯერ მეტ ახალ სარბიელს ავაგებთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში“* - გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა **გელა ბერუაშვილმა.**

ზემოხსენებულ ახალგახსნილ საჭიდაო არენებზე ძირითადად კახეთის რეგიონის, აგრეთვე თბილისიდან, რუსთავიდან, თიანეთიდან, ხაშურიდან და ქარელიდან ჩასულმა მოჭიდავეებმა იასპარეზეს.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს**

**აფენი**

**60 კგ.** 1. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი), 2. რომან თურქაძე (ყვარელი), 3. გიორგი მუმლაძე (ლაგოდეხი)

**70 კგ.** 1. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 2. გიორგი ტყემალაძე, 3. ალიკა ნანიევი (ორივე - ლაგოდეხი)

**80 კგ.** 1. ჯაბა ბიწაძე, 2. ალიკა ბოხაშვილი (ორივე - ლაგოდეხი), 3. გიორგი გულიაშვილი (ყვარელი)

**+ 80 კგ.** 1. გიორგი კობაიძე (ლაგოდეხი), 2. შოთა ჭიჭიბოშვილი (ყვარელი), 3. ლევან მაჭარაშვილი (ლაგოდეხი).

**ახალსოფელი**

**60 კგ.** 1. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი), 2. ვალერი ცერცვაძე, 3. ნიკა კოჭლამაზაშვილი (ორივე - ყვარელი)

**70 კგ.** 1. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 2. კახა ცაგარელი (ყვარელი), 3. თორნიკე მახათაძე (ლაგოდეხი)

**80 კგ.** 1. ჯაბა ბიწაძე, 2. გიორგი გულიაშვილი (ყვარელი), 3. აკაკი ბოხაშვილი (ლაგოდეხი)

**+ 80 კგ.** 1. სოსო იარაჯული (თიანეთი), 2. გიორგი კობაიძე (ლაგოდეხი), 3. შოთა ჭიჭიბოშვილი (ყვარელი).

**არხილოსკალო**

**60 კგ.** 1. გიორგი ნათათრალიშვილი, 2. ბაჩო კილაძე (ორივე - დედოფლისწყარო), 3. გიორგი მუმლაძე (ლაგოდეხი)

**70 კგ.** 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 3. ვასო ბერუაშვილი (რუსთავი)

**80 კგ.** 1. ლევან ნიკლაური (დედოფლისწყარო), 2. ჯაბა ბიწაძე, 3. ალიკა ნანიევი (ორივე - ლაგოდეხი)

**+ 80 კგ.** 1. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 2. კახა გაზაშვილი (ქარელი), 3. გიორგი კობაიძე (ლაგოდეხი).

**ვასილ ბალახაძე**


არხილოსკალოს შეჯიბრების მძიმე წონის საუკეთესო სამეული მალხაზ ბერუაშვილმა დააჯილდოვა

● რეგიონი. მძლეოსნობა

# მოზარდების რეგიონული პირველობა

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საჯარო სკოლის (დირექტორი **გივი თოდუა**) ბაზაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის (პრეზიდენტი **რეზო ბუკია**) ინიციატივით 1998-2000 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა რეგიონული პირველობა გაიმართა, რომელშიც ზუგდიდის, ფოთის, ხობის, მარტვილის, აბაშის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

**გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას. გოგონები. 60 მ.** 1. ალიონა თათარაშვილი (ფოთი, 7,78), 2. ბელა ჭკადუა (ზუგდიდი, 7,80), 3. ნინო ახალაია (ჩხოროწყუ, 7,86). **300 მ.** 1. ალიონა თათარაშვილი (50,14), 2. ბელა ჭკადუა (50,18), 3. მარიანა შონია (ხობი, 56,0). **სიგრძეზე ხტომა.** 1. მარიანა შონია (3,72), 2. მანანა სალარაძე (ხობი, 3,71), 3. ელისო დანელია (მარტვილი, 3,60). **4X100 მ.** 1. ხობი, 2. ზუგდიდი (2).

**ვაჟები. 60 მ.** 1. დავით ჭედია (ზუგდიდი, 7,0), 2. გიორგი ფიფია (წალენჯიხა, 7,4), 3. გიორგი ახალაია (ხობი, 7,16). **300 მ.** 1. დავით ჭედია (46,1), 2. გიორგი ახალაია (47,1), 3. აკაკი ჩანგელია (ჩხოროწყუ, 50,0). **სიგრძეზე ხტომა.** 1. გიორგი ახალაია (4,60), 2. ლევან ფიფია (წალენჯიხა, 4,32), 3. დავით ჭედია (4,26). **4X100 მ.** 1. მარტვილი, 2. ხობი, 3. ჩხოროწყუ.

**ვაჟა დანელია**

● ძიუდო

# გმირების უკვდავსაყოფად

ამ დღეებში გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის ძიუდოს დარბაზმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს უმასპინძლა. საასპარეზოდ შეიკრიბა 2000-2001 წლებში დაბადებული გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, ჟინვალის, თელავის, ახმეტის და თბილისის ხუთი კლუბის 150-მდე ჭაბუკი ძიუდოისტი. ტურნირი, რომლის ორგანიზატორია გორის ცენტრალური სასპორტო სკოლა (დირექტორი **კონსტანტინე ხუბულური**), წლეულს პირველად გაიმართა და როგორც ირწმუნებიან, იგი ტრადიციული გახდება.

**კვარცხლბეკი**

**30 კგ.** 1. შაქრო შათირიშვილი (ახმეტა), 2. თემურ აბრამიშვილი (თელავი), 3. თორნიკე მაზიაშვილი (ახმეტა), გაგა ჭულუხაძე (გორი).

**34 კგ.** 1. დათო დვალიშვილი (გორი), ალექსანდრე ლოლაძე (თბილისი), 3. ლუკა ლაწიაშვილი (ჟინვალი), გიორგი იანტბელიძე (გორი).

**38 კგ.** 1. ლევან ებელაშვილი (ახმეტა), 2. გიორგი ნამალაიძე (თბილისი), 3. არმაზ არჩუაძე (გორი), გიორგი ლომიტაშვილი (ქარელი).

**42 კგ.** 1. დავით ჩუტკერაშვილი, 2. საბა კაპანაძე (ორივე - თბილისი), 3. ლუკა გაგუნაშვილი (ახმეტა), შოთა ხაბალაშვილი (გორი).

**46 კგ.** 1. ვალერი არხოზაშვილი (გორი), 2. გიგა მოსიაშვილი (თელავი), 3. დათო ფაქიზაშვილი, რობინზონ ტერტერაშვილი (ორივე - ახმეტა).

**50 კგ.** 1. მიხეილ ბახბახაშვილი (თელავი), 2. ჯონი ბუცხრიკიძე, 3. გიორგი შერაზადაშვილი (ორივე - თბილისი), ნიკა ხარაზიშვილი (ქარელი).

**55 კგ.** 1. ოთარ პირველი (ქარელი), 2. ლევან ფსუტური (გორი), 3. იოსებ იორდანაშვილი (კასპი), ლუკა ნიჟარაძე (თბილისი).

**60 კგ.** 1. გიორგი შათირიშვილი (ახმეტა), 2. ლაშა თითირაშვილი, 3. ვანო გვარაძე, დათო კუდუხაშვილი (სამივე - გორი).

**66 კგ.** 1. გიორგი ხუციშვილი, 2. ჯაბა კოლხიტაშვილი, 3. ლუკა მჭედლიშვილი, ლუკა რთველაძე (ოთხივე - თბილისი).

**73 კგ.** 1. ნოდარ კუთხაშვილი (ქარელი), 2. ილია საათაშვილი, 3. სანდრო გიორგაძე (ორივე - გორი), მერაბ ელბაქიძე (ქარელი).

**+73 კგ.** 1. ლევან ჭელიძე, 2. გიორგი ყარალაშვილი, 3. გიგა ტატიაშვილი (სამივე - თბილისი), ვასილ გვიმრაძე (კასპი).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ხელბურთი

# შესარჩევამდე საკონტროლო მატჩები

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის - **ჯორჯე რასიჩის** ხელმძღვანელობით 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. როგორც ადრე გაუწყეთ, ჩვენი ბიჭები პირველ მატჩს 30 ოქტომბერს პანევეჟისში ლიტველებთან გამართავენ. ამ პაექრობისთვის უკეთ მომზადების მიზნით ქართველები უკრაინის დედაქალაქში გაემგზავრნენ და მასპინძლებთან ამხანაგური საკონტროლო მატჩი გამართეს. ნაკრებს კიევში შეუერთდა **სერგო დათუკაშვილი,** ხოლო **ვლადიმერ რუსიას** ხელის ტრავმის გამო არ უთამაშია.

მასპინძლებმა პირველი მატჩი ალმავლობით ჩაატარეს და 26:20 მოიგეს. სტუმრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: თევზაძე, ტორონჯაძე, მსხვილიძე (7), ჩიქოვანი (6), დათუკაშვილი (4), ტალახაძე (2), გვაზავა (1), ბერძენიშვილი, გოგალაძე, ამირანაშვილი, აბრამიშვილი, გამზარდია.


სერგო დათუკაშვილი (ბურთით)

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტური ლიგა

# სტუ მეორედ დამარცხდა

საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის წლევანდელი გათამაშების მომდევნო ეტაპზე გასასვლელი სამი საგზურისთვის **B ჯგუფში** 6 გუნდი იბრძვის: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (**სტუ**), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (**მგუ**), როსტოვის სამხრეთი ფედერალური უნივერსიტეტი (**რსფუ**), როსტოვის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი (**რსეუ**), კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (**კპი**) და ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (**ხპი**).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებმა **ნიკოლოზ დერიუგინის** ხელმძღვანელობით ორი საშინაო მატჩიდან თითო მოიგეს და წააგეს, გუშინ კი ხარკოვში პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებთან დამარცხდნენ:



| ხპი–სტუ | 67:62 |
|---|---|

22:11; 19:20, 8:19, 18:12

**ხპი.** ანტონ მიხაილოვი (12), რომან ოლხოვსკი (9), ვალერი კლიმენტიევი, როდიონ ბოროვსკი (11), სერგეი ჩერნიავსკი, ვასილი საინიევი (7), რომან კოზლოვი (14), დმიტრი შარაპოვი (1), ანტონ როჩნიაკი (13), სერგეი ტელეშკო.

ყველაზე მეტი ქულა საკუთარ გუნდს კოზლოვმა (14) მოუტანა, ხოლო როჩნიაკის ანგარიშზეა 13 ქულა და 16 მოხსნა.

**სტუ.** დავით გურაბანიძე, რევაზ დიდია (3), ლევან გრძელიძე (17), ნოდარ გოგოძე (15), ირაკლი ალხანაიძე (13), გიორგი ცირეკიძე, რიჩარდ მათიაშვილი (14), ავთანდილ ლომინაშვილი, საბა ლობჟანიძე.

გრძელიძემ 40 წუთი (!) დაყო მოედანზე და სტუ-ს 17 ქულა შესძინა, მათიაშვილმაც შეუცვლელად ითამაშა ოთხივე პერიოდი და 14 ქულითა და ამდენივე მოხსნით შეეწია თანაგუნდელებს.

ორთაბრძოლა სტუმრების იერიშებით დაიწყო და მე-2 წუთზე გრძელიძემ ანგარიში გახსნა. ოციოდე წამში როჩნიაკმა სამქულიანით წინ გაიყვანა ხარკოველები, რომლებმაც პირველი ათწუთიანი მონაკვეთი 22:11 მოიგეს. მეორე მეოთხედი უფრო თანაბარ ბრძოლაში გაილია და სტუმრებმა ქულით მოიგეს. დერიუგინის შეგირდებმა შესვენების შემდეგ უფრო იყოჩაღეს და 26-ე წუთისთვის ქულათა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს, ოთხიოდე წუთში კი სულაც წინ გავიდნენ - 50:47. ბოლო მეოთხედში ისევ მასპინძლებმა იძალეს და შეხვედრა 67:62 მოიგეს. სტუ მომდევნო მატჩს 30 ოქტომბერს კიევში გამართავს.

ამ პაექრობამდე გასულ შაბათ-კვირას **B ჯგუფში** სამი ორთაბრძოლა გაიმართა: **კპი-ხპი** 61:70 (15:23, 16:13, 14:19, 16:15), **რსეუ-მგუ** 61:76 (12:25, 15:18, 9:19, 25:14), **რსფუ-მგუ** 84:100 (16:32, 21:20, 24:24, 23:24).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| მგუ | 3 | 3 | 0 | 259:220 | 6 |
| ხპი | 2 | 2 | 0 | 137:123 | 4 |
| სტუ | 3 | 1 | 2 | 227:221 | 4 |
| რსფუ | 3 | 1 | 2 | 248:258 | 4 |
| რსეუ | 2 | 0 | 2 | 129:169 | 2 |
| კპი | 1 | 0 | 1 | 61:70 | 2 |

სტუნდენტური ლიგის **B** ჯგუფის ნოემბერ-დეკემბრის კალენდარი:

**3 ნოემბერი.** რსეუ-რსფუ, **8 ნოემბერი.** ხპი-კპი, **10 ნოემბერი.** სტუ-რსეუ, მგუ-ხპი, **16 ნოემბერი.** სტუ-კპი, **17 ნოემბერი.** მგუ-რსფუ, **22 ნოემბერი.** კპი-მგუ, ხპი-რსეუ, **24 ნოემბერი.** კპი-რსეუ, ხპი-მგუ, **25 ნოემბერი.** ხპი-რსფუ, **27 ნოემბერი.** კპი-რსფუ, **30 ნოემბერი.** მგუ-რსეუ, **5 დეკემბერი.** მგუ-კპი, **8 დეკემბერი.** სტუ-ხპი, 10 დეკემბერი. რსეუ-კპი, 15 დეკემბერი. მგუ-სტუ, **17 დეკემბერი.** რსეუ-სტუ, **18 დეკემბერი.** რსფუ-სტუ.

ვაჟა დანელია

ლეგიონის კვირა

# სანაძემ 16-ით გახსნა



მარკოიშვილმა „ალიალასთან“ 8 ქულა ჩააგდო

ლეგიონის მიმოხილვა ამერიკიდან უნდა დავიწყოთ. ოღონდ, არა NBA-ელი ქართველებით, არამედ კოლეჯების ლიგით, სადაც არაერთი ჩვენიანია. მაგალითად, ახალ სეზონს **ლევან შენგელია** „ალბანისთან“ ერთად დაიწყებს. შარშან იგი „როდ აილენდში“ გამოდიოდა. საქართველოს ნაკრების წევრი **ოთარ ფხაკაძე** „ვერმონტიდან“ „ფეარმონტში“ გადავიდა, ხოლო ასევე ნაკრებელი **დუდა სანაძე** მეორე წელია „სან დიეგოს“ უნივერსიტეტში სწავლობს, თუმცა თამაშის უფლება მხოლოდ ამ სეზონში მისცეს და პირველი შეხვედრა უკვე გამართა. ეს გახლდათ საკონტროლო მატჩი, თუმცა, ამერიკული წესებით თამაშის შედეგი საერთო რეიტინგში შედის.

„სან დიეგოს“ მაისურით დუდას დებიუტი წარმატებული გამოდგა: „მონტერეისთან“ საშინაო გამარჯვებაში სანაძემ 16-ქულიანი წვლილი შეიტანა. მან 5-დან 2 სამქულიანი და 9-დან 5 ორიანი ჩააგდო. ქართველზე მეტი მხოლოდ სანდიეგოელ **ჯონი დიის** ჰქონდა - 28 ქულა. დუდას გუნდი მომდევნო თამაშს 8 ნოემბერს „გრან კანიონის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

## ესპანეთი

ზედიზედ ორი ნაგების შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში ლირებული გასვლითი გამარჯვება მოიპოვა **სანიკიძე-შერმადინის** „სარაგოსამ“. ამ საქმეში ქართველთა წვლილი 27 ქულა იყო. არაგონელებმა კი მხოლოდ 4 ქულის სხვაობით მოიგეს.

მათ ესპანეთის ჩემპიონატში 2 გამარჯვება და 1 მარცხი აქვთ. ორივე შემთხვევაში სტუმრად იყოჩაღეს. სამი ტურის შემდეგ ჯერ მოგება არა აქვს „კახასოლს“, რომელშიც ახალგაზრდა ქართველი **ბექა ბურჯანაძე** ასპარეზობს. შაბათს 2 ნოემბერს სევილიელები „ლაბორალ კუტხას“ (2 მარცხი) უმასპინძლებენ, ხოლო „სარაგოსა“ „ლა ბრუიქსას“ მიიღებს.

## თურქეთი

გადახედეთ ლეგიონის ცხრილს. ჩვენიანთა გუნდებმა 8 წააგეს, 4 მოიგეს. არადა, რეალური იყო, მოგება-მარცხის თანაფარდობა ტოლი ყოფილიყო (6/6). საქმე ის არის, რომ თურქეთის ჩემპიონატში გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგა **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ“. ამავე გუნდს ევროლიგაზე შეეძლო მოქმედი ჩემპიონი „ოლიმპიაკოსის“ დამარცხება, მაგრამ ბოლო წუთებზე ბერძენთა სამქულიანებს ვერაფერი მოუხერხა.

რაც შეეხება მანუჩარ მარკოიშვილს, იგი გუნდის საკვანძო კალათბურთელია, ბოლო წუთებს ყოველთვის მოედანზე ატარებს, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში თამაშს საკუთარ თავზე ხშირად არ იღებს. ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ევრობასკეტის შემდეგ მანუ კოჭის ტრავმას მკურნალობდა და ოპტიმალური ფორმისთვის ჯერ არ მიუღწევია.

## უკრაინა

გასულ კვირას უკრაინის ჩემპიონატში ქართველთა გუნდებს არ უთამაშიათ. სამაგიეროდ **გიორგი ცინცაძის** „დონეცკი“ (ვითიბი ლიგაზე) ესტონეთში ფავორიტის სტატუსით ჩავიდა, მაგრამ „კალევისგან“ სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდა და დაგვანახვა, რომ დონეცკელებს შეთამაშება აკლიათ - ესტონელებმა მესამე პერიოდში 15-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს.



შერმადინმა მასპინძლებს ბურთი არ დაანება



დუდა სანაძე (მარცხნივ) თანაგუნდელებთან

ასეა თუ ისე, ცინცაძის თანაგუნდელები A ჯგუფში 2 მოგებითა და ერთი მარცხით მესამე ადგილზე არიან.

## ფინეთი

ბურჯანაძის „კახასოლის“ მსგავსად, წარუმატებელი დებიუტი გამოუვიდა **გივი ბაქრაძის** „ლაჰუა კორიკობრატს“. ბოლო ტურში, „ლაჰტთან“ ლაპუელები ძალიან ახლოს იყვნენ პირველ მოგებასთან, მაგრამ თავად მოედნიდან მაინც თავჩაღუნულნი გამოვიდნენ - 75:78.

გამარჯვება მნიშვნელოვანია, მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ გივი ფინეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდის სასტარტო ხუთეულშია და სათამაშო დროც საკმარისად აქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

| მოთამაშე | გუნდი | შეჯიბრება | თარიღი | მეტოქე | შედეგი | წთ | მ | პ | ჩ | დ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | NBA | 23.10 | -ნიუ იორკი | 105:95 მ | 21 | 9 | 5 | 0 | 0 | 0 | 7 |
| | | | 25.10 | -ტორონტო | გაუქმდა | | | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი | ევროლიგა | 24.10 | -ოლიმპიაკოსი (საბ) | 67:78 წ | 23 | 5 | 2 | 2 | 0 | 1 | 7 |
| | | თურქეთის ჩემპ. | 26.10 | ალიალა- | 77:69 წ | 19 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 8 |
| ვიქტორ სანიკიძე | სარაგოსა | ევროთასი | 23.10 | ალბა- | 71:68 წ | 24 | 3 | 1 | 0 | 1 | 1 | 4 |
| | | ესპანეთის ჩემპ. | 27.10 | ბლუსენსი- | 86:82 მ | 24 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 14 |
| გიორგი შერმადინი | სარაგოსა | ევროთასი | 23.10 | ალბა (ბერ)- | 71:68 წ | 26 | 6 | 1 | 0 | 0 | 2 | 14 |
| | | ესპანეთის ჩემპ. | 27.10 | ბლუსენსი- | 86:82 მ | 26 | 6 | 1 | 1 | 0 | 1 | 13 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი | ესპანეთის ჩემპ. | 26.10 | ვალიადოლიდი- | 81:68 წ | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ცინცაძე | დონეცკი | ვითიბი ლიგა | 27.10 | კალევი- | 86:80 წ | 18 | 2 | 1 | 1 | 0 | 6 | 3 |
| გივი ბაქრაძე | ლაპუა | ფინეთის ჩემპ. | 23.10 | კტპ- | 92:73 წ | 23 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 2 |
| | | | 26.10 | -ლაჰტი | 75:78 წ | 28 | 2 | 5 | 2 | 0 | 1 | 0 |
| დუდა სანაძე | სან დიეგო | NCAA (აშშ) | 26.10 | -მონტერეი | 90:81 მ | 23 | 5 | 1 | 2 | 1 | 2 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# კავთიძისა და თოდუას თითო ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მეათე ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. პლეი ოფში მოხვედრის შანსი დღესდღეობით ერთბაშად 12 გუნდს აქვს. ყოველი ტურის შემდეგ ლიდერის ცვლილება მიმდინარე გათამაშებაში ტრადიციად დამკვიდრდა. სატურნირო ცხრილის პირველი ექვსი საფეხური კი ისევ ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ.**

მეათე ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ტულუზში, სადაც ფრანგული რაგბის გრანდმა, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** ადგილობრივმა გუნდმა **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონს“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით - 13:12 მოუგო.

სტუმრებმა მატჩის პირველი ტაიმი მშრალი ანგარიშით 12:0 მოიგეს, მაგრამ შესვენების შემდეგ „გაშმაგებულ“ ტულუზელებს ვერაფერი დაუპირისპირეს და მონაგარის გაზრდაც ვერ მოახერხეს. მასპინძლებმა მეორე ტაიმში 13 ქულის მოპოვება შეძლეს და უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწიეს. შედეგად, „ტულუზი“ გათამაშებაში ერთპიროვნულად გალიდერდა.

მიქაუტაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს, ჩილაჩავა განაცხადში არ იყო, კაკოვინი და ბრეგვაძე ტრავმირებულნი არიან.

„ტულუზს“ ორი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“, რომელმაც შინ დაამარცხა **კარლენ ასეიშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი“ - 36:29. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ფრედ 20:20 დასრულდა. შესვენების შემდეგ, ისევ „ვულკანებმა“ იმძლავრეს და ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვეს.

ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს, ზირაქაშვილი და შველიძე ტრავმირებულნი არიან.

28 ქულა დაუგროვდა ერთბაშად სამ გუნდს. „ტულონზე“ უკვე ვთქვით, მას კვალში „მონპელიე“ და „პერპინიანი“ უდგას. **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“ სტუმრად წააგო ბასკურ „ბაიონთან“ - 19:24. ორივე ქართველმა მორაგბემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**გიორგი ჟღენტის** „პერპინიანმა“ კი შინ დაამარცხა **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდო“ - 31:20. ჟღენტი, რომელიც 54-ე წუთზე შეცვალეს, მატჩის დასაწყისშივე, მე-4 წუთზე არბიტრმა სინბინში გაუშვა. ნავროზაშვილი განაცხადში არ იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დაძაბული გამოდგა პარიზული დერბი, რომელშიც **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგმა“ **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“ დაამარცხა - 16:12. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

საფრანგეთის ჩემპიონმა, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“ შინ მშრალი ანგარიშით სძლია აუტსაიდერ „ბიარიცს“ - 39:0. საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო და 69-ე წუთზე გაასინბინეს.

### I დივიზიონი

#### X ტური

ბაიონი-მონპელიე 24:19, ტულუზი-ტულონი 13:12, კასტრი-ბიარიცი 39:0, გრენობლი-ოიონაქსი 23:10, პერპინიანი-ბორდო 31:20, კლერმონი-ბრივი 36:29, მეტრო რასინგი-სტად ფრანსე 16:12.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 31 ქულა, 2. კლერმონი - 29, 3. ტულონი - 28, 4. მონპელიე - 28, 5. პერპინიანი - 28, 6. სტად ფრანსე - 27, 7. გრენობლი - 27, 8. მეტრო რასინგი - 26, 9. კასტრი - 25, 10. ბრივი - 23, 11. ბორდო - 21, 12. ბაიონი - 20, 13. ოიონაქსი - 17, 14. ბიარიცი - 8.

#### XI ტური

**ტულონი-ბორდო, კასტრი-კლერმონი, ბრივი-ტულუზი, ბიარცი-მეტრო რასინგი, ოიონაქსი-პერპინიანი, მონპელიე-გრენობლი, სტად ფრანსე-ბაიონი.**

მეორე დივიზიონში ქართველ მორაგბეთა გუნდებს პირველი ოთხი ადგილი უკავიათ. გათამაშებას კვლავ ლიდერობს **გურამ კავთიძისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონი“, რომელმაც მერვე ტურში შინ დაამარცხა „ოში“ - 40:12. კოლელიშვილი 51-ე წუთზე შეცვალეს, კავთიძე თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო და 18 წუთში ლელო გაიტანა.

**კახაბერ კობერიძის. ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა და ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბიმ“ შინ დაამარცხა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“ - 33:15.

თოდუამ სრულად ითამაშა და 70-ე წუთზე ლელო გაიტანა, თეთრაშვილი თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო, შეყლაშვილი ლანგედოკელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და 36-ე წუთზე გაასინბინეს, ხოლო 47-ე წუთზე შეცვალეს.

**ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა“ შინ მოუგო უშუალო კონკურენტ **ტარიელ რატიანიძის** „აჟენს“ - 25:21 და ახლა 26 ქულით მეოთხე ადგილზეა. დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, რატიანიძე მოედანზე მე-40 წუთიდან გამოჩნდა, ნაცარაშვილი თამაშში 11 წუთის შემდეგ ჩაერთო.

**გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ შინ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა „კოლომიესთან“ დაპირისპირებაში - 20:15. სამივე ქართველი თამაშში ერთდროულად, 56-ე წუთიდან ჩაერთო.

### II დივიზიონი

#### VIII ტური

ალბი-ბეზიე 33:15, ორიაკი-აჟენი 25:21, კარკასონი-ნარბონი 13:23, ლა როშელი-ბურგ ან ბრესი 37:10, მონ დე მარსანი-ბურგუენი 16:12, პო-დაქსი 21:15, ლიონი-ოში 40:12, ტარბი-კოლომიე 20:15.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ლიონი - 32 ქულა, 2. ლა როშელი - 29, 3. აჟენი - 26, 4. ორიაკი - 26, 5. პო - 26, 6. ნარბონი - 21, 7. კოლომიე - 20, 8. ბურგუენი - 19, 9. ტარბი - 16, 10. მონ დე მარსანი - 16, 11. ბეზიე - 15, 12. ალბი - 13, 13. დაქსი - 12, 14. კარკასონი - 11, 15. ბურგ ან ბრესი - 11, 16. ოში - 10.

#### IX ტური

აჟენი-სკარკასონი, ბურგუნი-პო, კოლომიე-ოში, ნარბონი-ტარბი, დაქსი-ალბი, ორიაკი-ლიონი, ბეზიე-ლა როშელი, ბურგ ან ბრესი-მონ დე მარსანი.

**ბესიკ ჯანგავაძე**



გურამ კავთიძის სალელოვე შეტევა

საქართველოს ჩემპიონატი



არმია-ყოჩები

# საუკეთესო შვიდეული

**საქართველოს სარაგბო ჩემპიონატში მერვე ტურის მატჩებიც მიილია და სატურნირო ცხრილში კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია. კვლავინდებურად გაფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს როგორც ზედა სამეულში დასამკვიდრებლად, ასევე საპლეიოფო ზონაში შესასვლელად. წარმოგიდგენთ გასული ტურის 7 ძირითად მოვლენას.**

## ირაკლი ყიასაშვილი

ტურის ცენტრალურ მატჩში ქუთაისის „აიამ“ საკუთარ მოედანზე ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „ლელოს“ უმასპინძლა. შეხვედრა მოლოდინისამებრ უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მატჩის საუკეთესო მოთამაშის სტატუსი კი. სტუმართა ფეხბურთინმა ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** ირგუნა. მან შეხვედრის სტარტზე იოლი პოზიციებიდან ორჯერ ვერ შეძლო მეტოქის ძელებს შუა საჯარიმოს გატანა, თუმცა „რიყამ“ მალევე გაისწორა მიზანი და ზედიზედ შვიდჯერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი საკუთარი მონაგარი 21 ქულამდე გაზარდა, „ლელოს“ კი პრინციპულ მეტოქესთან უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. ეროვნულ ჩემპიონატში კარგი თამაში ყიასაშვილს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** დაუფასა და ირაკლი ნოემბრის ტესტებზე ეროვნული გუნდის კვარტით იასპარეზებს.

## სიტყვა-პასუხი

ქუთაისში თამაში არასდროს ყოფილა იოლი, რაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა „აიასა“ და „ლელოს“ დაპირისპირებისას. შეხვედრის მე-60 წუთზე მოზღვავებულმა ემოციებმა ერთბაშად იფეთქეს და მოედანზე გუნდური ჩხუბი ატყდა. სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმაც ტრადიციულად "თავისი წვლილი" შეიტანა. ტრიბუნებიდან წამოსული უხამს სიტყვათა „სეტყვამ“ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. „ლელოს“ მორაგბეებმა ველარ მოითმინეს და ანალოგიურით უპასუხეს... რაც ყოვლად დაუშვებელია. გულშემატკივარი ყოველთვის მოედნის გარეთ მყოფ სამყაროდ რჩება, ხოლო ნამდვილმა პროფესიონალებმა უნდა მოძებნონ საკუთარ თავში ძალა, რომ ასეთ პროვოკაციებს არ აყვნენ.

## “ლოკომოტივი“ ცხრილის სათავეში

მერვე ტურის დასრულების შემდეგ **თემურ ბენდიაშვილის** განვრთნილი „ლოკომოტივი“ მიმდინარე ჩემპიონატში პირველად ჩაუდგა სატურნირო ცხრილს სათავეში 28 ქულით.

რკინიგზელებმა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარეს „ბათუმთან“ დაპირისპირება და მეტოქის მიერ გატანილ ორ ლელოს ერთბაშად ექვსით უპასუხეს. „ლოკომოტივის“ რიგებში თავი **ვახტანგ ახვლედიანმა (2), გივი ბერიშვილმა (2), ალეკო ზაბახიძემ** და **გოდერძი ჭინჭარაულმა** გამოიჩინეს.

## “არმიას“ გატეხილი ნავსი

გასული სეზონის ვერცხლის მედალოსანმა „არმიამ“ წარუმატებლობათა სერია შეწყვიტა (წაგება "აიასთან", "არმაზთან", "ლოკომოტივთან", ფრე "ჯიქებთან") და უკანასკნელ ტურში, უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა უშუალო კონკურენტი ბოლნისის „ყოჩები“ - 17:13.

არმიელებმა შუამარბ **გიგა გაგოშვილისა** და კვაჭ **შალვა მამუკაშვილის** ლელოებით პირველივე წუთებიდანვე სერიოზული უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა შეხვედრის უკანასკნელ წუთზე დასანანი შეცდომა დაუშვეს, რითაც მშვენივრად ისარგებლა **კახაბერ მახარაშვილმა**, რომელმაც მოახერხა ბურთის ჩათვლის მოედანში დამიწება და საკუთარ გუნდს შვიდი და ნაკლები ქულით წაგებისთვის სანუგეშო ქულა მოუპოვა.

„არმია“ შვიდი შეხვედრის შემდეგ 17 ქულით კვლავ საპლეიოფო ზონის მიღმა იმყოფება და სატურნირო ცხრილში მეშვიდე საფეხურზეა.

## “ჯიქების“ წინსვლა

ორი კვირის განმავლობაში „ჯიქებს“ უმაღლესი ლიგის აუტსაიდერებთან მორიგეობით უწევდა დაპირისპირება. **გიორგი ამირხანაშვილის** განვრთნილმა გუნდმა ჯერ „აკადემიას“ ჩაუტარა სარაგბო გაკვეთილი - 33:3, ხოლო, ამჯერად რუსთავის "ხარები" დატოვა უშანსოდ - 43:10 და უკანასკნელ ორ ტურში მოპოვებული 10 ქულით მნიშვნელოვნად გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა. ამჟამად „ჯიქები“ 20 ქულით მე-6 ადგილზე არიან, თუმცა მეოთხე პოზიციაზე მყოფ „არმაზთან“ სხვაობა 2 ქულალაა.

## პერსპექტიული „არმაზი“

„არმაზის“ ხელმძღვანელობამ სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში დიდი სამუშაო გასწია და საკუთარი შემადგენლობა უფრო ძლიერი და მრავალფეროვანი გახადა. გუნდი გამოცდილ და ახალგაზრდა მოთამაშეთა მშვენიერ ნაზავს წარმოადგენს, რომელსაც რეალურად ძალუძს მედლებისთვის ბრძოლა.

პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში მიმდინარე 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომლის შემადგენლობაში „არმაზის“ შვიდი მორაგბეა გამოძახებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს თბილისური კლუბის მომავალ პერსპექტივაზე.

## ბოლო წუთების დრამა

„არმაზი“ „აკადემიასთან“ დაპირისპირებაში უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა და **დავით ვართანიანის** განვრთნილი გუნდი შეხვედრის სტარტზევე დაწინაურდა სოლიდური სხვაობითაც - 20:6. მოულოდნელად, მატჩის მიწურულს აკადემიელები გამოფხიზლდნენ და ორი ლელოს გატანით ანგარიშში წონასწორობა აღადგინეს 20:20. „არმაზის“ ფეხბურთინმა მგეზავმა **დავით კიკნაძემ** შეხვედრის ბოლო წუთზე ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი კვლავ წინ გაიყვანა საკუთარი გუნდი - 23:20. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში „აკადემიას“ კიდევ ერთხელ მიეცა ანგარიშის გათანაბრების შანსი, თუმცა **ილია მელაძის** დარტყმულმა ბურთმა ოდნავ გვერდზე ჩაუარა კარის ძელებს.

**გიორგი ბარბაქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი




ბერნარდ ჰოპკინსი შეტევაში

# 48 წლის ჩემპიონი

გასულ უქმეებზე გამართული ბრძოლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში გაიმართა, სადაც ტიტულს იცავდა 79.4-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში IBF-ის მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **ბერნარდ ჰოპკინსი**.

48 წლის მოკრივემ ქულებით დაამარცხა სომხური წარმოშობის 30 წლის გერმანელი **კარო მურატი**. ჰოპკინსი, რომელიც ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონია, საკუთარ თავს "უცხოპლანეტელი" უწოდა და რინგზე მწვანე ნიღბით ავიდა.

მსაჯებმა 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება ჰოპკინსს - 117:110, 119:108 და 119:108.

ჰოპკინსმა გააუმჯობესა საკუთარი ასაკობრივი რეკორდი. 2011 წლის მაისში, 46 წლისა და 126 დღის ასაკში მოიპოვა ჩემპიონის ტიტული WBC-ის ვერსიით, ხოლო მურატთან ბრძოლის მომენტში მისი ასაკი იყო 48 წელი და 9 თვე იყო.

პროფესიულ რინგზე ჰოპკინსმა 54 გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის, 32 ნოკაუტით, დამარცხდა ექვსჯერ და ორი ბრძოლა ფრედ დასრულდა. მურატისთვის ეს იყო მეორე მარცხი კარიერაში, სულ კი მას 25 ბრძოლა აქვს მოგებული (15 - ნოკაუტით).

ჰოპკინსი და მურატი 2013 წლის ივნისში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბრძოლა ჩაიშალა იმის გამო, რომ გერმანელს უარი უთხრეს ამერიკის ვიზაზე.

ოლიმპიზმი

# 2014 20:14-ზე გაიხსნება

გუშინ, სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ 7 თებერვალს, "თეთრი" ოლიმპიადის გახსნის ცერემონია მოსკოვის დროით 20 საათზე და 14 წუთზე დაიწყება. აღნიშნავენ, რომ არჩეული დრო (20:14) რუსეთის ისტორიაში ზამთრის პირველი თამაშების ჩატარების წელს გამოხატავს. გახსნის ცერემონია სამი საათი გაგრძელდება და ის ოლიმპიადის მთავარ სტადიონზე - "ფიშტზე" გაიმართება.

*"გახსნის ცერემონია დატვირთული იქნება მასობრივი სცენებით, საცეკვაო და აკრობატული ნომრებით და მასში მონაწილეობას მიიღებს 3000 ახალგაზრდა უმაღლესი და საშუალო სკოლებიდან, აგრეთვე შემოქმედებითი კოლექტივებიდან. ცერემონიის ორგანიზებაში უშუალოდ მოედანზე, კულისებსა და ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე იმუშავებს ორი ათასი მოხალისე"*, - წერია ოფიციალურ განცხადებაში.



კრიკეტი

# სიკვდილი კრიკეტის ბურთით

კვირას, სამხრეთ აფრიკაში გარდაიცვალა კრიკეტის კლუბ "ოლდ სელბორნიანსის" მოთამაშე **დერონ რენდოლი**, - იტყობინება კრიკეტის ადგილობრივი ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი.

სამხრეთ აფრიკის პრემიერლიგის მატჩის დროს, რენდოლს ბურთი საფეთქელში მოხვდა. ვებგვერდი არაფერს წერს იმის შესახებ, ეხურა თუ არა მას ინციდენტის მომენტში ჩაფხუტი.

32 წლის რენდოლი სტადიონიდან ქალაქ ენისის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერ შეძლეს მისი სიცოცხლის შენარჩუნება.

მოთამაშის კარიერის პარალელურად, რენდოლი დაკავებული იყო სამწვრთნელო მუშაობით. კერძოდ, ის ხელმძღვანელობდა ქალაქ ისტ-ლონდონის სკოლის გუნდს.

კალათბურთი

# სრულფასოვანი ბაინუმი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთმა წამყვანმა ცენტრმა **ენდრიუ ბაინუმმა**, რომელმაც გასული სეზონი სრულად გამოტოვა ტრავმის გამო, გუშინ პირველი სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა ახალი კლუბის - "კლივლენდ კავალიერზის" შემადგენლობაში. თუმცა ექიმები კალათბურთელს ყველანაირი ვარჯიშის შესრულების უფლებას არ აძლევენ, რადგან მუხლის ტრავმის რეციდივის ეშინიათ. მაგრამ "კლივლენდის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ბრაუნმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არ გამორიცხავს ბაინუმის მოედანზე გამოჩენას რეგულარული ჩემპიონატის პირველ მატჩში, რომელშიც "კავალერები" "ბრუკლინს" შეხვდებიან.

მსგავს სიტუაციაში იმყოფება "კავალიერზის" კიდევ ერთი ცენტრი **ტაილერ ზელერი**, რომელმაც ბარძაყის დაზიანების გამო გამოტოვა მთელი საწვრთნელი პროცესი. ისიც ექიმების ვერდიქტის მოლოდინშია და "ნეტსთან" თამაშის იმედი აქვს. ასევე არ ჩქარობს მაიკ ბრაუნი ბრაზილიელი **ანდერსონ ვარეჟაოს** დატვირთვას, რომელიც მხოლოდ ახლა იკრებს ოპტიმალურ კონდიციებს შარშანდელი მძიმე ტრავმის შემდეგ.




ენდრიუ ბაინუმი

# გამოუსადეგარი ვეტერანები

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი სეზონი მოახლოვდა, მაგრამ ორი სახელოვანი კალათბურთელი კვლავაც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და ახალი კლუბი ვერ იპოვა. ლაპარაკია მცველ **რიჩარდ ჰემილტონზე** და ცენტრ **მარკუს კემბიზე**.

ჰემილტონთან დაკავშირებით სიტუაცია მარტივი და გასაგებია. ერთ-ერთი გენერალური მენეჯერის თქმით, საწვრთნელ ბანაკებში მუშაობისას, რიჩარდს მინიმუმ შვიდ კლუბთან ჰქონდა მოლაპარაკებები. როგორც ჩანს, ეს გუნდები ჰემილტონს არაგარანტირებულ კონტრაქტს ჰპირდებოდნენ, ხოლო შემადგენლობაში მოსახვედრად ვეტერანს თავდაუზოგავი შრომა დასჭირდებოდა. მცველს ამგვარი პერსპექტივა არ მოეწონა, ამიტომაც ის ინდივიდუალურად იმუშავებს და დაელოდება, სანამ რომელიმე კლუბს არ დასჭირდება მეორე ნომერი საჩემპიონო გამოცდილებით.



რიჩარდ ჰემილტონი

რაც შეეხება კემბის, მან კონტრაქტი გააფორმა "ჰიუსტონთან", მაგრამ, ბოლო ინფორმაციით, ტეხასური კლუბი მას მალე დაითხოვს შემადგენლობიდან. ამის მიზეზი ის არ არის, რომ "ჰიუსტონს" ისედაც ჰყავს მაღალი დონის "მაღლები" (**დუაიტ ჰოვარდი, ომერ აშიქი**). საქმე ისაა, რომ მარკუსს უკვე დიდი ხანია აწუხებს ტერფის ტრავმა. კემბიმ არათუ ვერ მოაგვარა ეს პრობლემა, არამედ შეიძლება ოპერაციაც დასჭირდეს. მიუხედავად ამისა, "როკეტსის" გენერალური მენეჯერი **დერილ მორი** ბოლომდე უარის თქმას არ აპირებს ვეტერანზე და თუ მის გუნდს დასჭირდა გამოცდილი ცენტრი, ხოლო კემბი ჯანმრთელი იქნა, კლუბსა და კალათბურთელს შორის ახალი ურთიერთობა დაიწყება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

NBA რეგულარული ჩემპიონატი. ოქტომბრის და ნოემბრის კალენდარი

**29 ოქტომბერი**
ინდიანა-ორლანდო
მაიამი-ჩიკაგო
ლეიკერსი-კლიპერსი

**30 ოქტომბერი**
კლივლენდი-ბრუკლინი
ფილადელფია-მაიამი
ტორონტო-ბოსტონი
დეტროიტი-ვაშინგტონი
ნიუ იორკი-მილუოკი
ჰიუსტონი-შარლოტი
მინესოტა-ორლანდო
ნ. ორლეანი-ინდიანა
დალასი-ატლანტა
სან ანტონიო-მემფისი
იუტა-ოკლაჰომა
ფინიქსი-პორტლენდი
საკრამენტო-დენვერი
გ. სტეიტი-ლეიკერსი

**31 ოქტომბერი**
ჩიკაგო-ნიუ იორკი
კლიპერსი-გ. სტეიტი

**1 ნოემბერი**
შარლოტი-კლივლენდი
ორლანდო-ნ. ორლეანი
ვაშინგტონი-ფილადელფია
ატლანტა-ტორონტო
ბოსტონი-მილუოკი
ბრუკლინი-მაიამი
ჰიუსტონი-დალასი
მემფისი-დეტროიტი
მინესოტა-ოკლაჰომა
დენვერი-პორტლენდი
ფინიქსი-იუტა
საკრამენტო-კლიპერსი
ლეიკერსი-სან ანტონიო

**2 ნოემბერი**
ინდიანა-კლივლენდი
მილუოკი-ტორონტო
ფილადელფია-ჩიკაგო
ნ. ორლეანი-შარლოტი
დალასი-მემფისი
იუტა-ჰიუსტონი
პორტლენდი-სან ანტონიო
გ. სტეიტი-საკრამენტო

**3 ნოემბერი**
დეტროიტი-ბოსტონი
მაიამი-ვაშინგტონი
ორლანდო-ბრუკლინი
ოკლაჰომა-ფინიქსი
ნიუ იორკი-მინესოტა
ლეიკერსი-ატლანტა

**4 ნოემბერი**
კლივლენდი-მინესოტა
ფილადელფია-გ. სტეიტი
მემფისი-ბოსტონი
კლიპერსი-ჰიუსტონი

**5 ნოემბერი**
ტორონტო-მაიამი
ბრუკლინი-იუტა
დეტროიტი-ინდიანა
ნიუ იორკი-შარლოტი
ნ. ორლეანი-ფინიქსი
დალასი-ლეიკერსი
დენვერი-სან ანტონიო
პორტლენდი-ჰიუსტონი
საკრამენტო-ატლანტა

**6 ნოემბერი**
შარლოტი-ტორონტო
ინდიანა-ჩიკაგო
მილუოკი-კლივლენდი
ორლანდო-კლიპერსი
ფილადელფია-ვაშინგტონი
ბოსტონი-იუტა
მემფისი-ნ. ორლეანი
მინესოტა-გ. სტეიტი
სან ანტონიო-ფინიქსი
ოკლაჰომა-დალასი

**7 ნოემბერი**
მაიამი-კლიპერსი
დენვერი-ატლანტა
ჰიუსტონი-ლეიკერსი

**8 ნოემბერი**
შარლოტი-ნიუ იორკი
ინდიანა-ტორონტო
ორლანდო-ბოსტონი
ფილადელფია-კლივლენდი
ვაშინგტონი-ბრუკლინი
დეტროიტი-ოკლაჰომა
ჩიკაგო-იუტა
მინესოტა-დალასი
ნ. ორლეანი-ლეიკერსი
სან ანტონიო-გ. სტეიტი
ფინიქსი-დენვერი
პორტლენდი-საკრამენტო

**9 ნოემბერი**
ტორონტო-იუტა
ატლანტა-ორლანდო
ბრუკლინი-ინდიანა
კლივლენდი-ფილადელფია
მაიამი-ბოსტონი
მილუოკი-დალასი
ჰიუსტონი-კლიპერსი
მემფისი-გ. სტეიტი
საკრამენტო-პორტლენდი
ნიუ იორკი-სან ანტონიო

**10 ნოემბერი**
ოკლაჰომა-ვაშინგტონი
ფინიქსი-ნ. ორლეანი
ლეიკერსი-მინესოტა

**11 ნოემბერი**
შარლოტი-ატლანტა
ინდიანა-მემფისი
ფილადელფია-სან ანტონიო
ბოსტონი-ორლანდო
ჩიკაგო-კლივლენდი
ჰიუსტონი-ტორონტო
იუტა-დენვერი
პორტლენდი-დეტროიტი
კლიპერსი-მინესოტა

**12 ნოემბერი**
მაიამი-მილუოკი
დალასი-ვაშინგტონი
გ. სტეიტი-დეტროიტი
ლეიკერსი-ნ. ორლეანი

**13 ნოემბერი**
ორლანდო-მილუოკი
ფილადელფია-ჰიუსტონი
ბოსტონი-შარლოტი
ატლანტა-ნიუ იორკი
მემფისი-ტორონტო
მინესოტა-კლივლენდი
სან ანტონიო-ვაშინგტონი
დენვერი-ლეიკერსი
იუტა-ნ. ორლეანი
პორტლენდი-ფინიქსი
საკრამენტო-ბრუკლინი
კლიპერსი-ოკლაჰომა

**14 ნოემბერი**
ნიუ იორკი-ჰიუსტონი
გ. სტეიტი-ოკლაჰომა

**15 ნოემბერი**
ინდიანა-მილუოკი
ტორონტო-ჩიკაგო
ატლანტა-ფილადელფია
ბოსტონი-პორტლენდი
კლივლენდი-შარლოტი
მაიამი-დალასი
დენვერი-მინესოტა
იუტა-სან ანტონიო
ფინიქსი-ბრუკლინი
ლეიკერსი-მემფისი
საკრამენტო-დეტროიტი

**16 ნოემბერი**
შარლოტი-მაიამი
ორლანდო-დალასი
ვაშინგტონი-კლივლენდი
მილუოკი-ოკლაჰომა
ნიუ იორკი-ატლანტა
ჩიკაგო-ინდიანა
ჰიუსტონი-დენვერი
მინესოტა-ბოსტონი
ნ. ორლეანი-ფილადელფია
გ. სტეიტი-იუტა
კლიპერსი-ბრუკლინი
ტორონტო-პორტლენდი

**17 ნოემბერი**
საკრამენტო-მემფისი
ლეიკერსი-დეტროიტი

**18 ნოემბერი**
ბრუკლინი-პორტლენდი
ჩიკაგო-შარლოტი
ოკლაჰომა-დენვერი
დალასი-ფილადელფია
იუტა-გ. სტეიტი
კლიპერსი-მემფისი

**19 ნოემბერი**
ვაშინგტონი-მინესოტა
დეტროიტი-ნიუ იორკი
მაიამი-ატლანტა
ჰიუსტონი-ბოსტონი
საკრამენტო-ფინიქსი

**20 ნოემბერი**
შარლოტი-ბრუკლინი
კლივლენდი-ვაშინგტონი
მილუოკი-პორტლენდი
ნიუ იორკი-ინდიანა
ორლანდო-მაიამი
ფილადელფია-ტორონტო
ატლანტა-დეტროიტი
მინესოტა-კლიპერსი
ნ. ორლეანი-იუტა
სან ანტონიო-ბოსტონი
დალასი-ჰიუსტონი
ფინიქსი-საკრამენტო
გ. სტეიტი-მემფისი

**21 ნოემბერი**
ოკლაჰომა-კლიპერსი
დენვერი-ჩიკაგო

**22 ნოემბერი**
შარლოტი-ფინიქსი
ფილადელფია-მილუოკი
ტორონტო-ვაშინგტონი
ბოსტონი-ინდიანა
დეტროიტი-ატლანტა
მემფისი-სან ანტონიო
მინესოტა-ბრუკლინი
ნ. ორლეანი-კლივლენდი
დალასი-იუტა
პორტლენდი-ჩიკაგო
ლეიკერსი-გ. სტეიტი

**23 ნოემბერი**
კლიპერსი-საკრამენტო
ინდიანა-ფილადელფია
ვაშინგტონი-ნიუ იორკი
ატლანტა-ბოსტონი
მაიამი-ორლანდო
მილუოკი-შარლოტი
ჰიუსტონი-მინესოტა
სან ანტონიო-კლივლენდი
დენვერი-დალასი
გ. სტეიტი-პორტლენდი

**24 ნოემბერი**
ბრუკლინი-დეტროიტი
კლიპერსი-ჩიკაგო
ორლანდო-ფინიქსი
ოკლაჰომა-იუტა
ლეიკერსი-საკრამენტო

**25 ნოემბერი**
შარლოტი-ბოსტონი
ინდიანა-მინესოტა
დეტროიტი-მილუოკი
მაიამი-ფინიქსი
მემფისი-ჰიუსტონი
დალასი-დენვერი
სან ანტონიო-ნ. ორლეანი
იუტა-ჩიკაგო
პორტლენდი-ნიუ იორკი

**26 ნოემბერი**
ტორონტო-ბრუკლინი
ვაშინგტონი-ლეიკერსი
ატლანტა-ორლანდო
ნ. ორლეანი-გ. სტეიტი

**27 ნოემბერი**
შარლოტი-ინდიანა
მილუოკი-ვაშინგტონი
ორლანდო-ფილადელფია
ბოსტონი-მემფისი
ბრუკლინი-ლეიკერსი
კლივლენდი-მაიამი
დეტროიტი-ჩიკაგო
ჰიუსტონი-ატლანტა
მინესოტა-დენვერი
ოკლაჰომა-სან ანტონიო
დალასი-გ. სტეიტი
ფინიქსი-პორტლენდი
კლიპერსი-ნიუ იორკი

**29 ნოემბერი**
შარლოტი-მილუოკი
ორლანდო-სან ანტონიო
ტორონტო-მაიამი
ატლანტა-დალასი
ბოსტონი-კლივლენდი
დეტროიტი-ლეიკერსი
ჰიუსტონი-ბრუკლინი
ინდიანა-ვაშინგტონი
ოკლაჰომა-გ. სტეიტი
ფილადელფია-ნ. ორლეანი
დენვერი-ნიუ იორკი
იუტა-ფინიქსი
საკრამენტო-კლიპერსი

**30 ნოემბერი**
ვაშინგტონი-ატლანტა
კლივლენდი-ჩიკაგო
მემფისი-ბრუკლინი
მილუოკი-ბოსტონი
დალასი-მინესოტა
სან ანტონიო-ჰიუსტონი
ფინიქსი-იუტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ფედერერი კარგი იყო, მაგრამ...

ქალებს შორის სეზონი პრაქტიკულად დასრულდა - ჩატარდა წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი და წინ არის მხოლოდ სოფიაში "ჩემპიონთა ტურნირი" და ფედერაციის თასის ფინალი. მამაკაცთა ტურში კი ჯერ შემაჯამებელი ჩემპიონატის მონაწილეთა სრული სიაც არ დაკომპლექტებულა. ჯერჯერობით, ხუთ ჩოგბურთელს აქვს ლონდონში თამაშის უფლება მოპოვებული: **რაფაელ ნადალს, ნოვაკ ჯოკოვიჩს, დავიდ ფერერს, ხუან მარტინ დელ პოტროსა** და **ტომაშ ბერდიხს**.

ამ უკანასკნელმა ლონდონში გამგზავრება მას შემდეგ გაინაღდა, რაც ბაზელის ტურნირზე წარუმატებლად ითამაშეს მისმა კონკურენტებმა - **რიშარ გასკემ** და **სტანისლას ვავრინკამ**. მათ პირველივე წრე წააგეს, შესაბამისად, **მიკაელ ლოდრასთან** და **ედუარდ როჟე-ვასელენთან**. რაც შეეხება ლონდონის კიდევ ერთ პრეტენდენტს **ჟო-ვილფრიდ ცონგას**, მან პარიზის მასტერსამდე დასვენება გადაწყვიტა. ასევე მოიქცა **მილოშ რაონიჩი**.

სხვათა შორის, ბაზელში თავად ბერდიხმაც ცუდად ითამაშა - მან პირველივე წრეში წააგო ხორვატ გიგანტთან **ივო კარლოვიჩთან**. ამ უკანასკნელმა ისე ჩაატარა შეხვედრა, რომ არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია, მაგრამ სამ პარტიაში გაიმარჯვა - 4:6, 7:6(4), 7:6(2). საინტერესოა, რომ ამ მატჩის შემდეგ ხორვატი გახდა მამაკაცთა ტურის რეკორდსმენი - მან კარიერაში მე-17 შეხვედრა მოიგო, როცა მის მეტოქეს მატჩპოინტი ჰქონდა. აქამდე, კარლოვიჩი ამ რეკორდს **გორან ივანიშევიჩთან, გრეგ რუსედსკისთან, ნიკოლას ლაპენტისთან** და **ხუან კარლოს ფერეროსთან** ერთად იყოფდა.

შემდეგ წრეში კარლოვიჩი დაამარცხა ნიჭიერმა კანადელმა **ვაშეკ პოსპიშილმა**, რომელმაც ნახევარფინალამდე მიაღწია. იქ ჩრდილოამერიკელმა ნამდვილი ბრძოლა გაუმართა **როჯერ ფედერერს**. ლეგენდარული შვეიცარიელი ნახევარფინალამდე ისე მივიდა, რომ ერთი სეტი წააგო - უზბეკ **დენის ისტომინთან**. წესით ნახევარფინალში როჯერს ორ სეტში უნდა დაემარცხებინა პოსპიშილი, მაგრამ ტაი-ბრეიკზე წააგო პარტია, რომელშიც ბრეიკით იყო დაწინაურებული. გადამწყვეტ სეტში ბრძოლა ბოლომდე მიდიოდა, მაგრამ პოსპიშილმა 5:5-ზე მიუტევებელი შეცდომები დაუშვა და ფედერერმა სამ სეტში მოიგო – 6:3, 6:7(3), 7:5.


ხუან მარტინ დელ პოტრო

ბადის ზედა ნაწილიდან ფინალში გავიდა ბაზელის ტურნირის მოქმედი ჩემპიონი ხუან მარტინ დელ პოტრო. არგენტინელი ყველა მეტოქეს იოლად გაუმკლავდა **როჟე ვასელენის** გარდა, რომელმაც ნახევარფინალში ერთი სეტი აართვა სამხრეთამერიკელს.

თითქოს ფინალში დელ პოტროს უპირატესობა უნდა ჰქონოდა. ფედერერი დიდი ხანია ვერ აჩვენებს მაღალ შედეგებს, ხუან მარტინმა კი კარგი ტემპი აკრიფა, თანაც ბოლო ორი მატჩი მოგებული ჰქონდა შვეიცარიელისთვის.

ფედერერმა გადამწყვეტ მატჩში ბოლო თვეებში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენა. პირველი სეტის პირველ ნახევარში მას აშკარა სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა, შემდეგ კი დელ პოტრომ ბრეიკი გააკეთა. არგენტინელმა სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო, მაგრამ ფედერერმა მაქსიმალური კონცენტრაცია მოახდინა და "მშრალი" ანგარიშით მოიგო მეტოქის მოწოდება, შემდეგ კი თავის გეიმზე ორი სეტბოლი გადაარჩინა. ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გაირკვა, რომელიც ხუან მარტინმა უფრო აქტიურად ჩაატარა.

მეორე სეტი ფედერერმა თითქმის იდეალურად წარმართა. შესანიშნავად აწვდიდა და მოწინააღმდეგეს შანსს არ უტოვებდა. ის თავიდანვე ბრეიკით დაწინაურდა, ბოლოს კი კიდევ ერთხელ აიღო დელ პოტროს მოწოდება. მესამე სეტში ყველაფერი გადაწყვიტა სასტარტო გეიმებმა. თავიდან შვეიცარიელმა 40:15-დან დათმო თავისი მოწოდება, თანაც ამ გეიმში სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა, შემდეგ კი ვერ გამოიყენა ორი ბრეიკ-პოინტი. მეტი შანსი მასპინძელს აღარ ჰქონია, რადგან დელ პოტრო შესანიშნავად აწვდიდა და ამის ხარჯზე შეინარჩუნა მინიმალური უპირატესობა – 7:6(3), 2:6, 6:4.

ამ წაგების გამო, ფედერერმა ჯერ ვერ გაინაღდა წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაში, თუმცა პარიზის მასტერსის ბადის გათვალისწინებით, სასწაული უნდა მოხდეს, რომ შვეიცარიელი ლონდონში სათამაშოდ არ გაემგზავროს. ეს შემდეგ შემთხვევაში მოხდება: მილოშ რაონიჩი უნდა გახდეს ჩემპიონი, თან ნახევარფინალში უნდა მოუგოს რიშარ გასკეს, სტანისლას ვავრინკა უნდა გავიდეს ნახევარფინალში, თავად ფედერერმა კი უნდა დათმოს სასტარტო შეხვედრა. თუ როჯერი პარიზის მასტერსზე პირველივე ბარიერს გაივლის, ის მოიპოვებს ლონდონში თამაშის უფლებას.

ახლა, **ენდი მარეის** გარდა, ყველა წამყვანი ჩოგბურთელი პარიზშია ჩასული სეზონის ბოლო მასტერსზე სათამაშოდ. ერთი კვირის შემდეგ ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი დაიწყება, სეზონი კი დასრულდება დევისის თასის ფინალით, რომელშიც სერბეთი ჩეხეთს მიიღებს.

# ნა ლი მესამეა


ნა ლი

ორშაბათს გამოქვეყნებული ახალი რეიტინგის თანახმად, ქალთა კლასიფიკაციის ტოპ-ათეულში ერთი ცვლილება მოხდა - კარიერაში პირველად ჩინელი **ნა ლი** მესამე ჩოგანი გახდა.

აზიელმა სტამბოლში ფინალამდე მიაღწია, სადაც **სერენა უილიამსთან** დამარცხდა, მანამდე კი ლიმ ერთმანეთის მიყოლებით მოუგო **სარა ერანის, ელენა იანკოვიჩს, ვიქტორია აზარენკასა** და **პეტრა კვიტოვას**. ის, რომ ნა ლი მსოფლიოს მესამე ჩოგანი გახდებოდა, ნახევარფინალში კვიტოვას დამარცხების შემდეგ გაირკვა.

საბოლოოდ, ლიმ 925 სარეიტინგო ქულა მოიპოვა და მეხუთედან მესამე ადგილამდე გადაინაცვლა - უკან ჩამოიტოვა **მარია შარაპოვა** და **აგნიეშკა რადვანსკა**. ადრე არც ერთი აზიელი ჩოგბურთელი არ ყოფილა რეიტინგის პირველ სამეულში – არც ATP-ში და არც WTA-ში.

რაც შეეხება მამაკაცთა განახლებულ რეიტინგს, იქ ტოპ-ათეულში ცვლილება არ მომხდარა.

| TOP10 | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 13 260 |
| 2(2). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 8 046 |
| 3(5). ნა ლი (ჩინ) | 6 045 |
| 4(3). მარია შარაპოვა (რუს) | 5 891 |
| 5(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 5 875 |
| 6(6). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 775 |
| 7(7). სარა ერანი (იტა) | 4 435 |
| 8(8). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4 170 |
| 9(9). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 3 965 |
| 10(10). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 520 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ფლორიდა–ტამპა ბეი 3:4 (ბ)**

1:2, 0:1, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სან ლუი-7 (სტემკოსი-9, მელოუნი-4), 0:2 სტემკოსი-8 (მელოუნი-5, მეტიუ კარლი-7), 1:2 მატიასი-1 (ვინჩესტერი-2, გოკი-1), 1:3 გუდასი-1 (პანიკი-5, კილორნი-5), 2:3 ბოუგსტადი-1 (აპშოლი-2, კულიკოვი-1), 3:3 ბოიესი-5.

**ბულიტები გაიტანეს:** ფილპულა (ტამპა ბეი), ბოიესი (ფლორიდა), სტემკოსი (ტამპა ბეი).

**ოტავა–სან ხოსე 2:5**

1:3, 1:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ჰერტლი-8 (შეპარდი-3, დემერსი-6), 0:2 დესჯარდენი-1 (ბ. სტიუარტი-2), 1:2 ე. კარლსონი-3 (ტარისი-8, კონახერი-1), 1:3 უინგელსი-3 (კუტური-8, ვლასიჩი-7), 2:3 მეტიუ-1 (ე. კარლსონი-7, სპეცა-4), 2:4 შეპარდი-1 (ჯ. თორნტონი-12), 2:5 პაველსკი-4 (ბრაუნი-1, უინგელსი-5).

**კოლამბუსი–ანაჰაიმი 3:4**

1:0, 1:2, 1:2

**გოლები:** 1:0 კომო-1 (რ. იოჰანსენი-4, სავარი-4), 1:1 გეტცლაფი-5 (პერი-7, ალენი-4), 1:2 ჰოლანდი-1 (პალმიერი-2, სმიტ-პელი-2), 2:2 ანისიმოვი-3 (დუბინსკი-5), 2:3 იტემი-2 (სელიანე-4, ბონინო-3), 3:3 ანისიმოვი-4 (ვიშნიევსკი-8, ფოლინო-2), 3:4 პერი-6.

**კოლორადო–ვინიპეგი 3:2**

1:1, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 დუშენი-9 (დაუნი-6, რ. უილსონი-3), 1:1 ლიტლი-6 (ბარდი-1, ველერი-4), 1:2 ველერი-4 (ლიტლი-4, კლიტსომი-1), 2:2 პეიდა-2 (პ. შჩასტნი-6, ლანდესკოგი-4), 3:2 პ. შჩასტნი-2 (ლანდესკოგი-5, ტანგეი-5).

**ლოს ანჯელესი–ედმონტონი 2:1 (ბ)**

0:0, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 იაკუპოვი-1 (ბელოვი-3, პეტრი-3), 1:1 მ. რიჩარდსი-2 (მუზინი-4, ჯ. კარტერი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** მ. რიჩარდსი (ლოს ანჯელესი), ებერლე (ედმონტონი), კოპიტარი (ლოს ანჯელესი).

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბრაიტონი-უოტფორდი | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| იორდანია-ნიგერია | 1:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ნოვარა-ჩეზენა | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| პონტედერა-ნოჩერინა | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| ხეტაფე-ბილბაო | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კლერმონი-ლანსი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაქსი II-დორდრეხტი | 0:4 |
| ტვენტე II-ვენლო | 1:1 |
| ეინდჰოვენი II-ტელსტარი | 3:1 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-გიმარაეში | 1:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ბენფიკა B-ტონდელა | 2:2 |
| სპორტინგი B-ვიზეუ | 0:0 |
| **დანია** | |
| ესბერგი-აგფ ორჰუსი | 0:2 |
| **შვედეთი** | |
| ნორჩოპინგი-ოსტერსი | 1:1 |
| ელფსბორგი-მალმიო | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ლანდსკრონა | 3:1 |
| **ავსტრიის თასი** | |
| კალსდორფი-სტ. პოლტენი | 0:4 |
| ჰორნი-პარნდორფი | 5:4 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| სერვეტი-ვინტერტური | 1:0 |
| **საბერძნეთი** | |
| პანაიტოლიკოსი-კალონი | 4:0 |
| **თურქეთი** | |
| ქასიმფაშა-ტრაბზონი | 3:2 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-ლონგფორდი | 2:2 |
| **კვიპროსი** | |
| აპოელ-ანორთოსისი | 1:0 |
| ეთნიკოსი-აპოლონი | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-სპარტა | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| ყუბანი-ანჟი | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| გურნიკი-კრაკოვია | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| დინამო-კონკორდია | 2:1 |
| საჯეატა-ოცელული | 2:1 |
| **ლატვია** | |
| მეტა-დაუგავა | 0:2 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ბნეი შახნინი | 4:1 |
| **არგენტინა** | |
| ესტუდიანტესი-კილმესი | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| სტრასბური-შოლე | 75:81 |
| **საბერძნეთი** | |
| ტრიკალა-პანათინაიკოსი | 68:88 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-ბოლონია | 89:65 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 2:5 |
| ავტომობილისტი-ნეფტეხიმიკი | 3:2 |
| ბარისი-ტრაქტორი | 1:5 |
| იუგრა-ს. იულიაევი | 4:5 |
| ლოკომოტივი-სლოვანი | 2:1 |
| სევერსტალი-ლევი | 2:1 |
| ატლანტი-დინამო (რ) | 1:2 (ბ) |
| დინამო (მ)-ტორპედო | 2:1 |
| სკა-ცსკა | 5:2 |
| სპარტაკი-მეტალურგი (ნ) | 5:4 |
| დინამო (მნ)-სიბირი | 2:4 |
| დონბასი-ადმირალი | 2:1 |
| ზაგრები-ამური | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ვექშიო | 5:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. პარიზი** | |
| როსოლი-შარდი | 6:3, 6:4 |
| მანარინო-ხირალდო | 3:6, 6:2, 4:6 |
| ტომიჩი-ფ. ლოპესი | 4:6, 7:6, 6:7 |
| ისტომინი-ჰაასე | 6:7, 3:6 |
| გულბისი-ვერდასკო | 6:7, 6:7 |
| სისლინგი-ჩილიჩი | 7:5, 1:6, 4:6 |
| სეპი-კოლშრაიბერი | 3:6, 6:3, 4:6 |
| ნიშიკორი-ბენეტო | 6:4, 6:2 |
| პერი-ჰერბერტი | 2:6, 2:6 |

TV პროგრამა

**29 ოქტომბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატის მიმოხილვა
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტური ვოლფსბურგი-ვერდერი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. როდა-ეინდჰოვენი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტური ბორუსია (მ)-აინტრახტი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტური. ბოკა ხუნიორსი-კოლონი.
21:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
23:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტური შალკე-დორტმუნდი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ანდერლეხტი-პსჟ.
12:00 კალათბურთი. ყველა ვარსკვლავის მატჩი. 2013.
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლევერკუზენი-შახტარი.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
19:30 კალათბურთი. ყველა ვარსკვლავის მატჩი. 2013.
23:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. შაკილ ო'ნილი.
00:00 რაგბილიგა. მსოფლიოს თასი. ტონგა-შოტლანდია (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
13:30 ჩოგბურთი. ახალი ამბები.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 21 | (მზე) |
| ქუთაისი | 12 | 22 | (მზე) |
| ბათუმი | 13 | 19 | (მზე) |
| ფოთი | 9 | 21 | (მზე) |
| ზუგდიდი | 9 | 20 | (მზე) |
| გორი | 3 | 19 | (მზე) |
| თელავი | 4 | 18 | (მზე) |
| სიღნაღი | 6 | 17 | (მზე) |
| ბაკურიანი | -3 | 13 | (მზე) |
| ბორჯომი | 0 | 17 | (მზე) |
| მესტია | 1 | 15 | (მზე) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3009 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6678 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.7003 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2649 |

# სერენას 10 გაელვება


სერენა სტამბოლის პრიზით

წლის შემაჯამებელ ტურნირზე **სერენა უილიამსის** გამარჯვების შემდეგ, ამ სეზონში ამერიკელის სხვა მიღწევების გახსენება გადავწყვიტეთ.

1. უმცროსმა უილიამსმა მთელი სეზონის განმავლობაში 12 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, რაც 4 მილიონით მეტია წინა რეკორდზე, რომელიც შარშან **ვიქტორია აზარენკამ** დაამყარა. WTA-ის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით, ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში მხოლოდ 26-მა ჩოგბურთელმა შეძლო მთელი კარიერის განმავლობაში 10 მილიონზე მეტის გამომუშავება, სერენამ კი ეს ერთ სეზონში გააკეთა.

2. სერენამ ამ სეზონში "დიდი სლემის" ორი ტურნირი მოიგო და ახლა, მის ანგარიშზეა 17 ტიტული ამ სერიის ჩემპიონატებში. ამ მაჩვენებლით ამერიკელი დაეწია **როჯერ ფედერერს** და ერთით ჩამორჩება ლეგენდარულ თანამემამულეებს - **მარტინა ნავრატილოვასა** და **კრის ევერტს**.

3. მთელი სეზონის განმავლობაში უილიამსმა 80-ზე მეტი მატჩი ჩაატარა - პირველად კარიერაში. ეს გასაოცარი მაჩვენებელია 32 წლის ჩოგბურთელისთვის.

4. ამა წლის 17 თებერვალს სერენამ დაიბრუნა პირველი ადგილი მსოფლიო კლასიფიკაციაში და ყველაზე ასაკოვანი პირველი ჩოგანი გახდა.

5. სტამბოლში გამარჯვება მე-11 ტრიუმფი იყო ამერიკელისთვის წლევანდელ სეზონში. სერენა მეათე ჩოგბურთელია ღია ერაში, ვინც ერთ წელიწადში მინიმუმ ათი ტურნირი მოიგო.

6. აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვებისთვის სერენამ 3.6 მილიონი დოლარი მიიღო - ეს ყველაზე დიდი ჰონორარია ჩოგბურთის ისტორიაში. ნიუ იორკში ანალოგიური თანხა გამომუშავა **რაფაელ ნადალმა**.

7. უილიამსმა მოიგო ზედიზედ 34 მატჩი და ეს სერია უიმბლონზე **საბინ ლისიცკისთან** წაგების შემდეგ შეწყდა.

8. ამ სეზონში სერენამ გადააჭარბა კარიერაში 600-მატჩიან ზღვარს. მოქმედ ჩოგბურთელებს შორის, ის ამ მაჩვენებლით მხოლოდ უფროს დას - **ვინუსს** ჩამორჩება.

9. სერენამ სეზონში მოიგო 78 მატჩი და მხოლოდ ოთხჯერ დამარცხდა, რაც პროცენტულად 95.1 მოგებას უდრის. ეს არის ჩოგბურთის ისტორიაში მეცხრე მაჩვენებელი.

10. სერენა მეშვიდე ადგილზე გადავიდა კარიერაში მოპოვებული ტიტულების რაოდენობით. სეზონის მსვლელობისას მან გაუსწრო **მონიკა სელეშს** (53), **ლინდსი დავენპორტსა** (55) და **ვირჯინია უეიდს** (55). ამ მომენტისთვის, სერენას კარიერაში 57 ტიტული აქვს მოგებული.




# ნოვაკის სახელობის თვითმფრინავი

სერბულმა სახელმწიფო ავიაკომპანია Air Serbia-მ გადაწყვიტა, თავისი პირველი თვითმფრინავისთვის ჩოგბურთელ **ნოვაკ ჯოკოვიჩის** სახელი მიენიჭებინა.

A-319 Novak Djokovic-ის პირველი რეისი შაბათს, ბელგრადი-აბუ დაბის რეისზე შედგა. ახალი ავიაკომპანია Air Serbia შეიქმნა Etihad Airways-სთან პარტნიორობით.

იტყობინებიან, რომ ჯოკოვიჩი პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი ადამიანია, რომლის სახელსაც სერბეთში თვითმფრინავს დაარქმევენ. ავიაკომპანიის ხელმძღვანელობის სიტყვებით, მომავალში კიდევ 14 საჰაერო ხომალდს მიენიჭება დიადი სერბების სახელები. თავად ნოვაკმა კი განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია ამგვარი ინიციატივით.

*"ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ჩემს ქვეყანას ამ მიმართულებით რეპუტაციის აღდგენაში დავეხმარო. მე სიამაყით ვიფრენ Air Serbia-სთან ერთად და დარწმუნებული ვარ, სერვისი ამ რეისებზე უმაღლესი დონის იქნება"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა სერბულ პრესასთან კომენტარში.

# აზარენკა ისევ დააფასეს


აზარენკა და სტეისი ალასტერი

ზედიზედ მეორე წელია, ბელარუსი ჩოგბურთელი **ვიქტორია აზარენკა** WTA-ის პრიზს იღებს ჩოგბურთის განვითარებისთვის შეტანილი წვლილის გამო.

ეს ჯილდო ყოველ წელს გადაეცემა მოთამაშეს, რომელმაც კორტის მიღმა მოღვაწეობითა და საქველმოქმედო საქმიანობით მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინა გულშემატკივრებსა და პრესის წარმომადგენლებს შორის ჩოგბურთის განვითარების საქმეში. 20012 წელსაც ეს პრიზი აზარენკას ერგო.

*„მინდა მივულოცო ვიქტორიას ბრწყინვალედ ჩატარებული სეზონი და მადლობა გადავუხადო მისი წვლილისთვის ჩვენს პროგრამაში. ვიკა და WTA-ის ყველა მოთამაშე სიამაყით მსახურობს ჩოგბურთის ელჩად და ალმაფრენას აძლევს მომავალ თაობას კორტზე და მის მიღმა საქმიანობით"*, - განაცხადა WTA-ის პრეზიდენტმა **სტეისი ალასტერმა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი
და გამომცემელი
შპს
გამომცემლობა
ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა
ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ტელ: **238 84 44** (შიდა ნომ. 413); **238 74 44**; ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო"**, **205262062**. ბანკი **„ქართუ" CRTUGE22** ა\ა **GE19CR0120007000043608**